გიორგი კვაბზირიძე

სიღარიბის დაძლევის სოციალურ–ეკონომიკური მექანიზმები ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში

თბილისი

2008

უაკ 330
კ 44

გიორგი რამაზის ძე კვაბზირიძე. *სიღარიბის დაძლევის სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმები ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში.* თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი", 2008. - 144 გვ.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის გიორგი კვაბზირიძის მონოგრაფიაში განხილულია სიღარიბის დაძლევის სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმები ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკური კულტურის, როგორც ეკონომიკური თავისუფლების აუცილებელი შემადგენელი ნაწილის, აგრეთვე როგორც შემოსავლების სამართლიანი გადანაწილებისა და სიღარიბის დაძლევის მექანიზმების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი საფუძვლის დასაბუთებაზე. აქედან გამომდინარე, ავტორის მტკიცებით, ეკონომიკური კულტურა წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანური მოღვაწეობის სტატიკურ გამოვლინებას, არამედ მისი შემოქმედებითი არსებობის დინამიკურ პროცესს, რომელიც გამუდმებულ ძიებასა და განვითარებაშია.

ავტორი მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს სამართლიანი გადანაწილება არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური, სამართლებრივი და საერთოდ ყველა სოციალური სიკეთეებისა, ან უნდა შეიცვალოს ეკონომიკური განვითარებისადმი სოციალური მიდგომა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სოციალური პოლიტიკის, როგორც სახელმწიფოს მდგრადობის პრიორიტეტული საფუძვლის შემუშავებასა და ჩამოყალიბებას, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებისათვის ეროვნული შემოსავლების განკარგვის უფლებების რეალურ მინიჭებას.

სამეცნიერო რედაქტორი:

ალფრედ კურატაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

რეცენზენტები:

მიხეილ თოქმაზიშილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

რევაზ შენგელია – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

© **გიორგი რამაზის ძე კვაბზირიძე, 2008.**

ISBN 978-9941-0-1037-8

შინაარსი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 4
თავი I. ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების თეორიული საფუძვლები 11
1.1. სიღარიბის არსი 11
1.2. ეკონომიკის ტრანსფორმაცია საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში 30
1.3. ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების თავისებურებანი 51
თავი II. საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების თავისებურებანი პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის პირობებში (საქართველოს მაგალითზე) 66
2.1. ადამიანური კაპიტალის, როგორც სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენება პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის პირობებში 66
2.2. ეკონომიკური ცნობიერების დეფიციტი გარდამავალ პერიოდში – ჩრდილოვანი ეკონომიკისა და სიღარიბის საფუძველი 83
თავი III. სიღარიბის დაძლევის გზები და სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმები ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში 92
3.1. ეკონომიკური კულტურა – ეკონომიკური თავისუფლების საფუძველი 92
3.2. კორუფციასთან ბრძოლის მექანიზმები და მათი მნიშვნელობა სიღარიბის დაძლევაში 109
3.3. ეკონომიკური კულტურა და ეკონომიკური თავისუფლება სიღარიბის დაძლევის გზაზე 124
გამოყენებული ლიტერატურის სია 131

შ ე ს ა ვ ა ლ ი

<u>თემის აქტუალობა.</u> საქართველოში მიმდინარე მოვლენების ანალიზი ნათლად მეტყველებს
იმ პრობლემების კვლევის აუცილებლობაზე, რასაც სიღარიბე ჰქვია და რომლის
აღმოფხვრის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს, საზოგადოებისა და თვითოეული
მოქალაქის არსებობა და განვითარება.

აღნიშნული პრობლემის მნიშვნელობამ და სირთულემ, სახელმწიფოებრივი განხილვის მთავარ პრობლემად აქცია იგი, რაზეც მეტყველებს მთელი რიგი გადაწყვეტილებებისა, რომლებიც მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 2003 წელს – წინა ხელისუფლების პერიოდში, ხოლო შემდგომ 2005 წელს მოსმენილი და მიღებული იქნა ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის ანგარიში და სხვა არაერთი სამთავრობო დადგენილება სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მიზნობრივი სოციალური დახმარებების შესახებ.

საკითხის აქტუალობამ მეცნიერთა წინაშე დასახა სიღარიბის დაძლევის სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმების სიღრმისეული კვლევის აუცილებლობა, რომელიც თავის თავში მოიცავს, ერთი მხრივ, იმ მიზეზების კვლევას, რომლებიც საფუძვლად ედება სიღარიბის წარმოშობას ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში და მის გავრცელებას მოსახლეობის ფართო ფენებში, ხოლო, მეორე მხრივ, იმ მექანიზმების ჩამოყალიბების აუცილებლობას, რომლებიც საჭიროა სიღარიბის აღმოსაფხვრელად.

როგორც თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური გამოცდილება გვკარნახობს, ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში სიღარიბის პრობლემა ასეთი მასშტაბებით აღარ უნდა არსებობდეს, მაგრამ ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად ხელისუფლების არაერთი

მცდელობისა, ჯერ კიდევ ძლიერია კორუფცია, დაბალია ეკონომიკური კულტურა, მეწარმეთა დიდ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს საკმაო გამოცდილება საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი უკვე არსებული მექანიზმების გამოყენებაში, ჯერაც არ არსებობს ეკონომიკური თავისუფლების ელემენტარული სტრუქტურები, არ მოქმედებს ეკონომიკური ერთიანობის პრინციპები და მრავალი სხვა, ამიტომ სიღარიბის პრობლემები ჯერ ისევ ანადგურებს ქვეყანას და მის მოსახლეობას.

ამასთან, პროგრესულად იზრდება ქვეყანაში უმუშევრობის დონე, მოქალაქეთა მიგრაციის მასშტაბები, დაბალია საზოგადოების ეკონომიკური ცნობიერება, სახელმწიფოს ნება — აღმოფხვრას სიღარიბის ხელშემწყობი მიზეზები, როგორც უმაღლეს სახელისუფლებო, საშუალო და დაბალ სტრუქტურებში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

იკვლევს რა სიღარიბის წარმოშობის მიზეზებს, ავტორი არაერთ სერიოზულ პრობლემას შორის ასახელებს არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციას, სამოქალაქო ომს, ხელისუფლების ხშირ და სწრაფ ცვლილებას, ტერიტორიების დაკარგვს და სხვა.

ავტორი ასევე ასახელებს კრიმინალური სამყაროს მავნე ზეგავლენას ქვეყნის ბიუჯეტზე, წარმოება-დაწესებულებებსა და მეურნეობებზე, რაც მათ გაკოტრებას იწვევდა, ვინაიდან წლების განმავლობაში, ამ სფეროებსაც და სამთავრობო სტრუქტურებსაც სწორედ კრიმინალური დამსახურების ადამიანები იკავებდნენ.

სიღარიბის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოქალაქეთა პოლიტიკური და ეკონომიკური მოუმზადებლობა საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპებში. იგულისხმება სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი, პირად ინიციატივასა და საქმიან თვისებებზე დამყარებული საქმიანობა, მცირე და საშუალო ბიზნესის შექმნა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება, საკუთარი უფლებების არცოდნა და ჯერ კიდევ მოქმედი ბიუროკრატიული მექანიზმების გაუმართლებელი ჩარევა მაკრო და მიკრო ეკონომიკურ პროცესებში.

ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ პერიოდში არსებული სამართლებრივი ბაზის გაუმართავი სისტემის ნეგატიურ როლს სიღარიბის წარმოშობის საქმეში, საზოგადოებრივი წესრიგის არქონას, რაც ცუდად გაგებულმა დემოკრატიამ და თავისუფლებამ დაამკვიდრა.

საქართველოში ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში სიღარიბის წარმოშობისა და მისი დაძლევის პრობლემებზე, როგორც ცნობილია, არაერთი პროგრამა და სამთავრობო გადაწყვეტილება არსებობს, მაგრამ ნაკლებად ვხვდებით სამეცნიერო გამოკვლევებს, თუმცა თვით საბაზრო ეკონომიკის პრობლემებზე არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი აქვთ გამოქვეყნებული როგორც ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებს, ასევე ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო სკოლების წარმომადგენლებს.

ამასთან, სიღარიბის წარმოშობისა და მისი აღმოფხვრის ეკონომიკური მექანიზმები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი. ასევე შესასწავლია სიღარიბის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები, მათი მნიშვნელობა საღარიბის წინააღმდეგ საბრძოლველად და მათი პრაქტიკული რეალიზება.

აღნიშნული მექანიზმების დადგენამ და პრაქტიკულმა გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების დაბალანსებას საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის, უნდა აამაღლოს მოსახლეობის ცხოვრების დონე, მათი ეკონომიკური თუ სამართლებრივ-პოლიტიკური კულტურა, მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს კორუფცია, გაუმჯობესოს სამართლებრივი თვითშეგნება და უფრო ცივილიზებული გახადოს საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხების კვლევა ღრმა მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს, რაც განსაზღვრავს მონოგრაფიის პრობლემის აქტუალობას.

<u>კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები.</u> მონოგრაფიული ნაშრომის ძირითადი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ

ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში გაანალიზდეს სიღარიბის წარმოშობის მიზეზები და განისაზღვროს ის ძირითადი მექანიზმები, რომლებიც აუცილებელია მისი დაძლევისა და აღმოფხვრისათვის.

კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ამოცანებია:

— პოსტსაბჭოური ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში, განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, სიღარიბის არსებობის სპეციფიკური მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების დადგენა საქართველოს მაგალითზე.

— ეკონომიკური კულტურის დეფიციტის დაძლევა და მისი მნიშვნელობის განსაზღვრა ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური თავისუფლების მისაღწევად.

— ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობის განსაზღვრა სიღარიბის დაძლევისათვის და მისი გავლენის კანონზომიერებათა დადგენა ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე.

<u>ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლე და შედეგები</u>

ნაშრომის ძირითად მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ეკონომიკური კულტურის, როგორც ეკონომიკური თავისუფლების აუცილებელი შემადგენელი ნაწილის, აგრეთვე როგორც შემოსავლების სამართლიანი გადანაწილებისა და სიღარიბის დაძლევის მექანიზმების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი საფუძვლის დასაბუთება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური კულტურა წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანური მოღვაწეობის სტატიკურ გამოვლინებას, არამედ მისი შემოქმედებითი არსებობის დინამიკურ პროცესს, რომელიც გამუდმებულ ძიებასა და განვითარებაშია, როგორც ცხოვრების აუცილებელი ფასეულობა, მისი არსებობის საფუძველი. ეკონომიკური კულტურის შემადგენელი ნაწილია ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბება და ეკონომიკური გაუცხოებისაგან განთავისუფლება, საკუთრების ფორმების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა, მისი კონტროლის მექანიზმების სრულყოფა და გამოყენება.

ეკონომიკური კულტურის აუცილებელი გამოხატულებაა პასუხისმგებლობის უნარი, დაფუძნებული, გარდა ადამიანური თვითშეგნებისა, ეკონომიკურ პროცესებზე, ეკონომიკურ ბერკეტებზე და იმ გარანტიებზე, რომელიც სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს განმტკიცებული პოლიტიკური კურსითა და სამართლებრივი ნორმებით. ეკონომიკურ კულტურაში მოიაზრება აგრეთვე ეკონომიკური სტიმულირებისა და ეკონომიკური პროგნოზირების შესაძლებლობა.

ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლე შეიძლება შემდეგნაირად დაკონკრეტდეს:

— დადგენილია, რომ სიღარიბის არსებობის ერთ-ერთი მიზეზი სახელმწიფოსა და საზოგადოების ნების არარსებობაა: დაძლიონ კორუფცია როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო სტრუქტურების ყველა დონეზე კადრების ხშირი როტაციით, რათა ვერ მოისყიდონ ისინი; გადააქციონ კორუფცია საშიშ, არამომგებიან და რისკიან საქმიანობად; დააწესონ კონტროლის კონტროლი საზოგადოებისა და მასმედიის მხრიდან საფინანსო-საბიუჯეტო, სამეწარმეო თუ სამეურნეო და ა.შ. სფეროებზე შემოსავლების სამართლიანად გადანაწილების უზრუნველსაყოფად.

— დადგენილია, რომ სიღარიბის დასაძლევად აუცილებელია საზოგადოების ახალი ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბება მისი ეკონომიკური გაუცხოებისგან განთავისუფლებითა და ადამიანთა თეორიული და პრაქტიკული დარწმუნებით, რომ ეს ქვეყანა, მასში არსებული სიკეთე და მათ მიერ შექმნილი ფასეულობები თითოეულ მათგანს ეკუთვნის და მათ მომავალს უზრუნველყოფს.

— შემუშავებულია მოსაზრება, რომ უნდა მოხდეს სამართლიანი გადანაწილება არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური, სამართლებრივი და საერთოდ ყველა სოციალური სიკეთეებისა, ან უნდა შეიცვალოს ეკონომიკური განვითარებისადმი სოციალური მიდგომა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სოციალური პოლიტიკის, როგორც სახელმწიფოს მდგრადობის პრიორიტეტული საფუძვლების შემუშავებასა და ჩამოყალიბებას, ხოლო, მეორე

მხრივ, საზოგადოებისათვის ეროვნული შემოსავლების განკარგვის უფლებების რეალურ მინიჭებას.

— დადგენილია, რომ ადამიანური კაპიტალი, როგორც სიღარიბის აღმოფხვრის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, სამეცნიერო სფეროში არსებული მისი მდიდარი პოტენციალით, ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების განმსაზღვრელ პრიორიტეტად გვევლინება.

— დადგენილია, რომ ეკონომიკური ერთობა, ანუ ხალხის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც ეკონომიკის აღორძინებისა და სიღარიბის დაძლევის საქმეში, ასევე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

— განსაზღვრულია, რომ კორუფციის აღმოსაფხვრელად ბრძოლა სწორედ სახელისუფლებო სტრუქტურებიდან უნდა იწყებოდეს. მხოლოდ საკუთარი რიგების ძირეული წმენდის შემდეგ შესძლებს ნებისმიერი სახელმწიფო ხელისუფლება მოიპოვოს მთელი საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა.

— კორუფციასთან ბრძოლის ყველაზე უფრო ეფექტიან მეთოდად მიჩნეულია არა ადმინისტრირების ან ძალდატანების, არამედ სამართლიანობის, მოქალაქეობრივი კულტურის, თვითშეგნებისა და წესრიგიანობის მიღწევა, რომელიც ერთნაირად მოეთხოვება როგორც თანამდებობის პირს, ისე ნებისმიერ მოქალაქეს.

— კორუფციის ხელშემწყობ ფაქტორთა შორის დასახელებულია ნდობის ფაქტორის ნაკლებობა ადამიანებს შორის, ეჭვი ყველასა და ყველაფრისადმი, ადამიანების სათანადოდ შეუფასებლობა, მათი ხალასი ნიჭიერებისა და განსაკუთრებული უნარებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება.

<u>ნაშრომის ძირითადი შედეგებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:</u>

— ეკონომიკური კულტურა განხილულია არა მხოლოდ ადამიანური მოღვაწეობის სტატიკურ გამოვლინებად, არამედ

მისი შემოქმედებითი არსებობის დინამიკურ პროცესად, რომელიც გამუდმებულ ძიებასა და განვითარებაშია, როგორც ცხოვრების უმაღლესი ფასეულობა, მისი არსებობის გამართლება.

— შემოთავაზებულია სახელმწიფო შემოსავლებისა და სხვა სოციალური სიკეთეების სამართლიანი გადანაწილება, ან ეკონომიკური განვითარების სოციალური მიდგომების მთლიანად შეცვლა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სოციალური პოლიტიკის, როგორც სახელმწიფოს მდგრადობის პრიორიტეტული საფუძვლის შემუშავებასა და ჩამოყალიბებას, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებისათვის ეროვნული შემოსავლების განკარგვის უფლებების რეალურ მინიჭებას.

— დადგენილია, რომ ეკონომიკური ერთობა, ანუ ხალხის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც ეკონომიკის აღორძინებისა და სიღარიბის დაძლევის, ასევე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავი I
ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების თეორიული საფუძვლები

1.1. სიღარიბის არსი

სიღარიბე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემაა, ყოველი ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების ნებისმიერი პერიოდისათვის. მას განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ეპოქათა გარდატეხის დროს, როდესაც პოლიტიკურ ცვლილებებს, უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური ცვლილებები მოსდევს. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს აღნიშნული პოლიტიკური ცვლილებები ევოლუციურ ხასიათს ატარებს თუ რევოლუციურს, ვინაიდან პოლიტიკურ ცვლილებებს თან სდევს კრიმინალური სამყაროს გააქტიურება, ძველი პოლიტიკური თუ ეკონომიკური მექანიზმებისაგან შემორჩენილი ურთიერთობები, რასაც ახალი მექანიზმები ვერ ეგუება და მიმდინარეობს მათ შორის დაპირისპირება, ამასთან, ორივე მათგანი ცდილობს არსებობისა და ფუნქციონირების შენარჩუნებას.

ბუნებრივია, ეს ბრძოლა ახლის დამკვიდრებით მთავრდება, თუ რა თქმა უნდა, ახალი ძლიერია. ამასთან იგი იტოვებს ძველი ურთიერთობებისაგან მნიშვნელოვან მონაპოვარს და მისი განვითარებისათვის აუცილებელ ფაქტორებს. მაგრამ, სიტუაციის დალაგებამდე, ეკონომიკური პრობლემების გამწვავება გარდაუვალია, რაც მოსახლეობის ფართო ფენებს სიღარიბის ზღვარს მიღმა წლების განმავლობაში ტოვებს.

სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური პროცესები ასევე ედება საფუძვლად ისეთ ეკონომიკურ პრობლემას, რასაც სიღარიბე ჰქვია და რასაც არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიეძღვნა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორიისო ორგანიზციებსა და დონორ სახელმწიფოებში. ამის ნათელი მაგალითია 2003 წელს ჩვენს ქვეყანაში მიღებული პროგრამა,

რომლის განახლებული ვარიანტი ამჟამად მზადდება მისაღებად და ასევე 2005 წლის აგვისტოში შვედეთში ჩატარებული საერთაშორისო შეხვედრა სიღარიბის დაძლევისათვის.

პირველი რაც სიღარიბის პრობლემას მჭიდროდ უკავშირდება — ეს არის პოლიტიკური ნების არარსებობა ან ხელისუფლების პოლიტიკური სისუსტე, რომელსაც ყველა განვითარებად ან განუვითარებელ ქვეყანაში აქვს ადგილი. ხშირად სიღარიბის მიზეზად ასახელებენ პოლიტიკურ სისტემას, მაგრამ ეს თვალსაზრისი გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის პოლიტიკური სისტემა ველარ აკმაყოფილებს საზოგადოებისა და ქვეყნის ინტერესებს და მისი საფინანსო—ეკონომიკური სფერო, საწარმოები და ინსტიტუტები ველარ პასუხობენ თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. დანარჩენ შემთხვევებში კი ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ცდილობდა შეექმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესაბამისი პირობები, ბუნებრივია, თუ ამის პოლიტიკური ნება არსებობდა, ან თუ ხელისუფლების სათავეში ძლიერი, გონიერი და ქვეყნის ერთგული პიროვნება იდგა.

ამგვარად, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნისა და საზოგადოების სიღარიბესა და სიმდიდრეს, ემყარება ძირითადად ხელისუფლებას და მის ლიდერს, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ცივილიზებული სამყარო ეკონომიკური სფეროს განვითარების აუცილებელ პირობად ეკონომიკის ხელისუფლებისაგან განთავისუფლებას მიიჩნევს.

სიღარიბე მრავალმხრივი ფენომენია და შეცდომა იქნებოდა მისი არსებობა მხოლოდ პოლიტიკური სისტემის, ან ხელისუფლების და მისი ლიდერის ნების გამოვლინებად მიგვეჩნია. მით უმეტეს, რომ ჩვენს ქვეყანაში სიღარიბემ მასიური ხასიათი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდიდან შეიძინა და მისი აღმოფხვრისაკენ სწრაფვა დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია. მიუხედავად მისი

მაქსიმალური მცდელობისა, საარსებო მინიმუმის მიღმა ჯერ კიდევ უამრავი მოქალაქე იმყოფება, რასაც ამჟამად მიმდინარე ღარიბი მოსახლეობის აღრიცხვაც ნათელს მოჰფენს.

ბუნებრივია, ამას უნდა მოჰყვეს მოსახლეობის აღნიშნული ფენებისადმი სახელმწიფო დახმარება, რაც უფასო სასადილოების გახსნასა და ქვეყნის უღარიბესი მოსახლეობის დახმარებაში გამოიხატა. მსგავსი დახმარება უკანასკნელი თხუტმეტი წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან პირველი შემთხვევაა, თუმცა უცხოეთის სხვადასხვა დონორი ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ფონდებისაგან არაერთი დახმარება იქნა მიღებული, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი ეძლეოდა ღარიბ ფენებს, დანარჩენი კი გამნაწილებლების ხელში რჩებოდა.

ამჟამად, ხელისუფლების მიერ არაერთი ქმედითი ღონისძიების გატარების შემდეგ მსგავსი დარღვევები ფაქტობრივად აღმოფხვრილია. მაგრამ, როგორც აღინიშნა, სიღარიბის დაძლევის პრობლემა მხოლოდ ხელსუფლების ნებაზე არაა დამოკიდებული, მიუხედავად ამ ფაქტორის უდიდესი მნიშვნელობისა.

სიღარიბის პრობლემის განხილვისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყანაში არსებული არასტაბილური მდგომარეობაა, რაც გამოწვეულია უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე არაერთი საომარი მოქმედებით, რასაც შეეწირა არა მხოლოდ ადამიანური რესურსების უზარმაზარი რაოდენობა და ქვეყნის ძირითადი გენოფონდი, არამედ ქვეყნის ეკონომიკაც.

სწორედ აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან წარმოებულმა საომარმა მოქმედებებმა საბოლოოდ დაანგრია ქვეყანაში მიმდინარე ისედაც პოლიტიკური კრიზისით გამოწვეული და უკონტროლობით გაპარტახებული ფაბრიკა-ქარხნები, საწარმო-დაწესებულებები, მეურნეობები, საფინანსო სექტორი და სხვ. ქვეყნიდან გავიდა ნიჭიერი და თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე კადრები. უკვალოდ გაქრა მანქანა-დანადგარების ერთი ნაწილი, მეორე — ამორტიზებული ნაწილი კი ჯართად იქნა გატანილი. ამასთან, საწარმოთა უდიდესი ნაწილი ხელოვნურად იქნა

ჩაყენებული გაკოტრებულ მდგომარეობაში, რათა ისინი მიზერულ ფასებში ხელში ჩაეგდოთ ხელისუფლებაში მყოფ შემთხვევით ადამიანებს, რომლებსაც არასოდეს არანაირი შეხება არ ჰქონიათ ამ საწარმოებთან, როგორც იტყვიან, ერთი აგურიც არ დაუდვიათ მის მშენებლობაზე და რომლებიც ხელისუფლებაში მოხვდნენ მათი პარტიული ლიდერის სახელს ამოფარებულნი და თავიათი დაბალი კვალიფიკაციითა და გამდიდრების უდიდესი სურვილით ძირს უთხრიდნენ ქვეყნის ეკონომიკას, ეროვნულ ღირებულებებსა და მთელ სულიერ პოტენციალს.

ომებმა, ეკონომიკურ კეთილდღეობასთან ერთად მართლაც ჩამოგვაწერა ყველაზე მნიშვნელოვანი — ეროვნული ღირსება და ადამიანთა დიდი ნაწილი ხელგაშვერილი მათხოვრობს თავისი არსებობის გადასარჩენად. ასეთი რამ არ ახსოვს ქართული სახელმწიფოებრიობის არც ერთ პერიოდს. ეროვნული ღირსების აღდგენას კი ათეულობით წლები დასჭირდება.

ომის სავალალო შედეგია კრიმინალური დაჯგუფებების ჩამოყალიბება, გაძლიერება და თავისუფალი თარეში ქვეყანაში. ცნობილია, რომ აფხაზეთის ომის პერიოდში ეს დაჯგუფებები სწორედ მაშინ ესტუმრებოდნენ საომარ ზონას, როდესაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის არსებულ საომარი მოქმედებები დროებით წყდებოდა და მათ პერიოდულად ენაცვლებოდა ხანმოკლე მშვიდობა. სწორედ ამ დროს ისინი ჩვენივე თანამემამულეების მიტოვებული სახლებიდან ნადავლს ეზიდებოდნენ. თვითმხილველები მოგვითხრობდნენ ასევე მათ მიერ ჩადენილ არაერთ დანაშაულზე, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე ჩვენივე მეომრებისათვის იარაღის წართმევის სახით.

ომმა არაერთი ოჯახი აქცია ლტოლვილად საკუთარ ქვეყანაში, რამაც, ბუნებრივია, ქვეყნის ეკონომიკას მძიმე დაღი დაასვა. ეს პრობლემა დღესაც გადაუჭრელია, ვინაიდან მათთვის ცხოვრების ელემენტარული პირობების შექმნას პირველ ეტაპზე არაერთი სასტუმროსა და სხვადასხვა საცხოვრებელი ფართის დათმობა დასჭირდა. თუმცა, შემდგომში, სახელმწიფომ იზრუნა მათთვის

თანხების გამოყოფასა და ბინების შესყიდვაზე, ყოველთვიურ ფულად დახმარებებსა და სხვა სოციალურ შეღავათებზე.

ომმა წაიღო მრავალი ადამიანის სიცოცხლე — უმთავრესი ფაქტორი ეკონომიკური განვითარებისა, მათთან ერთად გაანადგურა მათი ოჯახის წევრების ფსიქიკა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მათი შრომისუნარიანობა და, აქედან გამომდინარე, სოციალური და ეკონომიკური პირობები.

ომმა წაიღო ეკონომიკური განვითარების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი — მიწა. ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიებიდან არა მხოლოდ არავითარი შემოსავალი აღარ არსებობს, არამედ თვით ეს ტერიტორიებიც დემოგრაფიულ დეგრადაციას განიცდის და რაც უფრო ხანგრძლივდება მათი დაბრუნების პროცესი, მით უფრო რთულდება ამ მხრივ მდგომარეობა, და მით უფრო უძლიერდება დამპყრობელს ამ ტერიტორიების საბოლოოდ მისაკუთრების სურვილი. დაკარგული ტერიტორიები არ არის ქვეყნის მხოლოდ ეკონომიკური პრობლემა. ამ ტერიტორიების დაკარგვით ქვეყანა განიცდის მისი სულიერი და ორგანული ნაწილის მწვავე უკმარისობას, მისი არსებობის, ღირსებისა და კულტურის დეგრადაციას, რაც ასევე უშუალოდ აისახება როგორც ამ ტერიტორიების, ასევე მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებზე. ქვეყნის ეკონომიკას კი აკლდება ის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რაც აფხაზეთს გააჩნია ტურიზმის, საზღვაო ინფრასტრუქტურისა და სამეურნეო ეკონომიკური შემოსავლების სახით, რომლებიც ძალიან გამოადგებოდა სიღარიბის ზღვარზე მყოფ ეკონომიკას, რომელიც მხოლოდ უძრავი ქონების გასხვისებით მიღებული შემოსავლებისა და უცხოური ინვესტიციების იმედით არსებობს.

ამგვარად, სიღარიბის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პოლიტიკური არასტაბილურობა, რაც პოლიტიკურ პარტიებს შორის, ოპოზიციურ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის არსებულ წინააღმდეგობაში და ხელისუფლებისადმი საზოგადოების უნდობლობაში მჟღავნდება.

აღმასრულებელი ხელისუფლების სწრაფი და ხშირი ცვალებადობა, მისი წარმომადგენლების კორუფციასა და სხვადასხვა სახის დანაშაულში მხილება და მათი პასუხისმგებლობაში მიცემა, ხშირად თანამდებობის პირთა მიერ გამომძალველობის ფაქტები უცხოური კაპიტალდაბანდებებისა და ეკონომიკის განვითარებისათვის უდიდესი ხელისშემშლელი ფაქტორებია. ყოველივე ამას კი საზოგადოებისათვის მაგალითის ძალა აქვს, ძალზე სწრაფად ვრცელდება და უშუალო ასახვას ჰპოვებს მათ ცხოვრებაში.

ამასთან, ლიდერი ყველაზე მაღალ და თვალსაჩინო ადგილზეა და მისი ყოველი მოქმედება ქმნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ა.შ. კლიმატს ქვეყანაში. მისი შეფასებები გადაწყვეტილებები, შეხედულებები და განწყობა, რომელიმე მოვლენის ან ადამიანის მიმართ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის განვითარებას. ამიტომაა, რომ საზოგადოება უდიდესი ინტერესით ელოდება ქვეყნის პირველი პირის შეფასებებს განსაკუთრებული ვითარებების დროს.

ეროვნული ხელისუფლება კი, რომელიც საბჭოთა სივრცის დაშლის შედეგად მოვიდა ხელისუფლებაში, და რომელიც, შეიძლება ითქვას, პოლიტიკურ მეთოდებს სათანადოდ ვერ ფლობდა სახელმწიფო მმართველობასა და სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში, სრულიად გაურკვეველ სიტუაციაში მოექცა, როგორც მისი ლიდერის, ასევე მასთან მყოფი კადრების პოლიტიკური გამოუცდელობის გამო.

ამას ემატებოდა ისიც, რომ ეროვნული ხელისუფლება, რომელსაც დემოკრატიული პრინციპების ეროვნულ ფაქტორებთან შერწყმა უნდა განეხორციელებინა, დაბადებული, გაზრდილი და განათლებული იყო საბჭოთა სინამდვილეში, მისი იდეოლოგიის, პოლიტიკის, სამართლისა და ეკონომიკის გარემოცვაში. ამიტომ, მისი ცნობიერების გარდაქმნა მხოლოდ ეროვნული იდეალებით ვერ დააყენებდა ქვეყანას საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის გზაზე, ხოლო ეკონომიკაში ცივილიზებული ქვეყნების

გამოცდილებისა და მიღწევების უცოდინრობა ვერ აღმოფხვრიდა სიღარიბეს ქვეყანაში.

სიღარიბის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იყო ფულად-საკრედიტო, საფინანსო-საგადასახადო, საბიუჯეტო და სავალუტო სისტემების სრული კრახი, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენელთა და საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ იმ თანხების მიტაცებით, რაც არსებობდა ქვეყნის ბიუჯეტში, მოქალაქეთა საბანკო ანაბრებზე, ბინათმშენებლობაში გადახდილი თანხების, ნებისმიერი დარგებიდან მიღებული შემოსავლების სახით, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყანაში გამეფებული სამართლებრივი განუკითხაობითა და ქაოსით, როდესაც ადამიანები მოქმედებენ პრინციპით: „დაიტაცე, რაც შეგრჩება".

კორუმპირებული სამართლებრივი სისტემა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა სივრცის ერთ-ერთი ყველაზე მახინჯი გადმონაშთი იყო, სრული გულგრილობით გამოირჩეოდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიმართ. მთავარი მათთვის — საკუთარი კეთილდღეობა იყო მხოლოდ. ამით ფრთაშესხმული კრიმინალური სამყარო კი თავის გავლენას უკვე სახელისუფლებო სტრუქტურებზე ავრცელებდა და საკმაო გავლენასაც ფლობდა. კრიმინალად გადაიქცა თითქმის ყველა, ვისაც კი რაიმეზე მიუწვდებოდა ხელი, დაწყებული მსხვილი ფაბრიკა-ქარხნებიდან, დამთავრებული პატარა სავაჭრო ობიექტებით, ადამიანთა გატაცებითა და უცხოეთში გაყიდვით, ან გამოსასყიდის გამოძალვით, იარაღისა და ნარკოტიკების ვაჭრობითა და სხვადასხვა გაყალბებებით.

ასეთი გზებით მიღებული „ჭუჭყიანი ფულის" გათეთრების შედეგად კი ხალხისა და სახელმწიფოს ქონების დამტაცებლები ახალი ოლიგარქებისა და საქმოსნების სახით წარმოგვიდგნენ, რომელთა ერთმა ნაწილმა შემდგომში არაერთი სახელისუფლებო თანამდებობა დაიკავა, მეორე ნაწილი კი წარმატებული ბიზნესმენის სახელით მოგვევლინა.

ბუნებრივია, დაცლილი სახელმწიფო ხაზინა, გაპარტახებული საწარმოები, დარღვეული მეურნეობები, მიტინგებით გაბრუებული

და უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობა ვერ შეძლებდა გაემყარებინა ჩვენი საფინანსო სექტორის ეპოქალური სირცხვილი — კუპონი და მისი მსყიდველობითი უნარი.

სილარიბის ერთ-ერთი, ასევე ძალზე მნიშვნელოვანი მიზეზია გაკოტრებული მეურნეობები, რომლებიც საბჭოთა კოლმეურნეობებისა და მეურნეობების სავალალო ნაშთია. მათი უმოქმედობა მძიმე დარტყმას აყენებს ქვეყნის ეკონომიკას და მთელ მოსახლეიბას.

საქართველო უძველესი აგრარული ქვეყანაა. ამიტომ, ისეთი უდიდესი აგრარული პოტენციალისა და ბუნებრივი რესურსების გამოუყენებლობა და მივიწყება, როგორიცაა სოფლის მეურნეობის პროდუქცია ქვეყანას დიდ ეკონომიკურ ზარალს მიაყენებს მომვალშიც.

მაგრამ, იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობაში სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევები ფაქტობრივად არ ინერგება, ამ პროცესებში თითქმის არ მონაწილეობენ არც ჩვენი ქვეყნისა და არც უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები, ეს მეტად პრიორიტეტული სფერო ვერანაირ შედეგს ვერ აძლევს ქვეყნის ეკონომიკას და სამწუხაროდ, დარჩენილია მხოლოდ ძველი ტრადიციების ბაზაზე.

საბჭოთა სინამდვილეში არსებული მეურნეობების დაშლას ხელი შეუწყო როგორც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, ასევე ადამიანთა ერთი ნაწილის მხრიდან მტაცებლურმა, ხოლო მეორე ნაწილისაგან დაუდევარმა დამოკიდებულებამ იმ ტექნიკური საშუალებებისადმი, რომლებიც მეურნეობებს გააჩნდათ და რომელთა ფუნქციონირებისათვის მათ ელემენტარული ენერგორესურსებიც აღარ გააჩნდათ.

ადამიანები, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ იმას, რომ ყველა პრობლემას მათ მაგივრად სახელმწიფო აგვარებდა, აბსოლუტურად ხელცარიელები აღმოჩნდნენ. მათ არ გააჩნდათ არც ტექნიკა, არც სათესლე მარაგი, არც საწვავი და არც სასუქი. ყოველივე ამის გამო გაღარიბდა გლეხობა, მათ დაემატნენ დაკარგული ტერიტორიებიდან გამოქცეული ლტოლვილები, რომლებმაც

ერთადერთი გამოსავალი ქალაქში ჩამოსვლასა და ე.წ. „კვაზი ბიზნესის" განხორციელებაში პპოვეს. მართალია, ამ გზით მათ თავი დააღწიეს შიმშილს, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტი კვლავ მინიმალურ ზღვარზე დარჩა, ვინაიდან გარე მოვაჭრეებისაგან ანაკრეფი წლების განმავლობაში ბიუჯეტში არ შედიოდა.

მეურნეობებისა და საწარმოთა ნგრევამ, ტერიტორიების დაკარგვამ, პოლიტიკურმა და კრიმინოგენულმა არასტაბილურობამ ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემა შექმნა, რაც უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე სიღარიბის ზღვარს მიღმა ტოვებს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს. როგორც არაერთი მკვლევარი მიუთითებს, პოსტკომუნისტურ სივრცეში მყოფ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში ადგილი აქვს უმუშევრობის საკმაოდ მაღალ დონეს, რაც მას საკმაოდ დიდ ზარალს აყენებს[1].

უმუშევრობა მძიმე ტვირთად აწევს როგორც ქალაქის, ასევე რეგიონების მოსახლეობას. მართალია, რაიონებში ხელისუფლებამ უფასო საწვავი დაარიგა, განათდა და კეთილმოეწყო რაიონული ცენტრები, სტაბილურია საერთო პოლიტიკური და კრიმინოგენული გარემო, მაგრამ უმუშევრობის აღმოფხვრისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი და ეფექტიანი აღორძინებისათვის აუცილებელია სოფლის მეურნეობის თანანედროვე ტექნიკით მომარაგება, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, მიღებული მოსავლის რეალიზაციის უზრუნველყოფა, გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა და მიღებული პროდუქციის ექსპორტი.

ყოველივე ამას ესაჭიროება სოფლის მეურნეობისადმი სერიოზული დამოკიდებულება, რომელიც გულისხმობს ჩვენში არსებული ზოგიერთი გადაჭარბებული და დამახინჯებული ტრადიციის საპირისპიროდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მაღალი დონის მარკეტინგულ რეალიზაციას და ეკონომიკურ გამოყენებას, რაც მას, როგორც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს

---

[1] გ. წერეთელი. ნ. ბიბილაშვილი. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრის მექანიზმი. საქ. მეცნ. აკადემიის პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, 2004, ტ. 4, გვ.44.

(რაც დღეს მართლაც დიდი იშვიათობაა), სათანადო ადგილს დაუმკვიდრებს მსოფლიო ბაზარზე.

საქართველოს თავის ეკონომიკურ რეზერვუარში გარკვეული რაოდენობის სხვადასხვა წიაღისეული სიმდიდრეც აქვს, მაგრამ იგი თავისი სიმცირის გამო ვერ შეძლებს მნიშვნელოვანი როლის შესრულებას ქვეყნის მოსახლეობის სიღარიბიდან გამოყვანის სქმეში.

ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვანია ბაქო-ჯეიჰანისა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მაგისტრალები, რომლებიც მოქალაქეთა დასაქმების პრობლემასაც შეეხება და ქვეყნის ბიუჯეტსაც შეავსებს. თუმცა, ამ ბოლო დროს ხშირად საუბრობდნენ მის გასხვისებაზეც, რაც საუკუნის უდიდეს შეცდომად შეიძლება ვაღიაროთ.

ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალია ტურიზმის განვითარება, რომელიც ჯერჯერობით საფუძვლიადად არაა შესწავლილი და გამოყენებული და რომელიც ძალზე ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს. საქართველოს გეოგრაფიული, კლიმატური და ადამიანური პოტენციალი სასურველსა და საინტერესოს ხდის მას უცხოელო სტუმრებისათვის.

აქედან გამომდინარე, ქვეყნის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროს განვითარება, სპეციალისტების მაღალ დონეზე მომზადება უნდა გახდეს ერთ-ერთი აუცილებელი მიზანი არა მხოლოდ სიღარიბის დაძლევის თვალსაზრისით, არამედ საქართველოს იმიჯის ამაღლებისათვის მსოფლიოს ცივილიზებულ სისტემაში, ჩვენი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა და ქართველი ერის გენეტიკური ტოლერანტობის გაცნობისათვის.

ამ მხრივ პრაქტიკული მნიშვნელიბა ენიჭება ტურისტული ცენტრების გახსნას, რომლის განხორციელების გეგმა უკვე არსებობს და რომელიც გარკვეული გზამკვლევის ფუნქციას შეასრულებს საქართველოს გასაცნობად ჩამოსული ტურისტებისათვის და ისინი აღარ იქნებიან დამოკიდებულნი იმ ნაცნობებსა და მეგობრებზე, რომლებიც მათ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დათვალიერებასა და ისტორიული

მნიშვნელობის გაცნობაში ეხმარებიან და რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, თვითონაც არასწორ ინფორმაციას ფლობენ საკუთარი ქვეყნის ხელოვნებისა თუ ისტორიის შესახებ.

სიღარიბის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყანაში ეკოლოგიური მდგომარეობა – ბუნებათსარგებლობის, ბუნების დაცვისა და ცოცხალი ორგანიზმების ბუნებასთან დამოკიდებულების დარღვევა, რაც უშუალოდ ვლინდება ეკონომიკურ პროცესებში.

გართულებული ეკოლოგიური პრობლემები ამცირებს და აბინძურებს ბუნებრივ რესურსებს – წიაღისეულს, წყლებს, ჰაერს, ფლორასა და ფაუნას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ამასთან, იგი არღვევს ბალანსს ბუნებრივ მოვლენებს შორის და ამით გამოწვეული წყალდიდობები, მიწისძვრები, მეწყერები და სხვა კატასტროფები შეუძლებელს ხდის ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას.

ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანებას, ზღვებსა და მდინარეებში არაერთ ქიმიურ ნივთიერებას, რაც ანადგურებს მათ, ხოლო ეკონომიკა უდიდეს ზარალს განიცდის. აღნიშნული პრობლემა გლობალურია და თავისი მასშტაბებით ძალზე ფართო. იგი მოიცავს თითქმის მთელ მსოფლიოს, მის არსებობას, თანამედროვეობასა და მომავალს. სწორედ ამის გამო გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან არაერთი ორგანიზაცია შეიქმნა, რომელთა მიერ მრავალი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად.

ამ მიზნით 2005 წელს საქართველოშიც ჩამოყალიბდა გარემოს დაცვის ინსპექცია, რომლის ნორმალურმა და ქმედითმა ფუნქციონირებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს როგორც ბუნების დაცვის საქმეში, ასევე ქვეყნის ეკონომიკუს, მისი ბიუჯეტის შევსების თვალსაზრისით.

ეკონომიკური ზრდის ტემპებზე იმოქმედებს ბუნებრივი რესურსებისადმი რაციონალური დამოკიდებულება. ეკოლოგიური პროცესების მოწესრიგება კი განავითარებს ქვეყნის

ინფრასტრუქტურას, რაც თავის მხრივ, ქვეყანას გახდის საინტერესოს ტურიზმის თვალსაზრისით, განვითარდება ის დარგებიც, რომლის ბუნებრივი რესურსებიც არსებობს, ხოლო ყოველივე ეს მიმზიდველს გახდის ქვეყანას უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

გლობალური ხასიათისაა აგრეთვე ის ბუნებრივი, სტიქიური მოვლენები, წყალდიდობების, მიწისძვრების, მეწყერისა თუ ტორნადოების სახით, რომლებიც უძლიერეს დარტყმას აყენებენ ქვეყნების ეკონომიკას და რამოდენიმე ათეული წლით ამუხრუჭებენ მათ განვითარებას, ხოლო, ყოველივე ეს წარმოადგენს ბრძოლას გადარჩენისთვის, რაც გლობალიზაციას თან სდევს, როგორც ძლიერის გადარჩენისა და სუსტის უარყოფის პრინციპი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით კვლევას წარმოების ფაქტორებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ ეკონომიკის აღორძინებისათვის. ასახელებენ წარმოების დომინირებადი ფაქტორების კონცეფციასაც, რომლის მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავებენ: კაპიტალდომინირებად, მასალადომინირებად, შრომადომინირებად, მეწარმედომინირებად და სახელმწიფოდომინირებად წარმოებებს.

თითოეულ მათგანში დომინირებს სახელწოდებაში მინიშნებული ძირითადი ფაქტორი, დანარჩენები კი დამხმარე როლს ასრულებენ. ამასთან, კაპიტელდომინირებად წარმოებას მიეკუთვნება ელექტროსადგურები, ქარხნები, ბრძმედები და ამიტომ მას მანქანადომინირებადსაც უწოდებენ.

მასალადომინირებადს განეკუთვნება სოფლის მეურნეობა და თევზჭერა, ხოლო შრომადომინირებადს — საშენებლო, სამკერვალო და სხვა სამუშაოები, მეწარმედომინირებადს მიაკუთვნებენ აუცილებელი ინოვაციების მქონე პროცესებს, ხოლო სახელმწიფოდომონირებადს — იმ პროცესებს, რომლებშიც სახელმწიფოს ეკონომიკური ფაქტორებია განმსაზღვრელი (მაგალითად, კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის წარმოებები).

თითოეულ მათგანს თავისი დომინირებული შემოსავალი გააჩნია: კაპიტალდომინირებადს — პროცენტი, მასალადომონირებადს —

რენტა, შრომადომინირებადს – ხელფასი, მეწარმედომინირებადს – სამეწარმეო მოგება, ხოლო, სახელმწიფოდომინირებადს – სახელმწიფო მოგება[2].

აღნიშნული კლასიფიკაცია ემყარება ადამ სმითისა და ჟან ბატისტ სეის მიერ ჩამოყალიბებული წარმოების ფაქტორების შესახებ მოსაზრებებს და იმ ხუთ ფაქტორს, რომელთა შორის მოიაზრებენ: მიწას, კაპიტალს, შრომას, სამეწარმეო უნარს და პროფესორ ვ. პაპავას მიერ შემოთავაზებულ წარმოების მეხუთე ფაქტორს – სახელმწიფოს. სახელმწიფოს ფაქტორი მართლაც მნიშვნელოვანია, ვინაიდან ბაზრის მართვის მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ სახელმწიფოს ძალუძს, თვითდინებაზე მიშვებული ბაზარი კი, რომელსაც მხოლოდ საქონელზე მოთხოვნა და ფული წარმართავს, ეკონომიკური კრიზისის საფუძველი ხდება. თანდათანობით მიმდინარეობს სახელმწიფოს განმსაზღვრელი როლის ტრანსფორმაცია ეკონომიკური თავისუფლების საკითხებში. მისი რეგულირების სფეროში კი მაინც რჩება ამ ტრანსფორმაციის მიმდინარეობის ტემპები.

სახელმწიფო, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია არა მხოლოდ წარმოების, არამედ მთელი ეკონომიკური ტრანსფორმაციის მიმდინარეობისა, მის მიერ ინსტიტუციური სისტემების სრულყოფის შედეგებით. იგი განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებს და არაფრით ჩამოუვარდება კერძო მეწარმეებს. სწორედ სახელმწიფოს მცდელობით ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს არაერთი საკანონმდებლო ბაზა კანონებისა და კოდექსების სახით, რითაც საქართველოში დაიხვეწა ფულად-საკრედიტო და საგადასახადო ეკონომიკური ურთიერთობები როგორც აღნიშნულ სფეროებსა და საზოგადოებას შორის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს შორის.

---

[2] ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005, გვ. 103-104.

ყოველივე ამის შედეგად გაიზარდა ნდობის ვოტუმი საფინანსო სფეროსადმი საერთოდ, და კერძოდ, ბანკებისადმი საზოგადოების მხრიდან; დაიხვეწა ურთიერთობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან და სხვა საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან, რის შედეგადაც ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირველ პერიოდში დაშვებული შეცდომები თანდათან აღმოიფხვრა როგორც მათი, ასევე ჩვენი მხრიდან; მინიმუმამდე დავიდა ეკონომიკური პრობლემებისადმი მექანიკური მიდგომა და მათი მხრიდან ქვეყნის სპეციფიკის გაუთვალისწინებლობა.

ის შეცდომები, რაც შედეგად მოჰყვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსოფლიო ბანკის მოღვაწეობას საქართველოში, სამომავლო დასკვნებისა და ახალი გზების ძიების საფუძველი უნდა გახდეს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ერთი ყალიბით გამოყვანილ რეკომენდაციებს მათი დახმარების იმედად დარჩენილი სახელმწიფოების მიმართ — იქნებოდა ეს უძველესი კულტურის ქვეყანა, თუ ველურობიდან ახლახან თავდაღწეული სახელმწიფო.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ საკუთარი ვალუტის მქონე ქვეყნებთან მუშაობს, თავდაპირველად ეჭვით უყურებდა ეროვნული ვალუტის შემოღებას ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური არასტაბილურობის გამო. ამიტომ იყო, რომ ლარის შემოღება მანამ არ მოხერხდა, სანამ რუსეთმა თვითონ არ გამოიყვანა საქართველო რუბლის ზონიდან.

იქნებ ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის არქონა და საერთო ეკონომიკური პრობლემები არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ეკონომიკურად სუსტ ქვეყანასთან ერთად შემდგომი ცხოვრების სურვილი აღარა აქვს აფხაზეთსა და ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთს. იქნებ სწორედ ესაა მიზეზი, რომ საქართველოს ისეთ რეგიონებში, როგორიცაა სომხებითა და აზერბაიჯანელებით მჭიდროდ დასახლებული ახალქალაქი, ბოგდანოვკა, მარნეული და სხვა ქართული ვალუტა, ქართული ენა და საერთოდ ყველაფერი ქართული სერიოზული წნეხის

ქვეშაა, ხოლო სამუშაო ადგილების სიმცირის გამო ამ რაიონების მოსახლეობასაც თვალი ისევ რუსული სივრცისაკენ უჭირავს. აქედან გამომდინარე, თუ საქართველოს ეკონომიკური სიტუაცია შეიცვლება და ქვეყანა ფეხზე დადგება,, დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად მოლაპარაკებები და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევა საჭირო აღარ იქნება.

გარდა პოლიტიკური დახმარებებისა, ქვეყნის ეკონომიკური ტრანსფორმაციის გზაზე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის სავალუტო ფონდის როლი ძალზე მნიშვნელოვანია, მიუხედევად მათ მუშაობაში დაშვებული შეცდომებისა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკური, მეთოდური და მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომებს აანალიზებს პროფ. ვ. პაპავა. მისი აზრით, ფონდი არ ითვალისწინებდა ქვეყნის ისტორიას, კულტურასა და ეროვნულ თავისებურებებს, რომ ფონდი წინააღმდეგი იყო ქვეყანაში ვალუტის შემოღების, და, მიუხედევად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკურ გუნდს საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან პირველივე შეხვედრაზე ფულის ესკიზებიც კი ჰქონდა, ეს საკითხი საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უყურადღებოდ დატოვა და რატომღაც ამ პროცესის დაჩქარებას არ ცდილობდა[3].

სავალუტო ფონდის მეორე შეცდომად ავტორი მიიჩნევს 1993 წელს რუსეთ-საქართველოს შორის ხელმოწერილ შეთანხმებას (ე.წ. "ნულოვან ვარიანტს"), რომლის მიხედვით ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ვალისა და აქტივების საქართველოს ნაწილის სამართალმემკვიდრე რუსეთი გახდა. გაურკვეველი მიზეზების გამო ხელშეკრულების პარაფირებულ ვარიანტში მუხლები საბჭოთა კავშირის ალმასის ფონდისა და "ვნეშეკონომბანკში" განთავსებული საქართველოს კერძო და იურიდიული პირების დეპოზიტების შესახებ ამოვარდა. სავალუტო ფონდის ხელშეწყობით კი რუსეთმა იძულებული გახადა

---

[3] ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005, გვ.206.

საქართველო, შვიდი წლის უარის შემდეგ, ხელი მოეწერა შეთანხმებაზე აღნიშნული მუხლების აღდგენის გარეშე, რაც საავალუტო ფონდის მიერ საქართველოს კრედიტების გაცემის საფუძველი გახდებოდა[4]. აღნიშნული ფაქტი საქართველისათვის მხოლოდ შეცდომა კი არა, უდიდესი დანაშაული იყო, ვინაიდან საქართველომ ამით სერიოზული ზარალი განიცადა. მან დაკარგა საკმაოდ მოზრდილი წილი საბჭოთა კავშირის ალმასის ფონდიდან, საქართველოს კერძო და იურიდიულ პირებზე განთავსებული დეპოზიტები და სხვა აქტივები.

საერთაშორისო ფონდის ასეთმა დამოკიდებულებამ საქართველოსადმი რუსეთის ხელისუფლებას გზა გაუხსნა საკუთარი ეკონომიკური ნება მოეხვია თავს საქართველოსათვის და სრულიად უკანონოდ ჩამოეჭრა მისთვის ის, რაც მას ეკუთვნოდა და ამით კიდევ ერთი დარტყმა მიეყენებინა მისი, ისედაც დასუსტებული ეკონომიკისათვის.

რაც შეეხება საავალუტო ფონდის მეთოდურ შეცდომებს, ისინი ძირითადად ეხებოდა საგადასახადო სისტემას, რომლის სრულყოფის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს. პოსტსაბჭოთა ქვეყნების, და მათ შორის საქართველოს ეკონომიკურ ცნობიერებაში სამოცდაათი წლის მანძილზე ჩამოყალიბებული სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი საგადასახადო სისტემის ფუნქციონირება ძირითადად განსხვავდებოდა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ისეთი მოთხოვნებისაგან, როგორიცაა: სიმარტივე, სიცხადე, უნივერსალურობა, მიუკერძოებლობა, საგადასახადო განაკვეთის ოპტიმალური განსაზღვრულობა და სხვა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ პრობლემის მოგვარებისათვის დიდი მნიშვნელობა მიენიჭა საგადასახადო კანონმდებლობისა და მისი შესაბამისი სამსახურების მომზადებას. საწყის ეტაპზე იგი გაცილებით მარტივი უნდა ყოფილიყო, ვიდრე

---

[4] ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005, გვ 208-209.

დამატებული ღირებულების გადასახადი. ეს პირობა იყო ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა ევროკავშირში გაწევრიანებისათვის, რომელიც სწორედ ამისათვის იქნა შემოღებული და რომელიც საქართველის ხელისუფლების უდიდესი შეცდომა იყო. თუმცა, დამატებული ღირებულების გადასახადს დადებითი თვისებებიც გააჩნია, რაც მას მისაღებს ხდის ევროპის ცივილიზებული ქვეყნების ეკონომიკისათვის. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ დაბეგვრას ემორჩილება ბიზნესის ყველა სტადია. ამასთან, საგადასახადო მოთხოვნა თანაბრად ნაწილდება მის ყველა სტადიაზე.

სოციალისტური სისტემიდან დამატებული ღირებულების გადასახადზე ნახტომისებური გადასვლით დაირღვა საგადასახადო სისტემის მთავარი პრინციპი — სიმარტივე, რითაც დაიკარგა საგადასახადო შემოსავლები და ნიადაგი შეექმნა კორუფციას[5]. ბევრად მარტივია ირიბი გადასახადი, ანუ ბრუნვიდან გადასახადი, რომელიც საბოლოო შესყიდვის ეტაპზე გადახდება და რომელიც გამჭვირვალე და ადვილად ადმინისტრირებადია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომა იყო ის, რომ მან იცოდა დამატებული ღირებულების სირთულის შესახებ და მაინც, მიუხედავად გადამხდელთა და ამკრეფთა მოუმზადებლობისა, არ შემოაღებინა აშშ-ში საკნაოდ ეფექტურად მოქმედი — ვაჭრობაზე გადასახადი, რაც მოსამზადებელი ეტაპი იქნებოდა დამატებული ღირებულების გადასახადზე გადასასვლელად. ყოველივე ამას ემატებოდა ისიც, რომ ფონდმა არ გაითვალისწინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბეგვრა. მართალია, დიდი მეურნეობები დაიშალა, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო სექტორში შეიქმნა წვრილი მეურნეობები, რომელთა სტიმულირება საგადასახადო სისტემის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი უნდა გამხდარიყო. სამწუხაროდ, მათ დაეკისრათ დამატებული ღირებულების გადახდა, რაც მძიმე ტვირთად დააწვათ და გამოიწვია მათი დაშლა.

---

[5] ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005, გვ 212.

როგორც პროფესორი ვ. პაპავა მიუთითებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ უარყოფილ იქნა მიწის გადასახადის გაზრდა დამატებული ღირებულების სანაცვლოდ, ვინაიდან ირიბ გადასახადებს შორის დამატებული ღირებულების გადასახადი ყველაზე უფრო გამართულად იქნა მიჩნეული. მეთოდური შეცდომა იყო აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან რჩევა და მოთხოვნა, რათა გაეუქმებინათ მოგების იმ ნაწილის გადასახადისაგან განთავისუფლება, რომელიც რეინვესტირებაზე მოდიოდა და რითაც იზღუდებოდა წარმოების განვითარების საფინანსო რესურსების მოძიების სტიმული.

მართალია, 1995 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მოითხოვა ამ საგადასახადო შეღავათების გაუქმება, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. თუმცა, მოგების საინვესტიციო ნაწილის გადასახადისაგან განთავისუფლებამ ხელი შეუწყო მოგებასა და დამატებული ღირებულების აღრიცხვიანობას, რაც შემოსავლების ზრდაში აისახა[6] მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომადაა მიჩნეული "სოციალური სტიმულების" მეთოდის ერთ-ერთი ნაწილის – "საგადასახადო თერაპიის" უარყოფა, რაც გადასახადების შემცირების და ამის საფუძველზე წარმოების გაფართოებისა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის უარყოფის ტოლფასი იყო. თავდაპირველად "საგადასახადო თერაპიას" არ იზიარებდა საქართველოს ხელისუფლებაც, თუმცა შემდგომ პერიოდში იგი მაინც განხორციელდა, რამეთუ დაბალი საგადასახადო სისტემა იდეალური საგადასახადო მექანიზმის ერთ-ერთ აუცილებელ პრინციპადაა მიჩნეული.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებში ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საქმისადმი მექანიკურ და ზერელე დამოკიდებულებით გაცემულ მოთხოვნებსა და რჩევებს. ასეთი იყო მაგალითად, საბაჟოზე მინიმალური საანგარიშო ფასების სისტემასა და მისი შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჯერ

---

[6] ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005, გვ.214.

შექმნა, ხოლო შემდეგ, მისი გაუქმება. ასევე მოხდა აქციზური მარკების შემოღების დროს, როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჯერ მარკების წინააღმდეგი იყო, ხოლო შემდეგ კი უმკაცრესად მოითხოვდა მის შემოღებას[7]. ასეთივე ხასიათის შეცდომა იქნა დაშვებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ელექტროენერგეტიკაში, როდესაც დაბეგვრას დაექვემდებარა ელექტროენერგიის მიწოდება, რაც მისი საფასურის ამოღების ძლიერი სტიმული უნდა გამხდაროყო. ამის გამო ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადდა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რასაც ეთანხმებოდა თელასის მესაკუთრე, მაგრამ როგორც შემდგომში გაირკვა, ამ სისტემამ სახელმწიფო ბიუჯეტი გაკოტრებამდე მიიყვანა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, რომელიც უაპელაციო მოწინააღმდეგეა საფინანსო დისციპლინის მოშლისა, აშშ-ს საელჩოსთან ერთად თვითონ აღმოჩნდა დაბეგვრის მომთხოვნი[8].

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომა იყო აგრეთვე ფასწარმოქმნის ფაქტორების გაუთვალისწინებლობით გამოწვეული შეცდომა, რაც გამოვლინდა იმპორტულ ალკოჰოლურ სასმელზე 10-15%-ის დამატებაზე უარში, სატრანსპორტო და სხვა ხარჯებისათვის ადგილობრივ სასმელებთან შედარებით, რამაც ბიუჯეტი მნიშვნელოვნად აზარალა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან მიუხედავად არაერთი შეცდომისა, მისი საქმიანობა მიზნად ისახავს ქვეყანაში სიღარიბის დაძლევასა და მის ეკონომიკურ განვითარებას. ამასთან, მისი მდიდარი გამოცდილება სიღარიბის დაძლევის პრობლემებში, წარმატებით განხორციელდა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, რაც სრულ გარანტიას იძლევა, რომ იგი შეძლებს დაამკვიდროს ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობა და წესრიგი, რაც ხელს შეუწყობს პროგრესს ამ სფეროში, დაგვაძლევინებს

---

[7] ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005, გვ.223.

[8] ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005, გვ. 227

სიღარიბეს და უზრუნველყოფს კავშირს ევროპულ საფინანსო-ეკონომიკურ მონაპოვრებთან.

1.2. ეკონომიკის ტრანსფორმაცია საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში

ბოლო ათწლეულში, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა ცვლილებებმა საერთო მსოფლმხედველობრივი ცვლილებები განაპირობა, რამეთუ დაინგრა ძველი და მკვიდრდება ახალი ღირებულებები. ასეთმა ძირეულმა ცვლილებებმა გამოიწვია ეკონომიკის ტრანსფორმაციაც. ამდენად, ტრანსფორმაცია განიცადა საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ყოფიერების თითქმის ყველა ფორმამ, იქნება ეს პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური, ზნეობრივ-მორალური თუ სხვა მრავალი.

როგორც უკანასკნელი პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ტრანსფორმაციის ერთიანი შეთანხმებული ზოგადი თეორია არ არსებობს, ამასთან, ტრანსფორმაციისათვის დამახასიათებელია ფრაგმენტულობა, არასისტემატურობა და დადებითთან ერთად მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგებიც[9]. აქედან გამომდინარე, ტრანსფორმაცია სრულიად სერიოზული და რთული პროცესია და მისი მიმდინარეობა უდიდეს ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს, როგორც ხელისუფლების, ასევე მთელი საზოგადოების მხრიდან, რამეთუ ამ დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორებას ათწლეულები სჭირდება.

ამის მკაფიო მაგალითია ჩვენი დღევანდელობა, როდესაც ხელში შეგვრჩა ტრანსფორმაციის პერიოდში გაძარცვული ფაბრიკა-ქარხნები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, გაკოტრებული ბანკები, მოტყუებული მოსახლეობა, დატაცებული მატერიალური ქონება და საზოგადოების თვალის ასახვევად ჩატარებული პრივატიზაცია, რომელსაც სრულიად დასაბუთებულად უწოდეს

---

[9] პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ.: 2001, გვ.79.

„პრივატიზაცია“, თავის გადასარჩენად უცხოეთში გადახვეწილი მოსახლეობა და ზედმეტად პოლიტიზირებული საზოგადოება, რომლის ხვალინდელი დღე, ერთი მხრივ, სახელისუფლო სავარძლებისათვის მებრძოლ და უზომოდ გამდიდრებულ თანამემამულეებს, ხოლო, მეორე მხრივ, ცხოვრებაზე გამწარებულ არაკომპეტენტურ ადამიანებს ეკუთვნით. ყოველივე ამის გათვლა და გააზრება რომ შესძლებოდათ, ადამიანები ტრანსფორმაციის პროცესს სრულიად განსხვავებულად წარმართავდნენ და მნიშვნელობა არ ექნებოდა ეს პროცესი ე. წ. „შოკური თერაპიით“, რევოლუციურად, თუ ევოლუციურად წარიმართებოდა. გააზრებული მართვის პირობებში ყველა შემთხვევაში შოკი და ზარალი გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

განიხილავენ რა ტრანსფორმაციის არსს, მეცნიერები მიუთითებენ მის ფართო და განუწყვეტელ-გარდაქმნით ხასიათზე, რის შედეგადაც ეკონომიკაში ტრანფორმაცია მოიცავს ეკონომიკის ყველა შემადგენელ ელემენტს: მწარმოებლურ ძალებს, წარმოებით ურთიერთობებს, ფინანსებს, ფულად-საკრედიტო სისტემას, ინვესტიციურ გარემოს, მეურნეობრიობის ფართო სპექტრსა და ა. შ.

ტრანსფორმაციის განუწყვეტელი და მუდმივი განახლების ქვეშ იგულისხმება რევოლუციური და ევოლუციური გარდაქმნების ურთიერთშეჯერებული ფორმები, რომლებიც მნიშვნელოვნადაა დაქვემდებარებული სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციას. შეიძლება ითქვას, რომ როგორიცაა პოლიტიკური კლიმატი ქვეყანაში, ისეთივეა მისი სოციუმი და ეკონომიკა, რომელიც თავის მხრივ უკუზემოქმედებს პოლიტიკაზე და ქვეყანა გარკვეული პროგრესული ან რეგრესული გზით მიჰყავს, რამეთუ ქვეყნის ჭეშმარიტად თავისუფალ, პროგრესულ განვითარებას ძირითადად მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებენ.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ რეფორმასა და ტრანსფორმაციას და თვლიან, რომ რეფორმა არის გარდაქმნების საშუალება, ხოლო ტრანსფორმაცია — მისი შედეგი. ისინი

შინაარსობრივადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუ რეფორმა რაიმე ფორმის აღდგენას ნიშნავს ეტიმოლოგიურად, ტრანსფორმაცია – ერთი ფორმიდან მეორეში გადატანა-გარდაქმნას გულისხმობს, რომელსაც უფრო სრულყოფილი შედეგი უნდა მოჰყვეს, თუნდაც ეს ნაწილობრივ ტრანსფორმაციას ეხებოდეს.

ჩვენი ქვეყნის განვითარება ბოლო ათწლეულში ნათელი მაგალითია ძირეული რეფორმებისა და მის შედეგად მიმდინარე რევოლუციურ-რადიკალური, ევოლუციური, სისტემური თუ ნაწილობრივი ტრანსფორმაციისა, რომელთა მიზანს წარმოადგენს საზოგადოების პროგრესი, გამოხატული "პიროვნულ-ადამიანური საზოგადოების" ჩამოყალიბებაში, საკუთრების ფორმების პლურალიზმში (რაც „ჩემისა" და „ჩვენის" თანასწორობაში მდგომარეობს), ეროვნულისა და სოციალურის ერთიანობაში, რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებაში, კონკურენტული და თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებაში, ჰუმანური, ინტეგრალური პოლიტიკის, საზოგადოების ინფორმატიზაციისა და შემოქმედებითი პირობების უზრუნველყოფაში, ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებაში და, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ნების ჩამოყალიბება-დამკვიდრებაში მოიაზრება. ყოველივე ამის განხორციელებას თან უნდა ახლდეს განათლების რეფორმა, რამეთუ საზოგადოებაში არსებული თითქმის ყველა ნაკლისა თუ წარმატების საფუძველი განათლებაში დაშვებულ შეცდომებსა თუ ჭეშმარიტებაში უნდა ვეძებოთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით ტრანსფორმაციის ფაქტორების კლასიფიკაციას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით[10]. ასეთია: ამოსავალი, შუალედური და უშუალო, შინაგანი და გარეგანი, ეკონომიკური და არაეკონომიკური, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფაქტორები, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, სახელმწიფო რეგულირებას, კულტურულ ფასეულობებში ორიენტაციას, ცოდნის მაღალ დონეს,

---

[10] პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ.: 2001, გვ. 85.

ბუნებრივი რესურსების, შრომის, მეწარმეობის უნარის, ადამიანთა ინტერესების საზოგადოებრივი ინსტიტუტების აქტიურ ზემოქმედებას, მაკროეკონომიკურ, მეზოეკონომიკურ, მიკროეკონომიკურ და მეგაეკონომიკურ პროცესებს.

ტრანსფორმაციის ფაქტორებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ენიჭებოდეს პრაქტიკულ ქმედუნარიანობას, რომელიც ცოდნის მაღალი დონით იქნება გაჯერებული, ვინაიდან ჩვენი ეპოქის სწრაფი გარდაქმნები საზოგადოებისაგან მოითხოვს აქტიურ მოქმედებას და არა დროში ხელოვნურად გაზრდილ მხოლოდ თეორიულ მსჯელობებს.

ამიტომ ის ტემპები, რომლებიც დღემდე არსებობდა საქმიანობის ყველა სფეროში – სრულიად მიუღებელია. ამდენად, ტრანსფორმაციის ეფექტიანი შედეგების მისაღწევად აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს დროითი ფაქტორი, რომლის პრაქტიკაში დამკვიდრების თვალსაზრისით ჩვენი საზოგადოება მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს.

ტრანსფორმაციის აუცილებელ ფაქტორად უნდა დავასახელოთ სახელმწიფოს ნება, რომლის გარეშე ვერანაირ რეფორმასა და ტრანსფორმაციას ვერ განვახორციელებთ. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა შემოქმედებითი შესაძლებლობების მაქსიმალურად მიზანდასახული გამოყენებისათვის სათანადო გარემოს შექმნას საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ ეკონომიკური ტრანსფორმაციის სამ ძირითად თეორიულ კონცეფციასა და მეთოდს ასახელებენ: რადიკალური ტრანსფორმაციის, ანუ ე. წ. „შოკური თერაპიის", ევოლუციური ტრანსფორმაციის, ანუ „გრადუალიზმის" და შერეული ტრანსფორმაციის კონცეფციებს, ანუ ე.წ. "მესამე გზას".

„შოკური თერაპია" თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ეყრდნობა, რომლის დროსაც მოულოდნელი ეკონომიკური დარტყმითა და იმავდროულად, ე. წ. თერაპიით ხდება რადიკალური ცვლილებები არა მხოლოდ ეკონომიკაში, არამედ მთელ სოციალურ სპექტრში, ამ დროს მკაცრდება ფულად-

საკრედიტო პოლიტიკა, რითაც ფინანსურ სტაბილიზაციასა და ინფლაციის ლიკვიდაციას ვაღწევთ.

შედეგად მყარდება ეროვნული ვალუტის გადამცვლელი კურსი, აქტიურდება კერძო ინვესტორების მოზიდვა, ვინაიდან ეფექტურად მიმდინარეობს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სწორი სამართლებრივი რეგულირება და მიუხედავად ფასებისა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა, ეკონომიკის განვითარება ქაოსური აღარაა და ხდება მისი გააზრებული მართვა „შოკური თერაპიის" პრინციპებით. მართალია, საზოგადოება ამ პროცესებს მტკივნეულად აღიქვამს, მაგრამ მისი შედეგი ეფექტური და სწრაფია, ამიტომ ეკონომისტები ხშირ შემთხვევაში მიმართავენ ასეთ რადიკალურ რეფორმებს.

„შოკური თერაპია" გამოყენებულ იქნა დასავლეთ გერმანიაში მერე მსოფლიო ომის შემდეგ, პოსტკომუნისტური პერიოდის პოლონეთში ლეშეკ ბალცეროვიჩის გეგმის მიხედვით, ჩეხოსლოვაკიაში – კლაუსის გეგმით, რუსეთში იგი განხორციელდა 90-იან წლებში ეგორ გაიდარის, ხოლო საქართველოში – რომან გოცირიძის პრემიერობის პერიოდში.

აღნიშნული რეფორმა ითვალისწინებდა ისეთ მნიშვნელოვან საფინანსო ოპერაციებს, როგორცაა: ფასების მომატება, შემოსავლების შეზღუდვა, საპროცენტო განაკვეთების გაზრდა და ბრუნვაში არსებული ფულის შეზღუდვა, ანაბრებსა და დეპოზიტებზე პროცენტების გაზრდა მოსახლეობის მხრიდან ბანკებისადმი ნდობის აღდგენის მიზნით, წამგებიანი საწარმოებისადმი სახელმწიფო ხარჯების შეწყვეტა, საგადასახადო სისტემის სრულყოფა, იმპორტის შეზღუდვა და ექსპორტის განვითარება, სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვა ეკონომიკურ და ფინანსურ პროცესებში, სოციალური დახმარებების აღმოჩენა ქვეყნის უღარიბესი მოსახლეობისადმი და მრავალი სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ „შოკური თერაპიის" გამოყენება ყველა ქვეყანაში არ იძლევა ეფექტურ შედეგებს, რაც გამოწვეულია ამა თუ იმ ქვეყნისა და მასში მცხოვრები ერებისათვის დამახასიათებელი ტრადიციებით, ჩვეულებებით, მისი ბუნებით.

ამიტომ იყო, რომ საქართველოში, სადაც მოჭარბებული ტემპერამენტის ადამიანები ასეთ შოკს განსაკუთრებული სიმწვავით განიცდიან, ბალცეროვიჩის მოღვაწეობას განსაკუთრებული ეფექტი არ ჰქონია. ალბათ, უფრო პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ეს პროგრამა საქართველოში ჩაიშალა.

საქართველოში „შოკური თერაპიის" ჩავარდნის მიზეზად მისი დროში გაწელვაც სახელდება, რომლის გადატანა ნებისმიერ ერს გაანადგურებდა, მაგრამ საქართველოს მოსახლეობამ მთელი თავისი ოპტიმიზმი და სოცოცხლის გადარჩენისკენ, თავისუფლებისკენ სწრაფვის არნახული უნარი გამოამჟღავნა.

რაც შეეხება „გრადუალიზმის" კონცეფციას, იგი თანდათანობითი ტრანსფორმაციის პრინციპს აფუძნებს და აქცენტს აკეთებს წარმოების განვითარებასა და სტაბილიზაციაზე. ამასთან, იგი არ ეხება ფინანსურ სტაბილიზაციასა და ინფლაციური პროცესების შეჩერებას. ამ კონცეფციის წარმომადგენლებს ავიწყდებათ, რომ წარმოება ვერ განვითარდება და მით უმეტეს, იგი ვერ გახდება ეკონომიკური ტრანსფორმაციის გარანტი, თუ წარმოების განვითარებასთან ერთად არ განვითარდება ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, არ შემოვა ინვესტიციები, არ იქნება სახელმწიფოს ნება — ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენოს ისინი, თუ არ იქნება ეკონომიკის ჭეშმარიტად ადამიანური სამართლებრივი რეგულირება და მრავალი სხვა ფაქტორი. საწარმოო სისტემის ინერტული განვითარება, რასაც აღნიშნული კონცეფციის მომხრენი ეყრდნობიან მოკლებულია აქტიურ, მებრძოლ, გააზრებულ და შემოქმედებით მიდგომას, რომელიც ეკონომიკაში უფრო მეტ შედეგს მოგვცემდა.

მეცნიერები ასახელებენ ასევე „ჰეტეროდოქსულ" და ინსტიტუციურ კონცეფციებს, რომლებიც ზემოაღნიშნული კონცეფციების სრულ ანტიპოდს წარმოადგენენ და თეორიული, ინსტიტუციური რეფორმებითა და ამ თეორიების ერთმანეთთან შეთავსებით სურთ ტრანსფორმაციის ეფექტიანი განხორციელება. მათი დასკვნით: „შოკური თერაპიის" კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს ფინანსურ სტაბილიზაციაზე, ფასების

ლიბერალიზაციაზე, შიდა ბაზრის გახსნაზე, პრივატიზებაზე, რეფორმების სწრაფად განხორციელებაზე. „გრადუალიზმისათვის“ მთავარია წარმოებისა და დასაქმების სტრუქტურული ადაპტაციის პრობლემა, კაპიტალის დაგროვების პროცესი, სამრეწველო პოლიტიკის გატარება, რეფორმების ეტაპობრივად რეალიზაცია[11]. „ჰეტეროდოქსული“ სტრატეგია ორივე ამ კონცეფციის ღონისძიებათა შეთავსებას ცდილობს. ინსტიტუციური ტრანსფორმაცია კი, წინა პლანზე ინსტიტუტების ეფექტიანობას, საკუთარი უფლების უზრუნველყოფას, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ანტიმონოპოლიურ რეგულირებას აყენებს.

ტრანსფორმაციის ცნობილი თეორიებიდან შეიძლება გამოვყოთ ტრანზიტოლოგიის, სტრუქტურალიზმის, კომპარატივისტიკისა და მრავალი სხვა თეორიები, რომელთა საერთო ნაკლს წარმოადგენს ეკონომიკის ტრანსფორმაციისადმი ცალმხრივი მიდგომა. ტრანსფორმაცია კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რთული ფენომენია და ცალმხრივობას ვერ ეგუება.

აქ ლოგიკურია აღვნიშნოთ ა. კურატაშვილის ცნობილი ფორმულა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა სისტემის პერიოდში, გეგმიანი სამეურნეო სისტემის მძლავრად არსებობის გარემოში შეიქმნა და რომელიც დღესაც ძალზე თანამედროვედ ჟღერს: ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების ასაშენებლად ყველა გზა, ფორმა და მეთოდი გამართლებულია, თუ ისინი ემსახურება ადამიანებისა და საზოგადოების ინტერესებს და გამორიცხავს ანტისოციალურ მოვლენებს[12]. ამის დასტურია ჯ. გელბრეიტის მოსაზრებაც, რომლის თანახმად გეგმიანი ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკასთან ერთად ფუნქციონირებს და შერეულ ეკონომიკას აყალიბებს, რაც თანამედროვე ეკონომიკური მოთხოვნების ეფექტური რეალიზაციისა და მისი მართვის მტკიცე საფუძველია[13].

---

[11] პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ.: 2001, გვ. 89.

[12] Кураташвили А. Теория социально-экономических законов. Тб.:1982, с.40.

[13] Гельбрейт Дж. К. Новое индустриальное общество. М.:1969бс.31.

ტრანსფორმაცია შერეული ეკონომიკის ჩამოყალიბებას გულისხმობს, რომელშიც მთელი სოციალური სპექტრი მონაწილეობს პოლიტიკური და სხვა ინსტიტუტების ჩათვლით, რამეთუ რომელიმე მათგანის ჩამორჩენა ან გაუთვალისწინებლობა ამუხრუჭებს ეკონომიკის განვითარებას. ტრანსფორმცია სოციალურად ორიენტირებული და დემოკრატიულად გეგმიანი ეკონომიკის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად, რომელიც მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოს, ძლიერი საზოგადოებისა და ძლიერი და ჰუმანური პიროვნებების ნებაზეა დამყარებული. მათ მიერ ტრანსფორმაციისადმი შემოქმედებითი მიდგომა ტრანსფორმაციის პროცესს ერთჯერად ხასიათს არ მისცემს, ვინაიდან ამ პროცესს მხოლოდ მაშინ ექნება სრულყოფილი ეფექტი, როდესაც მას მუდმივმოქმედი, განუწყვეტელი ხასიათი ექნება.

ამასთან, მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნების გარდა საზოგადოებაში არსებობდეს ურთიერთშეთანხმების, ურთიერთნდობისა და ურთიერთდახმარების ფაქტორები, რომლებიც საზოგადოების სოლიდარობის გარანტია და რომლებიც ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს შექმნის როგორც ეკონომიკაში, ასევე მთელ სოციალურ სპექტრში. ასეთი მიდგომა შეცვლის გათითოკაცებულ ბიზნეს გარემოს, რომელმაც ჩვენში მოიკიდა ფეხი და ადამიანთა მიმართ გაუცხოების მაქსიმალური შედეგი მოგვცა, რომლის შედეგები სრულიად აშკარაა: ქვეყანაში ფაქტიურად არ არსებობს მეცენატობის ინსტიტუტი, სახელმწიფოს ნება — არ არსებობდნენ დაუსაქმებელი და თვითრეალიზაციის სურვილს მოკლებული, ღირსებაშელახული ადამიანები, მივიწყებას მიეცა გამოცდილების გაზიარების ტრადიცია — არადა ადამიანი ხომ საზოგადოებრივი არსებაა, სწორედ საზოგადოებაში მჟღავნდება მისი შემოქმედებითი ნიშან-თვისებები, მისი უნიკალურობაცა და ის აუცილებლობაც, რაც მისივე მიზნის დასახვაში მჟღავნდება. საზოგადოებაა მისი ფორმირებისა და შეფასების კრიტერიუმიც. ამიტომ, თუ საზოგადოებას ყოველივე ამის უნარს დავუკარგავთ, შედეგები მართლაც სავალალო იქნება. ტრანსფორმაცია მაშინაა შედეგიანი, როდესაც იგი ხორციელდება

არა მხოლოდ რომელიმე განვითარებული სახელმწიფოს წარმატებული მოდელით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ამ ფაქტორების მიგნებითა და მათი პრაქტიკაში გამოყენებით.

ერთ-ერთ ასეთ ფაქტორად მიგვაჩნია „პიროვნულ-ადამიანური საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც გულისხმობს სიცოცხლის სიყვარულზე დამყარებულ საზოგადოებას, სადაც ძლიერი და ჰუმანური ინდივიდები ასევე ძლიერ და ჰუმანურ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შექმნიან და რომლებიც, სწორედ იმიტომ, რომ სიცოცხლის უმაღლესი ღირებულება კარგად აქვთ გათავისებული, საზოგადოების ყველა წევრის პრობლემას ისე განიცდიან, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის ტკივილს.

აქედან გამომდინარე, ტრანსფორმაციის ისეთი წარმატებული მოდელები, როგორებიც სოციალურ-ლიბერალური, ევოლუციური თუ რევოლუციური ტიპები, მათი მექანიკური გადმოტანა ვერ იქნება ეფექტიანი, თუ ისინი არ დაეყრდნობა ქართულ გენეტიკაში არსებულ მართლაც უნიკალურ თვისებებს — ურთიერთგაგებას, მეგობრობას, ადამიანებისადმი სიყვარულს, ტოლერანტობას, თავისუფლებისაკენ სწრაფვის განუმეორებელ სურვილს, სამშობლოსადმი განსაკუთრებულ სიყვარულსა და მრავალ სხვა თვისებას, რომლებიც ტრანსფორმაციის ზემოაღნიშნულ მოდელებს გაცილებით ეფექტურს გახდის.

ამ თვისებების წინ წამოწევა და მათთვის ახალი სულის შთაბერვა გამოგვიყვანს იმ სულიერი და მატერიალური კრიზისიდან, რაც დაინერგა კაპიტალიზმისა და მისთვის დამახასიათებელი მგლური კანონებისა და ურთიერთობების შემოტანით და რამაც ისეთი ეგზალტირებული საზოგადოება ჩამოაყალიბა, რომელიც დღეს ჩვენს თვალწინ არსებობს და ქვეყანას კატასტროფისაკენ მიაქანებს.

ასეთ სიტუაციაში ფინანსური პოლიტიკა საერთოდ მწვავე კრიზისს განიცდის. კრიზისი ეხება ყველა მის ძირითად მიმართულებას, იქნება ეს სახელმწიფო საბიუჯეტო პოლიტიკა,

არასაბიუჯეტო ფონდების ფუნქციონირება, საწარმოთა ფინანსების რეგულირება, ფინანსური ბაზრების განვითარება თუ სხვა მრავალი.

ამას ემატება წარმოების დაბალი დონე, „ჩრდილოვანი ეკონომიკა", ეკონომიკური ზრდის სტიმულირების არ არსებობა, საგადასახადო სისტემის არასრულყოფილება და მისი პრაქტიკასთან დაუკავშირებლობა, ამის გამო კი საგადასახადო კონტროლის არაეფექტურობა.

მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემების მოწესრიგებაში მთავარი ფაქტორი სახელმწიფოს ნების არსებობაა, თუმცა მთელი საზოგადოება რომ იყოს დაინტერესებული საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფით, იგი სახელისუფლებო ინსტიტუტებს აიძულებდა სწორად ემართა ეკონომიკის ეს უმნიშვნელოვანესი რგოლი

უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით ხელისუფლებამ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებებისა, კერძოდ ჩამოყალიბდა საგადასახადო სამსახურის რეფორმის პროგრამა, რომელიც 2000 წ. 8.08 იქნა მემორანდუმის სახით გაფორმებული აშშ-სა და საქართველოს მთავრობებს შორის, რაც საგადასახადო სისტემის კომპიუტერიზაციას ითვალისწინებდა. ასევე გაფორმდა კონტრაქტი ინგლისურ საბაჟოსა და საქართველოს საბაჟოს შორის, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა „აიტიესის" სამსახური, რომელსაც იმპორტიორებმას თავისი საქონლის შესაძლო ტრანსპორტირებამდე 7 დღით ადრე უნდა გააცნონ საქონლის შესახებ მთელი დოკუმენტაცია, რათა მოხდეს სწორი ინსპექტირება ექსპორტიორ ქვეყანაში. ამით უნდა გამოსწორებულიყო საბაჟოზე არსებული დარღვევები, მაგრამ უკეთესი შედეგი ვერ მივიღეთ. შედეგი ვერ მოგვცა აგრეთვე საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებამ ამ სფეროში და სტრუქტურულმა რეორგანიზაციამ, მსხვილ გადამხდელთა და გენერალური ინსპექციების შექმნამ, კონტროლისა და სანქციების გამკაცრებამ.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემის მოგვარების გასაღები თვით საზოგადოებაში ძევს. სწორედ საზოგადოება უნდა გახდეს შორსმჭვრეტელი და თავისი კერძო ინტერესებს მომავლის

პერსპექტივები შეუსაბამოს, ვინაიდან, ჩვენდა იმედად, ადამიანის აზროვნებითი უნარი მომავლის გათვლასაც ახერხებს და ამიტომ მას უფლება არა აქვს არ გამოიყენოს ეს შესაძლებლობა და მხოლოდ დღევანდელი დღით შემოიფარგლოს. მომავალი თაობა ამას არ გვაპატიებს.

წლების განმავლობაში სავალალო მდგომარეობაში იყო სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც წლიდან წლამდე სულ უფრო მკაცრ სეკვესტრში ექცეოდა. მცირდებოდა კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების წილი, მცირდებოდა სახელფასო წილი და საქონლისა და მომსახურების წილი. სამაგიეროდ, იზრდებოდა დაკრედიტების, პროცენტების გადახდის, სუბსიდიებისა და ტრანსფერების წილი, შემოსავლები კი, როგორც აღვნიშნეთ, ძალზე მცირე იყო, რაც, ბუნებრივია, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ვერ შესძლებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა სოციალური პრობლემების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, თავდაცვის უნარიანობის განვითარება, რაც ქვეყნის უპირველესი საზრუნავია.

გამოსავალს ხშირად უცხოური კრედიტების მოზიდვაში ხედავენ, მაგრამ კრედიტს გასტუმრება უნდა. როგორც ჯ. სოროსი აღნიშნავს, კრედიტი არასტაბილურობის წყაროა. მისი აზრით: ქვეყნები, რომლებიც უცხოური კრედიტების ანკესზე წამოეგებიან, შემდგომში ძალიან უჭირთ მისგან თავის დაღწევა... თუმცა მოვალე ქვეყნები იძულებულნი არიან გადაიხადონ თავისი შესაძლებლობის ფარგლებში აღებული კრედიტი. ეს ტვირთი მძიმედ აწვება მათ მრავალი წლის განმავლობაში[14].

სრულიად ვიზიარებთ ჯ. სოროსის სამართლიან მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ კრედიტების აღება სახელმწიფოს დამლუპველია, განსაკუთრებით ეკონომიკურად ჩამორჩენილი და ჩრდილოვანი სამართლის მქონე სახელმწიფოსთვის, ვინაიდან მისი საზოგადოების დამშეული ფსიქიკა ვერ მოახერხებს კრედიტის რაციონალურად და მიზნობრივად გამოყენებას. ამიტომ, უფრო

---

[14] Сорос Дж. Кризис мирового капитализма. Пер. с английского. М.: 1999,с.14-15

გონივრული იქნება, თუ კრედიტის აღებისგან თავს შევიკავებთ და საკუთარი ძალებით ვეცდებით მდგომარეობიდან გამოსვლას. სწორედ საზოგადოების მოშლილი და დაავადებული ფსიქიკის შედეგია, რომ გაიძარცვა ფაბრიკა-ქარხნები, ორგანიზაციები და გაპარტახდა მეურნეობები.

ბევრმა არეულობით ისარგებლა და დაიტაცა საბანკო ანაბრები, ერთი მეორის მიყოლებით კოტრდებოდა ახლად შექმნილი საფინანსო ორგანიზაციები, კერძო ბანკები და თან მიჰქონდათ არაერთგზის მოტყუებული მოსახლეობის უკანასკნელი ფინანსები. ასეთი საზოგადოების არსებობის შემთხვევაში კრედიტის აღება სრულიად მიუღებელია.

ეკონომიკის პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია გულისხმობს ეკონომიკური თანასწორობის პრობლემის ჭეშმარიტი არსის ახსნას. ცნობილია, რომ მისი მთავარი პრობლემა სოციალიზმის ფუნქციონირების პირობებში იყო განაწილებაში თანასწორობა, მიუხედავად ადამიანთა შორის არსებული განსხვავებისა ნიჭიერების, შრომისმოყვარეობის, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომისა და ა.შ.

აბსოლუტური თანასწორობა ადამიანთა შორის არ არსებობს. ისინი არც სოციალურად არიან თანასწორნი, თუმცა საზოგადოებრივი კონსესუსი მიღწევადია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი ყველანი ადამიანები არიან. მაგრამ, განაწილებაში თანასწორობა სხვებზე უფრო ნიჭიერ და შრომისმოყვარე ადამიანს გარკვეულწილად ჩაგრავს, ხოლო უნიჭო და ზარმაცი კაცი დაუმსახურებლად იღებს სხვისი შრომის ნაწილს. ყოველივე ეს კი ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში შესაძლებლობათა თანასწორობასა და შედეგების თანასწორობაზე საუბრობენ და მას თანამედროვე დემოკრატიის ლამაზ სიტყვებად და მხოლოდ ეთიკურ ცნებებად მიიჩნევენ. ა. სამუელსონი, უილიამ დ. ნორდჰაუსი და მრავალი სხვა თანამედროვე მეცნიერი, რომლებიც თვით ცნება „ბაზარს" და „დემოკრატიასაც" კრიტიკულად აფასებენ

(მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ) და რომლებსაც, მათი აზრით, არაფერი აქვს საერთო სოციალურ ფასეულობებთან, და რომ ბაზარი — უგრძნობელი, გულგრილი მექანიზმია, რომელსაც არ გააჩნია სინდისი, არ ცნობს მორალურ ნორმებს, ხოლო შემოსავლებსა და სიმდიდრეს არათანაბრად ანაწილებს.

და, მიუხედავად ამისა მაინც ბაზარი, თავისუფალი იქნება იგი, სოციალურად ორიენტირებული თუ სახელმწიფოს მიერ მართული, მაინც არსებობს და მისადმი ინტერესი ჯერაც არ განელებულა იმ ქვეყნებშიც კი, რომლებშიც ბაზარი საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. ასეთი ინტერესი ბაზრისადმი მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის მიღებით არ განისაზღვრება. ბაზარი — ერთგვარი არენაა, სადაც ადამიანებს საშუალება ეძლევათ წარმოადგინონ თავიანთი შესაძლებლობები: სწრაფი, მოქნილი და ლოგიკური აზროვნება, სწორი გათვლა, მოთხოვნა-მიწოდების პროგნოზირების უნარი და ა.შ., როგორც მატერიალურ წარმოებაში, ასევე სულიერ, შემოქმედებით საქმიანობაში. ბაზრის საშუალებით ადამიანები ღებულობენ საკუთარი მოღვაწეობის გარკვეულ შეფასებას, რაც, ბუნებრივია, მათთვის ძლიერი ადამიანური სტიმულია.

საბაზრო ურთიერთობებში ადამიანურ გრძნობად სისუსტეებს ადგილი არა აქვს და სწორედ ამიტომ იგი გულგრილი და უგრძნობელია. მისი საყრდენია საკუთარი პოზიციების რეალური შეფასებისა და სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი, განსაკუთრებით ექსტრემალურ სიტუაციებში, რაც ადამიანს უყალიბებს აქტიური და ინდივიდუალური მოქმედების აუცილებელ ჩვევებს — თვითონ აირჩიოს, დამოუკიდებლად გამოხატოს თავისი ნება და თვითონვე იქონიოს პასუხისმგებლობა საკუთარ არჩევანსა და მოქმედებაზე.

ბაზარი — მრავალმხრივი საქონელგაცვლის სფეროა, როგორც ადგილობრივი, ასევე საგარეო მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ვინაიდან იგი არა მარტო სამამულო პროდუქტს ცვლის, არამედ საშუალებას იძლევა მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების მიღწევებსაც გავეცნოთ და დავეუფლოთ. ბაზარი —

ინსტიტუციონალიზმის ერთგვარი გამოხატულებაა, რომელიც ადამიანთა სხვადასხვა ფენასა და სოციალური ინსტიტუტების განსაკუთრებულ ერთიანობას წარმოადგენს.

სოციალიზმის ფუნქციონირების პირობებში ბაზარს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა, კაპიტალიზმისა და, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკისათვის კი ბაზარი მათი სპეციფიკური და აუცილებელი ატრიბუტია, რომელიც თავის შემდგომ განვითარებას მსოფლიო ბაზრად ჩამოყალიბებაში გამოხატავს, აერთიანებს რა სხვადასხვა ერების საბაზრო ურთიერთობებს.

მსოფლიო ბაზარი აყალიბებს მსოფლიო ღირებულებათა სისტემას, მსოფლიო ფასებს, ნებისმიერ პროდუქტზე, სამუშაო ძალაზე, წარმოების საშუალებებზე, მოხმარების საგნებსა და სასესხო კაპიტალზე და ამით ცდილობს ხელთ ეპყრას მოგების რაც შეიძლება მეტი სადავეები, აკონტროლოს მსოფლიო პოლიტიკა, ეკონომიკა, ფინანსები, სხვადასხვა ერების სულიერი, რელიგიური თუ საგანმანათლებლო განვითარების გზებიც კი.

ბაზარი — საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებაა, ვინაიდან მასში ადამიანები წარმოადგენენ თავიანთ ნამოღვაწარს. ბაზარი — შეფასების საშუალებაცაა, ვინაიდან სწორედ აქ ხდება შერჩევა საუკეთესოთა შორის საუკეთესოსი.

აქედან გამომდინარე, ბაზარი, თავისი მკაცრი მოთხოვნებით, ხელს უწყობს საზოგადოებისა და თვითოეული ინდივიდის ინტერესების წარმოჩენასა და განვითარებას. ბაზარი არ ღებულობს უხარისხოსა და მოძველებულს, თავის მხრივ ვერც ადამიანები ბედავენ ბაზარზე წუნდებული პროდუქციის წარდგენას, რაც უდიდესი სტიმულია საქმისადმი ჭეშმარიტად შემოქმედებითი მიდგომისა და, მაშასადამე, ეკონომიკური პროგრესისათვის. ბაზრის „უხილავი ხელი" კი, რომელიც ბაზრის მონაწილე სუბიექტთა ინტერესების ურთიერთთანხმობასა და გარკვეულ კანონზომიერებას განაპირობებს, სხვა არაფერია, თუ არა ის კაპიტალი, რომელიც აქტიურადაა ბრუნვაში ჩართული და ბაზრის ფუნქციონირებას

არეგულირებს. ხოლო იქ, სადაც კაპიტალია წამყვანი ძალა, მორალური ნორმებისა და სინდისის მნიშვნელოვანი დეფიციტია.

ამდენად, თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირება ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, რომელმაც მისი მონაწილეების თანასწორუფლებიანობა უნდა უზრუნველყოს. მაგრამ, ვინაიდან ბაზარი კონკურენციის მძლავრ ტალღას მოიცავს, მასში ყოველთვის იქნება გამარჯვებული და დამარცხებული, მდიდარი და ღარიბი, წარმატებული და წარუმატებელი. ეს კი არღვევს ბაზრის მონაწილეთა თანასწორობას.

ამიტომაა, რომ თავისუფალ ბაზარზე მეტად სოციალურად ორიენტირებულ ბაზარს ანიჭებენ უპირატესობას, რომელიც არ დაუშვებს რომელიმე საწარმოს მონოპოლიას, არეგულირებს ფასწარმოქმნის მექანიზმს, გააკონტროლებს საგადასახადო სისტემის ეფექტიანობას, ხელს შეუწყობს ეროვნული ვალუტის განმტკიცებასა და მსყიდველობითი უნარის შენარჩუნებას, რაც სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, გააუმჯობესებს სამამულო პროდუქციის ხარისხს და ამით გაზრდის ექსპორტს და შეამცირებს იმპორტს, ხოლო ყოველივე ეს განაპირობებს უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვას, და, მაშასადამე, ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერებასა და სიღარიბის აღმოფხვრას.

როგორც ფ. ლ. ფონ ჰაიეკი მიუთითებს, თავისუფალი კონკურენციის აღიარება ნიშნავს შეგნებულ საზოგადოებრივ კონტროლზე უარის თქმას[15]. თავისუფალი კონკურენციის პრინციპებს იზიარებდნენ როგორც ლიბერალები, ასევე ფიზიოკრატები და ისტორიული სკოლის წარმომადგენლები. ამის ნათელი მაგალითია კ. ჰაინემანის მიერ ბაზრის, როგორც რაციონალურობის სპეციფიკური ფორმის განხორციელება, რომლის შედეგსაც წარმოადგენს თამაშის მოქმედი წესები[16].

---

[15] F. von Haiek. Droga do neiwolnictwa. Wroclaw 1989, p.23.

[16] KK. Heinemann. Elemente einer Soziologic des Markets. "Kolner Zeitschrift fur Soziologoc und Sozialpsichologic", No 28,1976,p.48.

ვერ დავეთანხმებით ლიბერალების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეკონომიკური თავისუფლება უზრუნველყოფს პოლიტიკურ თავისუფლებას. პირიქით, ჩვენი აზრით, სწორედ პოლიტიკა განსაზღვრავს ეკონომიკას და მის თავისუფლებას. რაც შეეხება კონკურენციას,იგი აუცილებელი პრონციპია ნებისმიერ საბაზრო თუ სოციალური ორიენტაციის პირობებში. ბუნებრივია ეს არ ნიშნავს სახელმწიფოს როლის უგულებელყოფას ამ პროცესებში. პირიქით, სწორედ სახელმწიფოს ხელშეწყობით უნდა განხორციელდეს ჯანსაღი კონკურენცია, რაც ეკონომიკური თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის საფუძველია. მართალია, თანამედროვე ბაზარი უპირატესობას საზოგადოებრივ მარკეტინგს და კონკურენციის შეზღუდვას ანიჭებს, თუმცა საზოგადოებრივი მარკეტინგი სწორედ კონკურენციის წესებს ემყარება. ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელება კი სახელმწიფოს ბევრად უფრო ეფექტიანად შეუძლია, ვიდრე ნებისმიერ კერძო გაერთიანებას მთელი თავისი თავისუფალი ბაზრით.

როგორც პროფესორი ვ. პაპავა აღნიშნავს, სახელმწიფოს ვალია ხელი შეუწყოს თავისუფალ კონკურენციას ზედმეტი ბარიერების მოშლით, რათა საბაზრო ინფორმაცია დაუბრკოლებლად გადადინდეს.

ამ მიზნით აუცილებელია სამართლებრივი ბაზისა და შესაბამისი ატმოსფეროს შექმნა და ეკონომიკის სტაბილიზაცია, რაც ინფლაციის დაბალი და დასაქმების მაღალი დონის შექმნაა. ასევე სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულირება, ეკონომიკურ სუბიექტებს შორის წინააღმდეგობათა პროფილაქტიკა, ომის დროს ეკონომიკის უშუალო მართვა, გრძელვადიანი პროგრამების მართვის ფუნქციები უნდა განხორციელდეს და ადამ სმითისეული „უხილავი ხელი" სახელმწიფოს „ხილული ხელით" უნდა შეიცვალოს, რაც თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გადახვევას ნიშნავს[17].

---

[17] ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ.,2005, გვ. 73-74.

ექსტერნალიების, საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების აუცილებლობის, მონოპოლიური წარმონაქმნების მხრიდან საბაზრო ინფორმაციის გავრცელების, კაპიტალის გადინების და ე.ი. კონკურენციის შეზღუდვის გამო ბაზარი აგენტების თანასწორობას ვერ უზრუნველყოფს და ირღვევა თანასწორობა.

ამ შემთხვევაში სახელმწიფოს აგრეგირებული ფუნქცია თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გადახვევის შემცირებაა... ამასთან, სახელმწიფოს ,,ხილული ხელი,, თავად არ უნდა იყოს მანკიერი და არ შეაფერხოს საბაზრო თანასწორობა. როგორც ცნობილია, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია ბაზრის უთანასწორობას განიცდის, ვინაიდან აქ ჯერაც არაა ჩამოყალიბებული გამართული საკანონმდებლო ბაზა. რთული იყო აგრეთვე საბჭოთა ადამიანის ცნობიერების გადაწყობა ეკონომიკურ რელსებზე. მაგრამ ამ რთულ გზაზე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში როგორც ნომენკლატურულ თანამდებობაზე მყოფ ადამიანებს, ასევე ნებისმიერ მოქალაქეს საბაზრო ეკონომიკის ანბანი უნდა გაეთავისებინათ.

აღნიშნული პროცესი ადამიანთა მრავალ ნაკლს ჰფენდა ნათელს, რაც კორუფციაში, მიტაცებაში, ქვეყნის საწარმოთა გაპარტახებაში, ერთმანეთის ე.წ. „გადაგდებასა" და, საბოლოო ჯამში მთელი ეკონომიკის დაქცევაში გამოიხატა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით, სახელმწიფო —ეკონომიკურ პოლიტიკაში განასხვავებენ უტილიტარულ, ლიბერალურ და ლიბერტანიანულ ფილოსოფიურ მიდგომას. უტილიტარული — გამოყენებითს ნიშნავს და პიროვნული მოთხოვნების დაკმაყოფილების ტოლფასია". ეს კი საზოგადოებაში უთანასწორობის მნიშვნელოვანი საფუძველია. იგი მიუღებელია როგორც პოსტკომუნისტური, ასევე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის, ვინაიდან მონოპოლიურ განვითარებას განაპირობებს.

რაც შეეხება ლიბერალიზმს, იგი ისეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური მიდგომაა, რომელიც ჭეშმარიტი თავისუფლებისაგან განსხვავებით უფრო მორჩილ თავისუფლებასა და სამართლიანობას

გამოხატავს. სწორედ ამიტომ იგი საზოგადოების უღარიბესი წევრების კეთილდღეობასაც ემსახურება.

ლიბერტანიანიზმის მთავარი პრინციპი კი, როგორც პროფესორი ვ.პაპავა აღნიშნავს, არის დამნაშავეთა დასჯა და ნებაყოფლობითი შეთანხმებით თანასწორობის უზრუნველყოფა, ანუ საბაზრო თანასწორობის ეკონომიკური პოლიტიკა სწორედ ლიბერტანიანიზმს ემყარება. მისი ალტერნატივაა ე.წ. „შედარებითი ფასეულობის დოქტრინა", რომელიც სამუშაოთა კლასიფიკაციას ადგენს განათლების დონის, გამოცდილების, პასუხისმგებლობის, შრომის პირობებისა და ა.შ. მიხედვით და ხელფასიც ამის მიხედვით უნდა დაკანონდეს სახელმწიფოს მიერ. სწორედ მან უნდა შეიმუშაოს სპეციალური პროგრამები დისკრიმინაციის წინააღმდეგ[18]. ზემოაღნიშნული მიდგომებიდან ბოლო ორი – ლიბერალიზმი და ლიბერტანიანიზმის სინთეზი მიაჩნია ავტორს ჰორიზონტალური თანასწორობისა და სახელმწიფოს „ხილული ხელის" მხარდაჭერის გარანტად თითოეული მეწარმისათვის, ჩრდილოვანი მეწარმეობის ლეგალიზაციისათვის[19].

ასეთმა მიდგომამ უნდა შექმნას საფუძველი, რათა იგი ნეკროეკონომიკიდან ვიტაეკონომიკაზე გადავიდეს. როგორც პროფესორი ვ.პაპავა მიუთითებს: „მკვდარ" ეკონომიკას მის მეტ-ნაკლებად ჯანსაღ ნაწილზე ვერავითარი ზეგავლენა ვერ უნდა ჰქონდეს.... განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს ასეც არის – კონკურენტუუნარო წარმოება ისე „ქრება", რომ ეკონომიკის დანარჩენ ნაწილს ვერანაირ პრობლემას ვერ უქმნის. პოსტსოციალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ნეკროეკონომიკის გავლენა სახელმწიფო სექტორის ვიტაეკონომიკაზეც, პრივატიზებულ ეკონომიკაზეც და ახალი ინვესტიციებით შექმნილ კერძო სექტორის ვიტაეკონომიკაზეც.

---

[18] ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005, გვ. 83.

[19] ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005, გვ.85.

აღსანიშნავია, რომ მართალია საბაზრო ეკონომიკა აქტიურად ახდენს გადარჩევას „სიცოცხლისუნარიან" და „მკვდარ" დარგებს შორის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები, თუნდაც ეს იყოს მრეწველობაში, ქვეყანას არ სჭირდება. პირიქით, მათი სტრატეგიულობა სწორედ მათი არსებობის აუცილებლობაზე მიუთითებს. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ამ ობიექტების გაცოცხლებას დიდი ინვესტიციები სჭირდება, რაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების შესაძლებლიბებში არ არსებობს.

ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობები მხოლოდ წვრილ ობიექტებს აცოცხლებს. უცხოური ინვესტიციები კი მსხვილ სამრეწველო ობიექტებს ნაკლებად წყალობენ, რადგან ეს მათ ინტერესებში არ შედის. რაც შეეხება ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენსა და სხვა პროექტებს — ისინი ჩვენი ქვეყნის საკუთრება არაა და პროდუქციის რაღაც ნაწილს, როგორც ტრანზიტულ ქვეყანას ისე გამოგვიყოფს.

გარდა ინვესტიციებისა, ამ პრობლემის სათავე პოლიტიკური ნების არქონა იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც ქვეყანა ქაოსმა და დაბნეულეობამ მოიცვა, რაც გამოწვეული იყო რევოლუციური ეიფორიით, დაუსჯელობითა და განუკითხაობით, საუკეთესო ნიადაგი შეექმნა საწარმოთა ძარცვას, თანამდებობის პირთა მიერ სპეციალურად გაკოტრებული საწარმოების ძარცვას, თანამდებობის პირთა მიერ სპეციალურად გაკოტრებული საწარმოების მისაკუთრებას მიზერულ ფასებში და მათ არადარგობრივად გამოყენებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ნეკროეკონომიკის არსებობა განპირობებულია როგორც პოსტსაქმოსანთა კლანის არსებობით, ასევე ე.წ. რუტინის ფუნქციონირებით,რომლის ქვეშ სტერეოტიპს მოიაზრებენ და ფირმის ჩამოყალიბებულ წესებსა და ხერხებს გულისხმობენ, ანუ იმ რეჟიმს, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში არსებობდა და რომელიც ისევე ინარჩუნებს საწარმოებზე ზეგავლენას, რაც მათ კლავს ან აბამს დავალიანებათა ქსელში. რა თქმა უნდა, ამ პრობლემას ალბათ ისევ სახელმწიფო მოაწესრიგებს, თუმცა სახელმწიფო თავის სექტორში არსებულ

ნეკროეკონომიკას ვერ უწყობს ხელს და კერძო სექტორის დახმარება, რა თქმა უნდა, გაუჭირდება. სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური გარემოს შექმნა, ახალი ფირმების ჩამოყალიბება ახალი ინვესტიციებით, რომლებიც კერძო საკუთრების ფსიქოლოგიას დაეყრდნობა, განვითარების საშუალებას მისცემს მათ. რაც შეეხება ამ პრობლემის სამართლებრივ მხარეს, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ძველი, ე.წ. ნეკროკანონების განახლებასა და ამით გაკოტრებული საწარმოების ახალი ინვესტიციებით მომარაგებაზე. ამასთან, უნდა განხორციელდეს პოსტსაქმოსნემის ნამდვილი მეწარმეებით ჩანაცვლება, ნეკროეკონომიკის მოსპობა, რაც საბაზრო ეკონომიკის ხელშემწყობი ინსტიტუტების შექმნით იქნება შესაძლებელი. ნეკროეკონომიკის მოსპობა კი პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკის ჭეშმარიტად კაპიტალისტურ ეკონომიკად გარდააქმნის პროცესის დასრულების ძირითადი და თანაც უტყუარი ინდიკატორია[20].

სამწუხაროდ, ნეკროეკონომიკა, ისევე როგორც ნეკროკანონები ისევ რჩება და ეს – ისევ სახელმწიფოს პოლიტიკური ნების გამოხატულებაა. მეწარმეების გააქტიურება, საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ხელშემწყობი ინსტიტუტების ჩამოყალიბებისადმი გაუბრალოებული მიდგომაც ასევე სახელმწიფოს პოლიტიკური ნების შედეგია, რომლის მენტალიტეტი, ცნობიერი და ქვეცნობიერი პროცესები ჯერ ისევ საბჭოთა ბიუროკრატიული და იმპერატიულია. ამიტომ, ყველაფერი ეს ჯერ კიდევ ძალიან შორსაა ჭეშმარიტად თავისუფალ ეკონომიკისა და "პიროვნულ-ადამიანური" საზოგადოებისაგან.

მანამ, სანამ ხელისუფლება და საზოგადაება არ გახდება ჭეშმარიტად თავისუფალი, არა მხოლოდ ეკონომიკურ და სამართლებრივ პროცესებს, არამედ მთელი სოციალური გარემოს ვერცერთ სეგმენტს ვერ გავაცოცხლებთ. ამას კი, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ნების არსებობა აუცილებლად ესაჭიროება.

---

[20] ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005, გვ.95.

დამტკიცებულია, რომ ადამიანის ცნობიერების გარდაქმნა ხანგრძლივი და რთული პროცესია. ჩვენში ნეკროეკონომიკის გახანგრძლივების მიზეზიც სწორედ ესაა. მისი დაძლევის მექანიზმები კი ძევს არა მხოლოდ თანამდებობის პირთა თავისუფალ ნებაში – გაეცნონ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის, სამართლისა და ა.შ. სფეროებს, არამედ ჩვენზე უფრო მეტად ცივილიზებული საზოგადოების მთელ შინაგან სტრუქტურასა და განვითარების გზებს, რათა მათ გაითავისონ ჩვენი ქვეყნისათვის მისაღები გამოცდილება.

სრულიად სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ა. კურატაშვილი, რომ თანამდებობის პირთა თავისუფლება არ ნიშნავს მთელი ერის თავისუფლებას[21]. სწორედ მთელი საზოგადოების თავისუფლებაა წარმატების საფუძველი ეკონომიკაშიც, სამართალშიც, პოლიტიკაშიცა და ა.შ. ეკონომიკური თავისუფლების პრობლემა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე უმნშვნელოვანეს როლს ასრულებდა. ისევე, როგორც მონათმფლიბელურ საზოგადოებაში მონების განთავისუფლებამ, მათთვის სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმოების თავისუფლებამ ჩაუყარა საფუძველი ფეოდალურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას, ხოლო კაპიტალისტური ფორმაციის შექმნა და განვითარება ასევე თავისუფალი აზროვნების მქონე, პროგრესული ადამიანების მიერ იქნა ფორმირებული.

დღეს კვლავ მნიშვნელოვანია თავისუფალ მეწარმეთა ფენა, რომელიც თავისი გონიერებით, ინიციატივით და გამოცდილებით შექმნის თავისუფალ ეკონომიკურ გარემოს. მაგრამ, ამისათვის პოლიტიკური თავისუფლებაა აუცილებელი, რომელსაც ხელისუფლება უნდა ფლობდეს არა იმპერატიული გადახრებით, არამედ ქვეყნისა და მთელი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით; არა კორუფციული აზროვნებით, რომელმაც ნამდვილ მტაცებელ მგელს დაამსგავსა ადამიანი და რომელიც

---

[21] ა კურატაშვილი. ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და სამეცნიერო კადრების ატესტაციის სისტემის რადიკალური გარდაქმნის აუცილებლობა. ჟურნალი "ინტელექტი",2000, 1(7), გვ. 160.

ხშირად თავისი უცოდინრობითაც ანგრევს ქვეყანას, არამედ მრავალმხრივი განათლებითა და ქვეყნისა და თავისი ხალხის სიყვარულით.

სამწუხაროდ, თანამდებობის პირებს შორის და საზოგადოების იმ ნაწილს შორის, რომელმაც სხვადასხვა გზით გარკვეული კაპიტალი დააგროვა, არცთუ იშვიათად ვხვდებით მხოლოდ საკუთარი „მე"—ს თვალსაწიერით შემოსაზღვრულ ადამიანებს, რომელთათვისაც საერთო-საქვეყნო პრობლემები არაფერს ნიშნავს.

ამ შემთხვევაში მაღალმორალური შეგონებებისა და ღირებულებების მოშველიება გამოსავალი ნამდვილად არ არის, არამედ საჭიროა ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ასეთ ადამიანებს აიძულებს სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად გარკვეული თანხები გაიღონ და მხარში ამოუდგნენ იმ ცნობილ ქველმოქმედ ადამიანებს, რომლებიც წარმატებით და დაუნანებლად ახორციელებენ ქვეყნისა და საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს პროექტებს და ყოველივე ამას მაღალ ტექნიკურ და ინსტიტუციონალურ დონეზე ასრულებენ.

1.3. ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების თავისებურებანი

როგორც წინა პარაგრაფებში აღვნიშნეთ, ეკონომიკის ტრანსფორმაციის გზაზე სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება მაკროეკონომიკურ გარემოს, საგარეო ვაჭრობისა და თავისუფალი ეკონომიკური ზონების ეფექტიან ფუნქციონირებას. ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რაც დანგრეული სოციალისტური სისტემის ეკონომიკის აღდგენისათვის იყო აუცილებელი — მაკროეკონომიკური სფეროს სტაბილიზაცია, ანტიკრიზისული პროგრამის შექმნა და განხორციელება იყო. ყოველივე ამის განხორციელება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარების გარეშე, მხოლოდ ადგილობრივი რესურსებით შეუძლებელი იყო. რეფორმა მოითხოვდა არა მხოლოდ ფულად-საკრედიტო და საფინანსო-

საბიუჯეტო გარემოს გარდაქმნა-გაჯანსაღებას, არამედ პრივატიზაციის ჩატარებას, რაც, სამწუხაროდ, დიდი დარღვევებით წარიმართა.

მაკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების საქმეში ლომის წილი საერთაშორისო ორგანიზაციებზე მოდის, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლების მონდომება რომ არა, არ გვექნებოდა ისეთი მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა საბანკო სფეროში, როგორიცაა 1995 წლის 23 ივნისის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი" და 1996 წლის 23 თებერვლის „საქართველის კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ", არ გვექნებოდა შედარებით სრულყოფილი საგადასახადო სისტემა და საქართველოს 2005წლის საგადასახადო კოდექსი, არ იქნებოდა სტაბილური ეროვნული ვალუტა, რომელმაც მთელი მოსახლეობისა და უცხოელი პარტნიორების ნდობა დაიმსახურა.

როგორც უცხოელი ექსპერტები მიუთითებენ, საფინანსო პოლიტიკის რეფორმა საბანკო სექტორში, კონკურენციის გაძლიერება, პროცენტულ განაკვეთზე გადასვლა, რომელიც ბაზრითაა დარეგულირებული, ბანკთა დამოუკიდებლობის გაზრდა საკრედიტო პოლიტიკის საკითხებში – ყველაფერი ეს იძლევა არა მხოლოდ განსაკუთრებულ შესაძლებლობებს, არამედ იწვევს სახელმწიფო ფირმებისათვის გარკვეულ სიძნელეებსაც. სახელმწიფო საწარმოები ჩვეულებრივ სარგებლობენ სახელმწიფო გარანტიებისა და კრედიტების მიღების პრივილეგიით, სუსტად კონტროლირებადი საპროცენტო განაკვეთებით საკრედიტო რესურსებზე. ამას გარდა, სახელმწიფო სექტორს ხშირად ათავისუფლებდნენ გადასახადისაგან, ქმნიდნენ რა ამით სესხების რთულ ქსელს. სახელმწიფომ მხოლოდ მას შემდეგ უნდა აიღოს თავის თავზე თავისი საწარმოების ვალები, ან უზრუნველყოს ისინი ახალი კაპიტალით, როდესაც იგი დააწესებს ახალ კრიტერიუმებს, რომლებიც შეზღუდავენ ასეთ ფინანსურ დახმარებას ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიან, პოტენციალერად

რენტაბელურ და ფინანსურ დისციპლინას დაქვემდებარებულ ფორმებს.

რეფორმა საბანკო-საფინანსო სისტემაში 90-იანი წლებიდან იღებს სათავეს და ეკონომიკური რეფორმის ყველაზე წარმატებულად მიმდინარეობს. ამ წარმატების უპირველესი მიზეზი იყო სახელმწიფოებრივი ნება, რომელიც ეკონომიკური გუნდის მაღალ კვალიფიკაციასა და კანონმორჩილებაზე იყო დამყარებული. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, რომ არ ყოფილიყო საერთაშორისო ორგანიზაციების უშუალო დახმარება და სარეკომენდაციო მითითებები, მხარდაჭერა და უდიდესი მონდომება მათი მხრიდან – აეღორძინებინათ ქართული ფულად-საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკა, ეს პროცესი საკმაოდ გაიწელებოდა დროში და შესაძლოა, არც ჰქონოდა ასეთი შედეგები. უცხოური საფინანსო ორგანიზაციები დღესაც გამოყოფენ მილიონობით დოლარს ქვეყნის საფინანსო პოლიტიკისა და მთელი ეკონომიკის ასაღორძინებლად.

რეფორმის მნიშვნელოვანი მონაპოვარია ეროვნული ბანკისა და მთელი საბანკო სისტემის ეფექტიანი მოღვაწეობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სახელმწიფო ჩარევისაგან დამოუკიდებელი საქმიანობის პრინციპები: ეროვნული ვალუტის სტაბილურობის შენარჩუნება, ფულადი ემისიისა და ფულადი მასის ბრუნვის მართვა, საფინანსო-საკრედიტო სფეროს რეგულირება, კრედიტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების რეგულირება, ზედამხედველობა და კონტროლი შესაძლო დარღვევების მიმართ, მომსახურების სფეროს გაუმჯობესება და საბანკო ოპერაციების დახვეწა, ბანკთაშორისი ურთიერთობების სისტემის გაუბჯობესება, სამთავრობო ორგანიზაციებთან და საზოგადოებასთან გამჭვირვალე საქმიანობის წარმართვა და მრავალი სხვა. ქვეყანაში საბანკო-საფინანსო სტაბილიზაციისა და საერთო ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორი სახელმწიფოები დღესაც მილიონობით დოლარს გამოყოფენ, მაგრამ ასეთი დახმარება არ შეიძლება გაგრძელდეს დაუსრულებლად. ამიტომ, მიღებული დახმარებები გამოყენებული

უნდა იქნას ქვეყნის ეკონომიკისათვის პრიორიტეტული დარგებისა და იმ ადამიანური პოტენციალის განვითარებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და დააჩქარებს მის ტემპებს.

გამართული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საფუძველია საწარმოათა აღორძინებისა, მათი გასხვისების შემცირების, ადგილობრივი პროდუქციის წარმოების და ამით საქართველოს გადაქცევისა იმპორტიორი ქვეყნიდან ექსპორტიორად. სწორედ ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს საწარმოების ფულადი უზრუნველყოფა, განუსაზღვროს მათ კრედიტები და მათი მიზნობრივად გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, საფუძვლიანად გათვლილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შესძლებს ამ საწარმოთა მიერ სახელმწიფოებრივი აზროვნების გათავისებას და მასთან შეთანხმებულ საქმიანობას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და მიზანდასახული და სწრაფი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს ქვეყნის ყოველდღიური ეკონომიკური ცხოვრების მაჯისცემას, აკონტროლებს მის ცვალებადობას და ინტენსივობას. ამასთან, იგი განსაზღვრულია თვით ცხოვრების ყოველდღიური მოთხოვნილებებით და იცვლება მათთან შესაბამისობაში.

სწორედ ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ხარისხი და წარმატებულობა განაპირობებს ამ ქვეყნისადმი სანდოობასა და პოზიტიურ დამოკიდებულებას უცხო სახელმწიფოების მხრიდან, რაც ნებისმიერი ქვეყნისათვის საუკეთესო სავიზიტო ბარათია მსოფლიოს ცივილიზებულ სივრცეში. ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ არ უნდა დაუშვას ე.წ. „იაფი ფულის" სისტემაზე გადასვლა, რაც გამოიწვევს მთელ რიგ არასასურველ პროცესებს, გააუფასურებს ეროვნულ ვალუტას, ეროვნულ პროდუქციას და მაშასადამე, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს მთელ ეონომიკურ სისტემას. ამ თვალსაზრისით, მეორე უკიდურესობაც, ანუ „ძვირი ფულის' პოლიტიკაც ასევე ასუსტებს

ეკონომიკას არასაკმარისი ფულადი რესურსების გამო. რაც შეეხება ე.წ. „ფართო ფულის" ზრდას, იგი ძირითადად განხორციელდება არა სარეზერვო ფულის მატების, არამედ ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის მოზიდვისა და საბანკო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზით ფულის მულტიპლიკატორის ზრდის ხარჯზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ვინაიდან ფულად-საკრედიტო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს ფასების სტაბილურობა წარმოადგენს, ამდენად, ეკონომიკის რემონეტიზაცია განხორციელდება სწორედ ამ მიზანთან სრულ შესაბამისობაში[22].

როგორც პროფესორი რ. კაკულია მიუთითებს, ანტიინფლაციური მიზნებისათვის სადისკონტო პროცენტის ამაღლება, ე.ი. „ძვირი ფულის" პოლიტიკა, ზღუდავს კომერციული ბანკების შესაძლებლობებს მიიღონ ეროვნული ბანკიდან სესხები. ამასთან, ერთდროულად ზრდის იმ ფასს, რომელიც კრედიტის სახით ეძლევა კომერციულ ბანკებს. ამის შედეგად ეკონომიკაში საკრედიტო დაბანდებები მცირდება და შესაბამისად მიმდინარეობს წარმოების შემდგომი ამაღლების დამუხრუჭება[23]. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამართული ფუნქციონირებით რეგულირდება საგადასახადო სისტემის ფუნქციონირება, ხოლო საგადასახადო სისტემის სრულყოფით, თავის მხრივ, მცირდება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრობლემები. ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს სესხებისა და კრედიტების გაცემის ეფექტურობა, რისთვისაც მან სწორად უნდა შეარჩიოს დაფინანსების ადრესატთა რენტაბელურობა, დაფინანსების პირობები, ვადიანობა და საპროცენტო განაკვეთები.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ პოლიტიკაში ერთდროულად შერწყმულია ფულად-საკრედიტო ერთიერთობების საერთო მაკროეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტებისა და

---

[22]ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის დაძლევის პროგრამა.თბ. 2003, გვ.115.

[23] რ. კაკულია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები. თბ., 2003, გვ. 411.

სტრუქტურული მნიშვნელობის ზომების გამოყენება, რომლებიც მიმართულია ინვესტიციების წახალისებაზე შერჩეულ, პრიორიტეტულ დარგებში[24]. რაც შეეხება ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომელიც თავისუფალი სახსრებისა და ინვესტიციების ეკონომიკურად ხარჯვას, მიზნობრივად გამოყენებასა და მდგრადობას ისახავს მიზნად. იგი მოიცავს საბანკო სექტორს, კაპიტალის ბაზარსა და სადაზღვევო სფეროს, რომელთა ეფექტიანი ფუნქციონირება შექმნის დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებს, მათი წარმოქმნისა და გამოყენების გამჭვირვალობას და ამით დამალული შემოსავლების აღკვეთას.

ამ თვალსაზრისით გათვალისწინებულია: კორპორაციული მართვის პრაქტიკის დამკვიდრება; ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშოისო სტანდარტების გამოყენება; საბროკერო კომპანიების განვითარება, იმ სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბება, (რომელთა გასხვისება გათვალისწინებული არ აყო ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში); სტრატეგიული ინვესტორისათვის აქციათა საკონტროლო პაკეტის ინვესტორისათვის მიყიდვის შემთხვევაში სახელმწიფოს ხელში აქციათა გარკვეული წილის დატოვება, შემდგომში მოსახლეობისათვის მისაყიდად; საინვესტიციო და საპაიო ფონდების ხელშეწყობა; დაზღვევის სფეროში საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის და ერთიანი სახელმწიფო ფონდის გაძლიერება; პროფესიული სადაზღვევო სწავლების დანერგვა და ა.შ.[25]

მაკროეკონომიკის გაუმჯობესების რეალური შედეგია ისიც, რომ ფინანსთა სამინისტროდან საბიუჯეტო ანგარიშები და საერთაშორისო რეზერვები გადატანილ იქნა ეროვნულ ბანკში,

---

[24] Василишен Э. Центробанк и коммерческие банки в новой кредитной системе.РЭЖ, №12.1993, с. 36.

[25] ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა. თბ.,2003, გვ. 138-139.

რითაც შეივსო მისი რეზერვები და საშუალება მიეცა ეროვნულ ბანკს ქვეყნის სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორში მიზანმიმართულად გამოეყენებინა მის ხელთ არსებული ფულის მასა. მოწესრიგდა და გამკაცრდა საბანკო ლიცენზირების წესები, ლიკვიდირებულ იქნა არამომგებიანი და აუცილებელი საწესდებო კაპიტალის არმქონე ბანკები, განხორციელდა ასეთი ბანკების გაერთიანება-შერწყმა, გაიზარდა საწესდებო კაპიტალის რაოდენობა, ამაღლდა მათი ლიკვიდურობა, შემცირდა და თითქმის მინიმუმამდე დავიდა სესხის გაცემა, ამაღლდა საპროცენტო განაკვეთი, შეიქმნა საზედამხედველო სამსახური, რომელსაც დაეკალა კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის, ლიცენზიების გაცემისა და გაუქმების, ნებისმიერი სახის შემოწმებისა და რეგულირების, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესების, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების დროებით ადმინისტრაციული მართვისა და ლიკვიდაციის პრობლემების გადაწყვეტის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად[26].

მაკროეკონომიკური პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტები, როგორიცაა: სწრაფი და მყარი ეკონომიკური ზრდა, ფასებისა და ეროვნული ვალუტის სტაბილურობის შენარჩუნება, სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნა, საგადასახადო-საბიუჯეტო მდგრადობისა და ზრდის უზრუნველყოფა, ექსპორტის ზრდა და იმპორტის შემცირება მიზნობრიობის სტადიიდან პრაქტიკულ და სწრაფად რეალიზებად ფაქტებად უნდა იქცეს.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საფუძველია ფისკალური სისტემის სტაბილიზაცია და ეფექტიანი ფუნქციონირება, რომლის განხორციელება საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკაზეა დამყარებული. ამ მიზნით 2005 წელს მიღებულ იქნა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც

---

[26] საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი. თბ., 2005.

გამარტივებული საგადასახადო სისტემით, გადასახადების განაკვეთის ოპტიმიზაციით, ექსპორტ-იმპორტზე გადასახადების შემცირებით, ხოლო უახლოეს მომავალში ზოგიერთ მათგანზე საერთოდ გაუქმებით, ხელს შეუწყოფს საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების ეფექტიანობის ამაღლებას.

რაც შეეხება საბიუჯეტო სფეროს, უკანასკნელი მონაცემების მიხედვით იგი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, თუმცა ეს მოხდა იმ მნიშვნელოვანი ობიექტების გასხვისების საფეძველზე და არა შიდა პროდუქტის მატების, მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და ექსპორტის გაფართოების გამო, რაც დროებითი მოვლენაა და მაშინვე შემცირდება, როგორც კი დამთავრდება საპრივატიზაციო და გასაყიდი ობიექტების ჩამონათვალი. მიტომ, მხოლოდ რეალური ქმედებებით შევძლებთ მოსახლეობის ნდობის მოპოვებას და მათ ჩართვას ამ პროცესებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი პრიორიტეტი ცარიელ სიტყვებად და ლოზუნგებად დარჩება, ისევე როგორც საბჭოთა პერიოდში რჩებოდა არაერთი დაპირება.

ინვესტიციების შემოსვლა მოიზიდავს არა მხოლოდ ფულად სახსრებს, არამედ ახალ-ახალ თანამედროვე ტექნიკას და ტექნოლოგიებს, რომელთა ათვისება და გათავისება გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს და მაშასადამე, გადაწყვეტს ეკონომიკური განვითარების კიდევ ერთ პრობლემას. ამასთან, შესაძლებლობა მოგვეცემა გავაფართოოთ არა მხოლოდ შიდა ბაზარი,არამედ მოვიპოვოთ საპატიო ადგილი მსოფლიო საბაზრო სისტემაში და აღმოვფხვრათ ფალსიფიკაცია და კონტრაბანდა პროდუქციის ექსპორტ-იმპორტში.

რაც შეეხება სავალუტო პოლიტიკას, რომელიც კვლავ აგრძელებს მცოცავი კურსის რეჟიმზე არსებობას, მასზე გავლენას ვერ მოახდენს ადგილობრივი საწარმოებისა და მეურნეობების დაბალი მაჩვენებლები. შესაძლებელი გახდა საფინანსო—საბიუჯეტო სისტემის მოწესრიგება, შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა და კონტროლი, შემცირდა ეკონომიკაზე სახელმწიფოს უშუალო ჩარევა, რამაც თავდაპირველად გამოიწვია

ვაჭრობის ქაოსური წარმართვა გარე ვაჭრობის სახით, რომლის შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტის ნაცვლად მოვაჭრეებისა და მათი ხელშემწყობი ათასი ჯურის მაკონტროლებლის ჯიბეებში ილექებოდა. ამით კი კვლავ სახელმწიფო და მისი ბიუჯეტი ზარალდებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ანტისანიტარულ პირობებებზე, რომელშიც თბილისის და საქართველოს სხვა მრავალი ქალაქის ცენტრალური უბნები აღმოჩნდა გარე ვაჭრობის შედეგად. მხოლოდ ახალი სახელმწიფოებრივი მიდგომის შედეგად გახდა შესაძლებელი გარე ვაჭრობის აკრძალვა, ბიუჯეტის შევსება და საქართველოს არაერთ ქალაქში სანიტარული ნორმების მოწესრიგება.

ყოველივე ამის შედეგად რეალური გახდა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის დადებითი ძვრები, რასაც ხელი შეუწყო აგრეთვე ქვეყანაში კრიმინალური სიტუაციის გამოსწორებამ. გაჩნდა სათანადო პირობები უცხოური ინვესტიციებისათვის, საგარეო ვაჭრობისა და ფინანსური კრიზისის დაძლევისათვის, თუმცა ჯერ კიდევ არაა მიღწეული სიღარიბის დაძლევის და, მაშასადამე, ეკონომიკური ზრდის ყველა გზა და მეთოდი.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა უშუალოდ უკავშირდება პრივატიზების პროცესს, თუმცა აქაც არაერთი უკანონობა და სიმახინჯე დაფიქსირდა. საწარმოთა უდიდესი ნაწილი ამ საწარმოთა ხელმძღვანელების ხელში მოხვდა, ხოლო ცნობილი ვაუჩერიზაცია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორია საგადასახადო სისტემის, როგორც მეწარმეობის განვითარებისა და ეკონომიკის მასტიმულირებელი ინსტრუმენტის სრულყოფა, რაც პარიტეტულ ურთიერთობებს ჩამოაყალიბებს სახელმწიფოსა და გადამხდელებს შორის. ამასთან, საგადასახადო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია არაკორუმპირებული, ორგანიზებული და მაღალკვალიფიციური მმართველობათი კადრების ადმინისტრაციული კორპუსის მომზადება და შერჩევა, ვინაიდან უნიკალური საგადასახადო

სისტემის შემთხვევაშიც კი, თუ არ არსებობს მისი სათანადოდ შემსრულებელი, ვერანაირი სისტემა ვერ იმუშავებს.

საგადასახადო სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორად უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ინვესტორებთან გრძელვადიანი კონტრაქტების დადება შეიძლება მივიჩნიოთ, რამაც შესაძლო ეკონომიკური ზრდა უნდა გამოიწვიოს, რამეთუ ინვესტიციების შემოსვლა მოიზიდავს არა მხოლოდ ფულად სახსრებს, არამედ ახალ-ახალ თანამედროვე ტექნიკას და ტექნოლოგიებს, რომელთა ათვისება და განთავისება გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს და მაშასადამე, გადაწყვეტს ეკონომიკური განვითარების კიდევ ერთ პრობლემას. საგადასახადო სისტემის გაუმჯობესების მიზნით სამი თვის განმავლობაში შემცირდება ექსპორტზე გადასახადი, ხოლო სამი თვის შემდეგ განსაზღვრულია გადასახადების საერთოდ გაუქმება, რაც გააუბჯობესებს ქვეყნეს შორის სავაჭრო ურთიერთობებს.

ეკონომიკის ტრანსფორმაციის გზაზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას და მათ რაციონალურად გამოყენებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების აღდგენას და მათ აღჭურვას უახლესი ტექნოლოგიით, თევზჭერისა და საზღვაო-სანაოსნო საქმიანობის წინ წამოწევას და მასში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, ანუ ისეთი დარგების პრიორიტეტულად ქცევას, რომლის ნორმალურად ფუნქციონირების აუცილებელი რესურსები საქართველოში მრავლად მოიპოვება.

ტრანსფორმაციის პროცესი მოიცავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რომელიც ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი სფეროა და ეკონომიკის მთელ სისტემასთან ერთად ვითარდება. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საქართველოში საკმაოდ რთულ პირობებში ვითარდებოდა. ერთი მხრივ, მისი განვითარება მიმდინარეობდა ცენტრალიზებული, გეგმიანი სისტემის რღვევის და მისი ნარჩენი მოვლენების ზეგავლენით, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკურად ჯერ კიდევ არასრულყოფილი გარდაქმნების ფონზე.

ამგვარად, ზემოაღნიშნული პრობლემების ზეგავლენა ეკონომიკაზე ძალზე დიდი იყო და მათგან გამოწვეული შედეგებიც სრულიად არადამაკმაყოფილებელი. ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ ჩვენს ქვეყანაში რთული პერიოდები განვლო უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე და დღეს ეს სფერო გაცილებით მაღალ საფეხურზეა, ვიდრე წარმოება, მეურნეობა და სხვა, რამეთუ მას აქვს გამართული სამართლებრივი ბაზა, სტაბილური კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, დარეგულირებულია ინფლაციური პროცესები, მყარი საბრუნავი და სარეზერვო ფონდები, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელსაც წარმატებით ახორციელებს ეროვნული ბანკი.

ქვეყანაში ეროვნული ვალუტის შემოღება და მისი გადაქცევა გადახდის ერთადერთ საშუალებად სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ქვეყანაში შეიქმნა და წარმატებით ფუნქციონირებს კომერციული ბანკების მთელი სისტემა. დაინერგა ეკონომიკის განვითარებისათვის ლომბარდული და იპოთეკური კრედიტები, რეპო ოპერაციები, არასაბანკო საფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც განვითარების სწორ გზაზე დგანან და მრავალი სხვა ღონისძიებას ატარებენ და ა.შ.

ტრანსფორმაციის პროცესი ეხება აგრეთვე საგარეო ვაჭრობას, რომელშიც ორ რეჟიმს ასახელებენ: პროტექციონიზმსა და ფრიტრედერიზმს (თავისუფალ ვაჭრობას).

პროტექციონიზმი მოიცავს: სამამულო ბაზრის დაცვას დიფერენცირებული საბაჟო ტარიფებისა და აქციზების დაწესებით, როდესაც სამამულო პროდუქცია აქციზის შემცირებული სიდიდით დაიბეგრება, იმპორტული ნედლეული საერთოდ თავისუფლდება გადასახადისაგან, ხოლო მზა იმპორტული ნაწარმი კი გაზრდილი გადასახადებით იბეგრება. პროტექციონიზმი ასევე გულისხმობს ექსპორტსა და იმპორტზე სხვადასხვა აკრძალვების, კვოტირების და ლიცენზირების რთულ სისტემას, ხოლო ფრიტრედერიზმი აკრძალვების მინიმუმამდე დაყვანას, ამასთან, კვოტირებისა და ლოცენზირების გაუქმებას.

ფრიტრედერიზმის თანახმად, აქციზები სამამულო და იმპორტულ პროდუქტზე ერთნაირი უნდა იყოს, ასევე საბაჟო ტარიფებიც, ექსპორტი კი საერთდ უნდა გათავისუფლდეს გადასახადისაგან. იმპორტზე ერთადერთი შეღავათი დასაშვებია მანქანა-მოწყობილებებსა და ტექნოლოგიებზე, ისიც დროებით. პირველ ვარიანტს საქმოსანთა მხარდაჭერა აქვს, მეორე ვარიანტს კი იყენებს სახელმწიფო საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ზეწოლით.

როგორც პროფესორი ვ. პაპავა აღნიშნავს, ფრიტრედერიზმი სახალმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას გულისხმობს, რაც ექსპორტისა და იმპორტის გადასახადებისაგან გათავისუფლებას გულისხმობს. ამასთან, სახელმწოფომ უნდა იზრუნოს, რათა ჩვენმა ეკონომიკამ ნებისმიერ ბაზარზე შეაღწიოს.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია 1997 წლის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა, რომელიც ამ ბარიერებს შლის. სახელმწიფოს ხელშეწყობით და სახელმწიფო ბიუჯეტში სათანადო რესურსების არსებობისას უნდა შეიქმნას საინვესტიციო ფონდი, რომელმაც სადაზღვევო ფუნქციაც უნდა შეასრულოს. სახელმწიფომ უნდა დაადგინოს მისთვის პრიორიტეტული დარგები და მოიზიდოს ინვესტიციები. ამგვარად, ფრიტრედერიზმი ჭეშმარიტად ეროვნულ ინტერესებს გამოხატავს, პროტექციონიზმი კი ნებისმიერი ქვეყნისთვის დამღუპველია, არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკური თუ მორალურ-სულიერი თვალსაზრისითაც, ვინაიდან იგი არათანაბრად აწესებს საბაჟო აქციზებსა და ტარიფებს სამამულო და ექსპორტულ ნაწარმზე, საზოგადოებაში ამკვიდრებს ყალბ ღირებულებებს, აჩვევს მას წუნდებულ პროდუქციას, რითაც ზიანდება როგორც საზოგადოების გემოვნება, ასევე სამომხმარებლო ბაზარი.

საგარეო ვაჭრობა, სხვადასხვა საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა ფორმებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავებისა და ინტერესთა დაახლოების საქმეში. მისი პოლიტიზირებულობა და

მრავალფეროვნება საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირების სირთულეზე მიუთითებს.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური კომპლექსის სტრუქტურასა და განვითარების თავისებურებებს განსაზღვრავს ის, რომ იგი ხელსაყრელი გეოგრეფიული მდებარეობისა და გეოპოლიტიკური უპირატესობის ქვეყანაა; საქართველო განეკუთვნება გარდამავალი ეკონომიკის სტატუსის მქონე ქვეყნებს; ამჯამინდელი საგარეო ეკონომიკური ერთიერთობები ორიენტირებულია მცირე ღია ეკონომიკური სისტემის შექმნაზე. საქართველოს ეკონომიკა, საბჭოთა პერიოდის საწარმოო ორიენტაციიდან, გასაღების ორიენტაციის ეკონომიკის გვერდის ავლით, პირდაპირ საბაზრო ორიენტაციაზე გადავიდა, რამაც უამრავი პრობლემა შექმნა, როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ სფეროში. ეს იყო განვითარების ბუნებრივი გზიდან გადახვევის შედეგი.

იმის გამო, რომ საბაზრო ორიენტაციის ეკონომიკაში მიწოდება ნაკარნახევი და გაწონასწორებულია მოთხოვნით, საწარმოო ორიენტაციის ეკონომიკაში კი მოთხოვნა უგულებელყოფილია, აუცილებელი იყო გასაღების ორიენტაციის ეკონომიკა, რათა დაგვეგროვებინა სათანადო ცოდნა და გამოცდილება მოთხოვნის ფორმირების შესახებ და შემდეგ გადავსულიყავით საბაზრო ორიენტაციის ეკონომიკაზე[27].

სამეცნიერო კვლევას საჭიროებს საგარეო ვაჭრობის შემდგომი განვითარების ეფექტიანი გზების ძიება ეკონომიკის ტრანსფორმციისა და, მაშასადამე, სიღარიბის დაძლევის საქმეში. კვლევის ცენტრში ექცევა ისეთი სპეციფიკური საკითხები, როგორიცაა სატრანსპორტო გადაზიდვები, სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები, მრავალმხრივი ტექნიკური თუ სამეურნეო თანამშრომლობა, ადამიანური კაპიტალისა და გამოცდილების

---

[27] ი. ნათელაური. საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება. თბ., 2004, გვ. 151-152.

გაცვლა, ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის შენარჩუნება, კოორდინაცია სახელმწიფოებს შორის და სხვა.

საგარეო ვაჭრობის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარ- მოადგენს თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა და ფუნქციონირება., სადაც განსაკუთრებული პირობებია შექმნილი თავისუფალი ვაჭრობის განვითარებისათვის, და სადაც საგადასახადო შეღავათები და ვაჭრობის თავისუფალი პირობები მისი სტიმულირების საფუძველი ხდება. ისევე როგორც ბაზარი, თავისუფალი ეკონომიკური ზონებიც მრავალპროფილიანია და აქედან გამომდინარე – მრავალფუნქციური. ისინი არა მხოლოდ ეკონომიკურ, სამეცნიერო, სამეწარმეო და სამრეწველო სფეროებს მოიცავენ, არამედ პოლიტიკის თავისუფალი რეალიზაციის არენაცაა. განვითარებულ ქვეყნებში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა უკავშირდება საგარეო ეკონომიკის ლიბერალიზაციას უცხოური და შიდა ინვესტიციებისათვის გარანტიების შექმნას, თუმცა ასეთი ზონების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სტაბილური, არაკრიმინოგენული სიტუაციის არსებობა,ბაზრის პრინციპების სათანადო ცოდნა, არაკორუფციული გარემო, ჯანსაღი პოლიტიკური ნება – ნაკლებად ჩაერიოს მასში, განვითარებული იმფრასტრუქტურის არსებობა და ა.შ.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის ძირითადი პრეფერენციებია: საგარეო სავაჭრო შეღავათები (დღგ, აქციზები და ა.შ.) და საგარეო ეკონომიკური ოპერაციების გამარტივებული წესები; ფისკალური შეღავათები პირდაპირი გადასახადების ლიბერალური სისტემა (მოგების, ქონების, საშემოსავლო, საამორტიზაციო და სხვა); საფინანსო შეღავათები – სხვადასხვა ფორმის სუბსიდიები, შეღავათიანი საკრედიტო სისტემა, მიწით და შენობებით სარგებლობის საიჯარო გადასახადის შემცირებული განაკვეთები და ა.შ.; ადმინისტრაციული შეღავათები, ეკონომიკური აგენტების, ანგარიშგების, საგიზო რეჟიმის გამარტივება და სხვა.

როგორც სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში არაერთგზის მიუთითებენ, თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობა

საქართველოში მიზანშეწონილი არ არის მისი მცირე ტერიტორიულობის, ბიუჯეტის შესაძლო შემცირების, საწყისი ინვესტიციების არქონისა და მეზობელი დიდი სახელმწიფოების (რუსეთი, თურქეთი) ეკონომიკური ინტერესებთან წინააღმდეგობის გამო. ამიტომ, უპირატესობა ჩვენში შეძლება ჰქონდეს სამეცნიერო-ტექნიკური და ფუნქციონალური პრინციპის ზონებს.

მიგვაჩნია, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონები ეკონომიკური თავისუფლების მნიშვნელოვანი ფაქტორია და მისი შეზღუდვა სხვა ქვეყნების ინტერესებისათვის არასწორია. რაც შეეხება ბიუჯეტსა და ინვესტიციებს, მათი შევსება და მოზიდვა სრულიად შესაძლებელია და მომავალში ამ საკითხს, ალბათ, კიდავ უნდა დავუბრუნდეთ.

თავი II
საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების თავისებურებანი პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის პირობებში (საქართველოს მაგალითზე)

2.1. ადამიანური კაპიტალის, როგორც სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენება პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის პირობებში

ეკონომიკური ტრანსფორმაციისა და მისგან გამომდინარე სიღარიბის დაძლევის პრობლემების გადაწყვეტაში უმთავრესი როლი ადანიანურ ფაქტორს ეკუთვნის. სწორედ ადამიანია ყოველივე იმის განმხორციელებელი, რასაც განვითარება და პროგრესი ეწოდება ნებისმიერ ადამიანურ სფეროში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ადამიანური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება. ამისათვის კი მისი არა მხოლოდ გონებრივი, არამედ ფიზიკური და პოტენციური შესაძლებლობების სწორი განვითარების გზების ძიებაა საჭირო.

ადამიანური კაპიტალის — როგორც უმდიდრესი და ამიტომ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ფაქტორის შემადგენელი ნაწილებია: ჯანმრთელობა, განათლება და მასთან დაკავშირებული უამრავი პრობლემა. უპირველეს ყოვლისა ჯანმრთელი ცხოვრების წესი, სწორი აღზრდა, რაც კაცთმოყვარეობასა და სიცოცხლის ჭეშმარიტ სიყვარულს გულისხმობს. ადამიანური კაპიტალისადმი, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეფციისადმი არაერთი ცნობილი მეცნიერის ინტერესი სრულიად აშკარაა, ვინაიდან იგი აღიქმება, როგორც ა. ბაუმანი მიუთითებს რევოლუცია ეკონომიკურ აზროვნებაში. სწორედ ადამიანური კაპიტალია "კაპიტალთა კაპიტალი", "მთავარი კაპიტალი", რომელიც უფრო მწარმოებლურს ხდის, როგორც თვით სამუშაო ძალას, ისე ყველა წარმოების ფაქტორს.

ადამიანური კაპიტალის შესახებ, როგორც ინტელექტუალური, ასევე ფიზიკური და ენერგეტიკული შესაძლებლობის ერთგვარი აუზის შესახებ მიუთითებდნენ გ. ბეკერი, ტ. შულცი და სხვები, რომლებიც ადამიანურ კაპიტალს მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით განიხილავდნენ და ადამიანურ შესაძლებლობებთან აიგივებდნენ. მიგვაჩნია, რომ ადამიანური შესაძლებლობები გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ადამიანური კაპიტალი, თუმცა ადამიანურ კაპიტალში ადამიანური შესაძლებლობები იგულისხმება და სწორედ ეს შესაძლებლობები ქმნის ადამიანურ კაპიტალს. ამასთან, ადამიანური შესაძლებლობები მისი პირადი საკუთრებაა, ხოლო ადამიანური კაპიტალი ამ შესაძლებლობების ობიექტივაციის გამოვლენა და შედეგია.

ქვეყანაში დღევანდელი პირობების მიხედვით ჯანმრთელობის დაცვა სამედიცინო დაწესებულებებში, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან არაერთი ქმედითი ღონისძიებისა (უფასო მშობიარობები, მცირეწლოვანთა და სპეციალურ აღრიცხვაზე მყოფთა მედიკამენტოზური დახმარება და სხვა), ბევრი პარამეტრით მართლაც საგანგაშოა. ეს ეხება არაკვალიფიციურ სამედიცინო კადრებს, რომელთა უმეტესობა კორუფციული გზებით მოხვდა ამ სფეროში სასწავლებლიდან დაწყებული, საკვალიფიკაციო გამოცდებით დამთავრებული. ამიტომაა, რომ ამ ბოლო დროს არაერთი ადამინის სიცოცხლე ემსხვერპლა „ვაიექიმთა“ უცოდინრობასა და უყურადღებობას. აღნიშნული პრობლემის არანაკლებ აქტუალური საკითხია ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. არაერთხელ თქმულა იმის შესახებაც, რომ ადამიანები ვერ მიმართავენ სტაციონალურ მკურნალობას სწორედ მატერიალური გაჭირვების გამო. ამის შედეგად კი მართლაც სავალალო სტატისტიკა გვაქვს მოსახლეობის თითქმის ყველა ფენაში და განსაკუთრებით

პენიტენციარულ სისტემაში. სიღარიბის გამო ადამიანებს არ ძალუძთ პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური ზომების მიღება ისეთ მძიმე სიტუაციებშიც კი, როგორიცაა ტუბერკულოზი, ქრონიკული დაავადებები, გულსისხლძარღვთა დაავადებები,

რომელიც ხშირი სტრესული მდგომარეობითაა გამოწვეული. ადამიანები მოკლებულნი არიან ყოველგვარ პრევენციულ ღონისძიებას თავიანთი ჯანმრთელობის დასაცავად. სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვისათვის გამოყოფილი თანხების დიდი ნაწილი კი პრევენციულ მიზნებს არ ემსახურება.

უმნიშვნელოვანესი ადამიანური კაპიტალია აგრეთვე განათლება. როგორც ჩვენი წინაპრები მიუთითებდნენ, ღარიბად არ იწოდება ის პიროვნება, რომელსაც ცოდნა, შესაბამისი ინტელექტუალური აღზრდა და გამოცდილება გააჩნია, ხოლო განათლებაში ჩადებული კაპიტალი კი მართლაც ერთი ათად იქცევა და მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დანახარჯები არამწარმოებლურად და არასამომხმარებლოდ ითვლებოდა საბჭოური სისტემის პერიოდში, იგი მართლაც ხანგრძლივ და სტაბილურ ეკონომიკურ ეფექტს, ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრებისა ინტელექტუალიზაციას უზრუნველყოფს. ფართო გაგებით კი ადამიანისეული კაპიტალი ფორმირდება ადამიანში გრძელვადიანი ინვესტიციების სახით.

ამ ბოლო დროს ბევრს საუბრობენ მეცნიერებაში პრიორიტეტულ დარგებზე, რომელთაც ხელეწიფებათ არა მხოლოდ სამეცნიერო თვალსაზრისით გახდნენ საინტერესო და აუცილებელი ქვეყანაში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად, არამედ შეძლონ საკუთარი თავის შენახვაც და გარკვეული ეკონომიკური შემოსავლების, გრანტებისა და უცხოური კაპიტალის მოზიდვაც.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების პრიორიტეტულ სფეროდ სწორედ მისი სამეცნიერო და სახელოვნებო სფეროში არსებული მდიდარი პოტენციალია, თუმცა ამ სფეროებში სრულიად აუცილებელია ჭეშმარიტი მოღვაწეების გამორჩევა შემთხვევითი ელემენტებისაგან, რომლებისთვისაც მეცნიერება და ხელოვნება სიახლის ძიების ნაცვლად, უკვე არსებულის მექანიკური გამეორებაა. მხოლოდ ასეთი ადამიანები კი, ბუნებრივია თანამედროვე მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ და ვერც ეკონომიკურ პრობლემებს გადაჭრიან.

ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით, სახელმწიფო განათლების სისტემაში მრავლისმომცველ რეფორმას ახორციელებს. მართალია ამ რეფორმას არაერთი კანონდარღვევაც სდევს თან, მაგრამ ხშირად მიზანი ამართლებს საშუალებას და თუ ეს მიზანი მოხმარდება, როგორც მოქალაქეთა ეკონომიკურ კეთილდღეობას, ასევე სახელმწიფოს იმიჯის ამაღლებას, და თუ მიღებული განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების ხარისხი შესაბამისობაში მოვა საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული გარდაქმნის მოთხოვნებთან, ასეთ დარღვევებს საზოგადოება მოითმენს.

ადამიანური კაპიტალი კი, განსაკუთრებულ მოფრთხილებას საჭიროებს, ვინაიდან მისი უყაირათო გამოყენება სიღარიბის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი ხდება. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოდან არაერთი ჭკვიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი წავიდა უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში, ანუ მოხდა ქვეყნიდან „გონთა" გადინება და შრომის ექსპორტი. ეს კი დიდი დანაკლისია ეკონომიკური ტრანსფორმაციის გზაზე მყოფი ქვეყნისათვის.

ამ თვალსაზრისით ჩვენში მიმდინარე მიგრაციის პროცესებიც მნიშნელოვნად არღვევს ეკონომიკურ ბალანსს, ანახევრებს რა იძულებით ადგილნაცვალ პირთა შრომისუნარიანობას. მიგრაცია დიდი ქალაქებისკენ დამანგრეველად მოქმედებს ეკონომიკაზე, რამეთუ იგი არღვევს სოფლის მეურნეობასა და რეგიონების მთელ ეკონომიკას. ქალაქები კი ერთგვარ თავკომბალებს დაემსგავსნენ, სადაც რაიონებიდან გადმოხვეწილი მოსახლეობა მხოლოდ საკუთარი ოჯახის გადასარჩენად იბრძვის და არად აგდებს, ერთი მხრივ, სოფლის დაცარიელებასა და მეურნეობის მოშლას, ხოლო, მეორე მხრივ, ქალაქისათვის უამრავი პრობლემის შექმნას, რომ აღარაფერი ვთქვათ სახელმწიფო ბიუჯეტის დაცარიელებაზე, კორუფციაზე, ვაჭრობის მახინჯი ფორმების შემოღებასა და დამკვიდრებაზე და ა. შ. დღევანდელ ხელისუფლებას დიდი სურვილი აქვს დააბრუნოს ქვეყნიდან

გასული გამოჩენილი ადამიანები მაინც, მაგრამ ამის ეკონომიკური პირობები ყოველთვის არ არსებობს.

განსაკუთრებული დარტყმა მიაყენა ეკონომიკურმა და სოციალურმა დისბალანსმა ახალგაზრდებს, რომელთა დაუსაქმებლობამ ერთიორად გაზარდა მათ შორის ალკოჰოლური, კრიმინალური და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებისა და უკანონო ვაჭრობის პროცენტული მონაცემები.

მართლაც საგანგაშოა ახალგაზრდების დაუსაქმებლობა. ამ პრობლემას უახლოეს წარსულში მეტნაკლებად ავსებდა უმაღლესი ფასიანი სასწავლებლების არსებობა, რომლებშიც სწავლობდა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების კორუფციული სისტემის მიერ დაწუნებული ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომლებსაც საშუალება არ გააჩნდათ ლამის ოფიციალურად დაწესებული ქრთამი გადაეხადათ კორუმპირებული მისაღები კომისიისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების უშუალო მცდელობითა და მონდომებით ეს სიმახინჯე აღმოიფხვრა, მაგრამ აკრედიტაციის შედეგად დარჩენილ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების გადასახადი იმდენად გაიზარდა, რომ უამრავი სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა სასწავლებლის გარეთ აღმოჩნდა. პერსპექტივაში კი უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის უკიდურესად შემცირებაა გათვალისწინებული, რაც კვლავ ახალგაზდების მომავალს გაანადგურებს.

ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომლის თანახმად ქვეყანას არ სჭირდება ბევრი უმაღლესდამთავრებული. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ეროვნული სიმცირე ჩვენგან მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი გვყავდეს, მეორეც, უმაღლესი განათლების მიღება და ისიც საკუთარი ხარჯებით ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა და იგი თავის ქვეყანაში თუ არა, ნებისმიერ ადგილზეა უფლებამოსილი გამოიყენოს მიღებული განათლება, თუნდაც საკუთარ ოჯახში, შვილების აღსაზრდელად. ამიტომ, ასეთი მიდგომა — გაორმაგდეს გადასახადი იმისათვის, რომ შეამციროს განათლების მსურველთა რიცხვი,

მით უმეტეს დღევანდელი ტრანსფორმაციის პირობებში, როდესაც უამრავი სპეციალობები და სპეციალისტები ცხოვრებამ ფაქტობრივად ჩამოწერა, მათთვის დამატებითი სპეციალობების შეძენასა და გადამზადებაზე ხელის შეშლა ნამდვილად მიუღებელი, არაეკონომიკური და ანტიკონსტიტუციურია.

ამას ადასტურებს ისიც რომ, სახელმწიფო ფასიანი სასწავლებლების გაუქმებით ორმაგ ზარალს განიცდის: ჯერ ერთი, იგი კარგავს ბიუჯეტში ამ სასწავლებლებიდან მიღებულ შემოსავალს და, მეორეც, სახელმწიფოსათვის სპეციალისტების უფასოდ მომზადების შანსს, რომელზეც იგი უარს ნამდვილად არ უნდა ამბობდეს. სხვა საქმეა, რომ მართლაც აუცილებელია მოვთხოვოთ ნებისმიერ სასწავლებელს მაღალი დონე სწავლებასა და აღმზრდელობით საქმიანობაში, რამეთუ ქვეყანას მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები და მაღალმორალური მოქალაქეები ესაჭიროება, ხოლო სწავლა აღზრდას ნამდვილად ვერ ცვლის, საზოგადოებაში მორალური დეფიციტი კი აშკარად სახეზეა. განათლების სისტემის გამართულ მუშაობაზე მნიშნელოვნადაა დამოკიდებული, როგორც ქვეყნის ეკონომიკა და იმიჯი, ასევე მისი საერთაშრისო მდგომარეობა.

განათლების მაღალი დონის გამოხატულებაა ჩვენი არაერთი სპეციალისტის წარმატებული მოღვაწეობა უცხოეთში, რაც ჩვენი ქვეყნის დაახლოებასა და მაღალ შეფასებას იწვევს საერთაშორისო არენაზე. განათლების სფეროს მნიშვნელოვანი სიახლეა საქართველოს საგანმანათლებლო სფეროს ბოლონიის ქარტიაში ჩართვა, რამაც ფართო შემოქმედებითი არეალი გაუხსნა ქართველ სტუდენტებსა და მეცნიერებს და მისცა შესაძლებლობა ჩაერთონ ერთიან მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში, რათა განხორციელდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების, ეკონომიკური ურთიერთობებისა და უნივერსალური ღირებულებების დანერგვა საქართველოში.

სწორედ ასეთი ერთიანი ძალისხმევითაა შესაძლებელი იმ ეკომიკური პრობლემების დაძლევა, რასაც სიღარიბე ჰქვია, ვინაიდან სიღარიბე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ ეკონომიკური

კატეგორია არ არის და მას ღრმა ცნობიერი ფაქტორები განაპირობებენ, მათ შორის – განათლებისა და აღზრდის პრობლემები.

თანამედროვე მოთხოვნები ნებისმიერ სფეროში მოითხოვს საერთაშორისო გამოცდილების, როგორც განვითარების მნიშვნელოვანი რესურსის დანერგვასა და გათავისებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება ქვეყანაში არსებულ ღირებულებებს და არ ლახავს ერის ღირსებას.

სიღარიბის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენაა ინფორმაციის ნაკლებობა. საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, კომპიუტერული სისტემის არარსებობა, რაც ადამიანს ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებს, ზღუდავს მის თავისუფლებას და შრომისუნარიანობას. ინფორმაციული თავისუფლება სრულიად აუცილებელია არა მხოლოდ საგანმანათლებლო სფეროში, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც საგადასახადო და საბაჟო სისტემების, საბანკო –საფინანსო, საინფორმაციო საზოგადოების ფორმირების, სამეწარმეო გარემოსა და სხვა სოციალური სფეროების ნორმალური განვითარებისათვის. ინფორმაციული ხარვეზების შესავსებად განხორციელდა არაერთი ქმედითი ღონისძიება. კომპიუტერული ტექნიკით მომარაგდა როგორც ქალაქის, ასევე რაიონების სკოლები. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ქვეყნის პერიფერიული რაიონებში გაიხსნა ინტერნეტ სერვისები, რომლებშიც ახალგაზრდები უფასოდ ეუფლებიან კომპიუტერით სარგებლობას.

განხორციელდა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების კომპიუტერიზაცია უცხოური დახმარების ეგიდით, რამაც საშუალება მისცა საგანმანათლებლო სისტემის მესვეურთ ოფიციალური მოთხოვნა წაეყენებინათ აკრედიტაციის მიღების მსურველი ფასიანი არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისათვის – მოემარაგებინათ კომპიუტერები და უზრუნველეყოთ სტუდენტების საინფორმაციო განათლება, ბუნებრივია, საკუთარი თანხებით, ვინაიდან, როგორც წესი, ამ კატეგორიის უმაღლესი სასწავლებლების მომარაგებასა და

განვითარებაზე რატომღაც არცერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არ ზრუნავს. ადამიანური კაპიტალის, როგორც უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სოციალური რესურსის ეფექტურ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული თითოეული მათგანის გააქტიურება, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს თვითონ განსაზღვრონ თავიანთი ცხოვრება, აქტიურად ჩაებან ქვეყნის აღმშენებლობით საქმიანობაში, იმ პროცესების გამჭვირვალობისა და კონტროლის განხორციელებაში, რასაც შიდა ეროვნული პროდუქტისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული დახმარებების განაწილება და მოხმარება მოითხოვს.

ადამიანური კაპიტალი რთული მექანიზმია მოიცავს ადამიანური ფაქტორის მრავალმხრივ გამოვლინებასა და ამ გამოვლინებების მაქსიმალურ გამოყენებას პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, წარმოებაში, სამეურნეო, მმართველობით და სხვა მრავალ საქმიანობაში. ადამიანური კაპიტალი პოლიტიკურ პროცესებში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რამეთუ იგი განაპირობებს მის პოლიტიკურ თავისუფლებას, რაც შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაში ფიქსირდება. პოლიტიკაში ადამიანური კაპიტალის გამოვლინება ძირითადად სახელმწიფო-მმართველობით საქმიანობას უკავშირდება, რაც მისი პასუხისმგებლობის ფარგლებსა და მასშტაბებს განსაზღვრავს და ეკონომიკური რეფორმების, ეკონომიკური პოლიტიკისა და საერთოდ, მთელი ქვეყნის პროგრესული ტრანსფორმაციის საფუძველია. სწორედ მასზეა დამოკიდებული სახელმწიფო საქმიანობის ხელმისაწვდომობა თითოეული მოქალაქისათვის და ანგარიშვალდებულება მთელი საზოგადოებისა და მომავალი თაობების წინაშე.

საქართველოში დღეს არსებული სიტუაცია ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და ეფექტურად გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები: მისი ჯანმრთელობის, განათლებისა და დასაქმების მდგომარეობა აშკარად მიუთითებს, რომ მასზე სახელმწიფოს მხრიდან ჯერ კიდევ არ არის გაღებული სათანადო ყურადღება და ინვესტიციები. ამას ადასტურებს თუნდაც ქუჩის

ბავშვების, უამრავი, სილარიბის ზღვარს მიღმა დარჩენილი ადამიანის გაუსაძლისი ყოფა, რაც ისედაც მძიმე მდგომარეობას ადამიანური კაპიტალის კიდევ უფრო შემცირებაც მოჰყვება.

ადამიანური კაპიტალისადმი, როგორც სამუშაო ძალისადმი არასათანადო დამოკიდებულებამ სახელმწიფოს მხრიდან ჩვენი ქვეყნის სამუშაო ძალა დაბალანაზღაურებადად აქცია შრომის ბაზარზე, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. რამოდენიმე ასეული ადამიანის დასაქმება კი მაღალანაზღაურებად სამუშაოზე ვერ ქმნის ამინდს და ვერ აუმჯობესებს ათასობით ადამიანის ეკონომიკურ მდგომარეობას.

მარგინალური ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესება არანაკლებ აუცილებელი და გადაუდებელი ამოცანაა, ვიდრე ახალგაზრდობისა, ქალთა, მარტოხელათა სხვადასხვა კატეგორიებისა და არაერთი სოციალურად დაუცველი ადამიანისა. მარგინალური ჯგუფებისათვის დახმარების ღონისძიებები, რომელთა შორის ჩართულია, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, სავალდებულო სოციალური დაცვის პროგრამებისა და საზოგადოებრივი სახსრების ტრანსფერების სახით, ასევე არასახელმწიფო სექტორი, ეფუძნება ადამიანური კაპიტალის გადარჩენისა და განვითარების მიზნებს, მათი შემოსავლების ამაღლებას საარსებო მინიმუმამდე. სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს რეგიონალური ჯგუფების მიმართ სელექციიზმის პრინციპის გამოყენებას, რაც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, აუცილებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეული სოციალური ჯგუფის შერჩევას და მათთვის ფულადი და მრავალი სხვა სახის დახმარებას, მათ შორის მომსახურებას, შეღავათებს გადასახადებზე, ტრანსპორტზე და ა.შ.

საკუთარი ადამიანური კაპიტალის დაცვა და მასზე ზრუნვა აუცილებელია არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ფარგლებში, არამედ მის გარეთაც, ვინაიდან უცხოეთში გადახვეწილი ადამიანები ჩვენი განუყრელი ნაწილია და მათ კიდევ უფრო მეტი ყურადღება და სითბო ესაჭიროებათ ჩვენგან, რომ არ იგრძნონ თავი გარიყულად, რომ სურვილი არ გაუქრეთ იმ შორეულ მხარეებშიც არა მხოლოდ

საკუთარ პრობლემებზე, არამედ საქართველოს განვითარებასა და პრესტიჟზე იზრუნონ. ამდენად, ადამიანთა დაცვა სახელმწიფოს მიერ ადამიანური კაპიტალის ეფექტური განვითარებისა და გამოყენების პრიორიტეტული ამოცანაა.

ადამიანური კაპიტალის ზრუნვის ერთ-ერთი მტკიცე გარანტია ოჯახია, რომლის სიწმინდისა და სიძლიერის დაცვა და შენარჩუნება ყოველი მოქალაქის ვალია მომავალი თაობების წინაშე. ოჯახის ეკონომიკურ სიძლიერესა და სიწმინდეზეა დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე და ალორძინება, ვინაიდან, როგორც ცნობილია, თუ ოჯახი ძლიერია, სახელმწიფოც ძლიერია. ამასთან, ოჯახი ადამიანთა მყარ ერთობაზე დამყარებული მექანიზმია,რომლის ფუნქციები,ფორმები და ტიპები განპირობებულია სახელმწიფოს საერთო ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობით და ასევე მისი წევრების მიერ საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფილი რეალიზაციით. ამიტომ, რამდენადაც მეტი თავისუფლება მიეცემა ადამიანებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლინებისა, იმდენად გაუმჯობესდება მათი, როგორც ადამიანური კაპიტალის ხარისხობრივი და ეკონომიკური მაჩვენებელი.

განიხილავს რა ადამიანური კაპიტალის განვითარების პრობლემებს სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამა დასაქმების სფეროში ეროვნული პოლიტიკის შემდეგ მიმართულებებს აყალიბებს:

1. დასაქმების ეკონომიკისა და სოციალურ სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის წარმოება. 2 .ეკონომიკური აქტივობის, სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება. 3. ადამიანური პოტენციალის განვითარების სტიმულირება. 4. სოციალური დიალოგის ჩამოყალიბება, 5. შრომის ბაზრის ეფექტიანობის გაზრდა. 6. შრომის ბაზრის ინსტიტუტების განვითარება.

შრომის ბაზარზე წარმოებული პოლიტიკის ძირითადი მიდგომები კი იქნება: 1. შრომის ბაზარზე დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარება; 2. შრომის ბაზრის მოთხოვნილებიდან გამომდინარე პროფე-სიული სწავლების გაფართოება; 3. საწყის

ეტაპზე თვითდასაქმების სტიმულირება; 4. დასაქმების პოლიტიკის გააქტიურება ახალგაზრდებისა და დაბალკონკურენტუნარიანი შრომითი რესურსების მიმართ[1].

ადამიანური კაპიტალის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და მოსახლეობის ჩართვა სამეწარმეო საქმიანობაში ბევრად შეამცირებდა უმუშევრობის პრობლემასა და სიღარიბეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პრობლემა ჯერჯერობით ძალიან შორსაა სრულყოფილებისაგან და ნაცვლად ხელშეწყობისა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, უამრავი ბარიერების გადალახვაა აუცილებელი ელემენტარული სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად.

ფაქტიურად, ჩვენში განვითარება ვერ ჰპოვა ვერც სოციალური დაზღვევის სისტემამ, ვინაიდან მათი შეთავაზებული პირობები რეალობისაგან ძალზე დაშორებულია და იშვიათად აღსრულებადი ხდომილებებითაა დატვირთული. აქედან გამომდინარე, დაზღვევის არსებული სისტემა საზოგადოების ფართო ფენებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

სოციალური დაზღვევა კი, აუცილებელი დამცავი მექანიზმია არა მხოლოდ ადამიანური კაპიტალის, არამედ მისი შემოქმედების და ამ შემოქმედებისათვის აუცილებელი ეკონომიკური პირობების გაუმჯობებისა და შემთხვევითობებისაგან დასაცავად. ნებისმიერი სახის შემოსავლის შემქმნელი ოთხი ფაქტორიდან (მიწა, კაპიტალი, შრომა და სამეწარმეო უნარი), სამი ადამიანურ ფაქტორს და მის შესაძლებლობებს უკავშირდება და მის გარეშე არ არსებობს. ყოველ მათგანს კი გარკვეული შემოსავალი მოაქვს პროცენტის, ხელფასისა და სამეწარმეო მოგების სახით. რაც შეეხება მეოთხე ფაქტორს — მიწას, აქაც ადამიანური ფაქტორის გარეშე არაფერი არ გამოვა.

პროფესორი ვ. პაპავა ასახელებს მეხუთე ფაქტორს — სახელმწიფოს და გვაძლევს აღნიშნული მოსაზრების სერიოზულ

---

[1] ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა. თბ., 2003, გვ. 95.

დასაბუთებასა და სამეწარმეო უნარსა და სახელმწიფოს ეკონომიკურ უნარს შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებას, რომლის მიხედვით: 1. მეწარმე წარმოებაში აერთიანებს მატერიალურ და შრომით რესურსებს, სახელმწიფო კი მეწარმეებს აერთიანებს ეროვნულ ეკონომიკაში. 2. მეწარმე კონკრეტული ფორმის საქმიანობის კურსს განსაზღვრავს, სახალმწიფო კი მთელი ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიას. 3. მეწარმე ახალი პროდუქციის წარმოებაზე და ტექნოლიგიებზე, ფორმებსა და მეთოდებზე ზრუნავს, სახელმწიფო კი ახალ საფინანსო-საგადასახადო სისტემებს, ახალ ინსტიტუციონალურ სტრუქტურებს აყალიბებს. 4. მეწარმე რისკს თავის თავზე იღებს და ჯილდოც რაც შეიძლება მეტი მოგებაა, სახელმწიფოც იღებს რისკს, მაგრამ წაგების შემთხვევაში მას დაშლა ემუქრება, ხოლო ჯალდო არჩევნებში გამარჯვებაა ან ხელისუფლების ვადის გაგრძელება.

ამგვარად, თუ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოების ფაქტორია, მან სახელმწიფოს გარკვეული შემოსავალიც უნდა მოუტანოს. ასეთია ბიზნესზე ირიბი გადასახადი, რაც სახელმწიფოს ხელში უშუალოდ ექცევა მომსახურების სანაცვლოდ. იგი სხვა ფაქტორულ შემოსავლებთან ერთად პირველადი შემოსავლებია, პირდაპირი გადასახადები კი – წარმოებული[2]. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსა და მაწარმეს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა, ორივე მათგანი ადამიანური ფაქტორის და მაშასადამე, ადამიანური კაპიტალის გარეშე არ არსებობს და ვერც იფუნქციონირებს.

ადამიანური კაპიტალი ყველაზე თვალსაჩინოდ მის დასაქმებაში და მოღვაწეობის თავისუფლებაში ვლინდება. ამიტომ, აღნიშნული პრობლემა თავისი მოთხოვნის საუკეთესო დაკმაყოფილებას გულისხმობს არა უბრალოდ ნებისმიერ დასაქმებაში, არამედ

---

[2] ვ.პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005, გვ. 102.

მისი, როგორც პიროვნების, სპეციალისტის დასაქმებაში, რათა მან თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინოს, როგორც პირადი, ასევე მთელი ქვეყნის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

სახელმწიფოებრივი მიდგომა ამ პრობლემისადმი ყოველთვის არაა ხელმისაწვდომი თვით სახელმწიფოსთვისაც კი უამრავი ობიექტური მიზეზების გამო, რაც ცხოვრებისეული მოთხოვნებითაა განპირობებული, მაგრამ აუცილებელია, რომ სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთოს, რათა არა მხოლოდ ახალგაზრდების დასაქმება გახდეს შესაძლებელი თავისი სპეციალობით, არამედ იმ მაღალი დონის სპეციალისტებისაც, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან, თუ, რა თქმა უნდა, ისინი კვლავ შრომისუნარიანები არიან.

ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ის ფაქტი, რომ კანონმდებლობით საპენსიო ასაკი 65 წელია, ხოლო 2005 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით ,,სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" 50 წლის პროფესორ-მასწავლებლების სამსახურიდან გათავისუფლებაა გათვალისწინებული, თუ მათ არანაკლებ 20 წლის სტაჟი აქვთ აკადემიურ თანამდებობაზე (სამეცნიერო ან სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის), აქვს განთავიუფლების სურვილი და შესაბამის დაწესებულებაში არანაკლებ 5 წლის სტაჟი, ან, თუ მიმდინარეობს ამ დაწესებულების გადაყვანა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს რეორგანიზაციით გათვალისწინებული შტატების შემცირება.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა ამ ბოლო დროს დაუშვეს პრეცედენტი იმისა, რომ მოახდინონ საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლებული ადამიანების პერეკვალიფიკაცია, რათა ისინი ჩაერთონ აქტიურ ეკონომიკურ საქმიანობაში,მოიპოვონ გრანტები და თავი სრულყოფილ და ქვეყნისათვის საჭირო პიროვნებებად იგრძნონ. ასეთი ღონისძიებები სახელწიფომ მით უმეტეს უნდა განახორციელოს, ვინაიდან ეს ადამიანები, რომლებმაც მთელი

თავისი მოღვაწეობა ამ სახელმწიფოს აღმშენებლობას მიუძღვნეს, მისი მოქალაქეები არიან.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ გამოცდილი კადრები ქვეყანას აღარ სჭირდება, რომ, მათი აზრით, ყველაფერს ახალგაზრდები გასწვდებიან, რაც არასწორი მიდგომაა, რამეთუ ჯერ კიდევ პლატონი წერდა, რომ სახელწიფო ქვეყნის ნორმალური მართვისა და განვითარებისათვის აუცილებლად უნდა იყენებდეს ახალგაზრდების ენერგიას და უფროსი თაობის გამოცდილებას. დღევანდელი ხელისუფლება კი, სამწუხაროდ, როგორც ჩანს პლატონს ან არ იცნობს, ან არ სცნობს. ორივე შემთხვევაში შედეგი სრულყოფილი ვერ იქნება.

უმუშევრობა – ქვეყნის სოციალური დაავადებაა, რომელიც არა მხოლოდ ეკონომიკური პრობლემების ასახვას წარმოადგენს, არამედ იგი ღრმად აღწევს სოციალური ფენების სიღრმეებში და ძირს ულპობს მას. სწორედ უმუშევრობაა ყველანაირი კრიმინალის, ნარკომანიის, პროსტიტუციის, ალკოჰოლიზმის, სახელმწიფო ქონების დამტაცებლობის, პიროვნული ფუნქციის დაკარგვისა და უცხოეთის არაერთ ქვეყანაში საქართველოს და ქართველი ერის იმიჯის შემლახავი ფაქტორი.

სწორედ უმუშევრობა და სიღარიბეა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ამდენ ხანს ვერ ვახერხებთ. ჩვენში რომ ეს პრობლემები არ არსებობდეს და ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერი იყოს, იქ მცხოვრებ ადამიანებს ვერანაირი პოლიტიკით ვერ ჩამოგვაცილებდნენ, რაც არ უნდა მზაკვრული ხერხები გამოეყენებინათ ჩვენს მტრებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ამას ემატება პოლიტიკურ პარტიათა შორის გაუთავებელი ბრძოლა იმის გასარკვევად, თუ რა მიზნებს ხმარდება სახელმწიფოს ბიუჯეტი, რატომ არიან ახალ, ხალხის მიერ ზარ-ზეიმით არჩეულ ხელისუფლებაში კორუფციის სენით დაავადებული ჩინოვნიკები, რატომ იყიდება ხალხის მიერ აშენებული, საზოგადოებრივ და ეროვნულ საკუთრებად ცნობილი ქონება შენობა-ნაგებობების, მიწებისა და ა.შ. სახით, რატომ

იხურება გამორჩეულად დემოკრატიის ტალღაზე ახლად აღორძინებული პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლობები, რომელთა მოღვაწეობას მჭიდროდ უკავშირდება დემოკრატიის ერთადერთი პირობა — თავისუფალი სიტყვა და აზრი?!

ყოველივე ამის შემყურე ჩვენი დაკარგული ტერიტორიების მოსახლეობას, ბუნებრივია სურვილი აღარ გაუჩნდება ჩვენთან ერთად აშენოს სახელმწიფო და შედეგად ღებულობდეს იმას, რომ ერთეულების და არა მთელი საზოგადოების — ხალხის ძალაუფლებას ემორჩილებოდეს ქვეყანაში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესები, საზოგადოების უმცირესი ნაწილი მდიდრდებოდეს, ხოლო სხვები ნაგავში ეძებდნენ თავის გადარჩენის საშუალებას.

თუ ჩვენ მართლაც გვინდა, რომ განვახორციელოთ ჩვენი ქვეყნის ყველაზე პრიორიტეტული მიზანი — დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, უპირველეს ყოვლისა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები უნდა მოვაგვაროთ, მაგრამ არა ერთმანეთთან კინკლაობით, არა მხოლოდ ახალგაზრდების დასაქმებითა და გამოცდილი პროფესიონალებისათვის დისკვალიფიკაციის გამოცხადებით, არამედ ერთიანი შეტევით, საზოგადოებისათვის გამჭვირვალე საქმიანობით, რათა ადამიანებმა იგრძნონ რომ ყველაფერი, რაც კეთდება — მათ კეთილდღეობასა და ქვეყნის განვითარებას ემსახურება მხოლოდ.

უმუშევრობის პრობლემაზე არაერთი სამეცნიერო კვლევაა ჩატარებული. მეცნიერები ასახელებენ: ინსტიტუციურ, ფრიქციულ, ნებაყოფლობით, სტრუქტურულ, იძულებით, რეგიონალურ და სხვა სახის უმუშევრობას. გამოსავალს ამ სიტუაციიდან ავტორები სახელმწიფოსაგან ჯეროვან ყურადღებასა და ისეთი მეთოდების გამოყენებაში ხედავენ, როგორიცაა: სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციის სისტემის დახვეწა, ფარული უმუშევრობის გამოვლენა, პროგრესული სწავლებისა და გადამზადების თავის თავზე აღება, დასაქმების პრობლემების კვლევა, ახალი ტექნოლოგიების დამუშავება, მცირე ბიზნესის შელავთიანი დაბეგვრა და სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების დამუშავება-რეალიზაცია აღნიშნული ღონისძიებები — ავტორთა აზრით, ახალი სამუშაო

ადგილების შექმნას და საზოგადოების პოტენციურ შესაძლებლობათა სრულად გამოყენებას ემსახურება[3].

მეცნიერული გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ ნებისმიერი ადამიანის საქციელს განსაზღვრავს ის გარემო, რომელშიც მას ცხოვრება და საქმიანობა უხდება. ერთ სიტუაციაში ყველა წესიერი და პატიოსანია, მეორეში — უპატიოსნოდ შეიძლება მოიქცეს ისიც, ვისაც ადრე მსგავსი რამ არც ჩაუდენია და ამის წარმოდგენაც არ შეეძლო. მაგრამ თუ ქვეყანაში საერთო ქაოსი და უწესრიგობა სუფევს, ხოლო ქვეყნის სათავეში მყოფნი და მათთან დაახლოებული პირები თვითონ უტარებენ რიგით მოქალაქეებს „ზნეობრიობის" გაკვეთილებს, რომელთა საზრუნავი მხოლოდ პირადი და ახლო მდგომი პირების კეთილდღეობაა, როდესაც თვითონ უჩვენებენ გადასახადების გადაუხდელობის მაგალითებს, მალავენ ქონებას და შემოსავლებს, არ შეიძლება რიგით მოქალაქეებს მოსთხოვო იყვნენ სამაგალითონი და უმწიკვლოდ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე[4]. ადამიანური ფაქტორისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ არაერთი პატიოსანი ადამიანი აქცია კორუმპირებულად, კრიმინალად და საზოგადოებას გამოაცალა ხელიდან მისი, როგორც სოციალური და ეკონომიკური კაპიტალის შესაძლებლობები, ან გაფანტა ისინი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მაშინ როდესაც მათი შესაძლებლობები და პოტენციალი ჩვენი ქვეყანისათვის სრულიად აუცილებელი იყო.

თანამედროვე დასავლელი მეცნიერები „ფაქტორების თეორიის" ავტორები (ე, ფერი, ფ. ლისტი და სხვები) დანაშაულის წარმოშობის უმთავრეს ფაქტორად ეკონომიკურ პრობლემებს

---

[3] ჯ. კანკაძე. ა მეტრეველი... უმუშევრობის პრობლემა. შრომების კრებული. თბ., 2001, გვ. 87.

[4] რ.აბესაძე, რ.სარჩიმელია, ნ. არევაძე, მ.მელაშვილი. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბ.:"უნიბერსალი", 2004, გვ.84.

ასახელებენ[5]. სწორედ ეკონომიკური პრობლემები უქმნის ადამიანებს საკუთარი პიროვნებისადმი გაუცხოების დამღუპველ პირობებს. გაუცხოების ეს ფორმა კი, როგორც ფილოსოფიაშია ცნობილი, გაუცხოების ყველაზე უკიდურესი ფორმაა, რომელიც უკარგავს მათ იმ უნიკალურსა და განსაკუთრებულ თვისებებს, რომლითაც ერთი პიროვნება მეორისაგან განსხვავდება და რომელიც სხვებთან ერთად ქმნის იმ მრავალფეროვნებას, რომელიც აუცილებელია ქვეყნის ჯეროვანი ეკონომიკური მშენებლობის საქმეში.

პოსტსოციალისტურმა ტრანსფორმაციამ ძირეულად შეცვალა ადამიანური ღირებულებები, მათი მსოფლმხედველობა, ქცევები და ეკონომიკური ურთიერთობები. ჩამოყალიბების პროცესშია ე.წ. „ჰომო ეკონომიკუს"-ის ახალი ტიპი, რომელიც „ჰომო სოვეტიკუს"-ის ტიპის ადამიანის გარდაქმნის შედეგად ყალიბდება „ჰომო ტრანსფორმატიკუს"-ის გავლით — „ჰომო ეკონომიკუს"-ად. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში საზოგადოებრივი თანამდებობები „ჰომო სოვეტიკუს"-ის ტიპის ადამიანებს უკავიათ, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კი „ჰომო ტრანსფორმატიკუს"-ის ტიპებს[6].

მიმაჩნია, რომ ჭეშმარიტი „ჰომო ეცონომიკუს", რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა, სოციალურ პრინციპებს უნდა ითვალისწინებდეს,რომელთა შორის ეთიკური ნორმების — საერთოდ, და კერძოდ, ბიზნესის ეთიკის ნორმების ფლობა და გამოყენება პარტნიორებთან, ინვესტორებთან და შიდა პერსონალთან აუცილებელი ფაქტორია ეკონომიკისა და ბიზნესის გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობების პერსპექტივებისათვის.

---

[5]რ. აბესაძე, რ. სარჩიმელია, ნ. არევაძე, მ. მელაშვილი. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბ.: "უნიბერსალი", 2004, გვ. 86.

[6] ვ. ჰაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005, გვ. 81.

2.2. ეკონომიკური ცნობიერების დეფიციტი გარდამავალ პერიოდში — ჩრდილოვანი ეკონომიკისა და სიღარიბის საფუძველი

ჩრდილოვანი ეკონომიკის შესახებ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე საკმაოდ ბევრს წერენ სამეცნიერო ლიტერატურაში. ავტორები მიუთითებენ მისი წარმოშობის შესახებ, ხელშემწყობ გარემოებებზე, განვითარების თავისებურებებზე, მის არსზე, შედეგებსა და იმ გავლენაზე, რასაც იგი ახდენს ეკონომიკის პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის მიმდინარეობაზე, მის ტემპებსა და ეფექტურობაზე.

ჩრდილოვანი ეკონომიკის საწყისებს უკავშირდება ჩრდილოვანი სამართალი, ჩრდილოვანი იდეოლოგია, ჩრდილოვანი პოლიტიკა მასში არსებული არასტაბილური სიტუაციით, სახალმწიფო მმართველობის პირადული და მკვეთრად ინდუვიდუალიზირებული, ე.ი. არადემოკრატიული ფორმით, ნაცვლად მისი საზოგადოებრივი მიზანდასახულობისა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები, სიღრმისეული განვითარება და დროში არსებობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება.

პოსტსაბჭოურ სივრცეში, სადაც თხუთმეტი სხვადასხვა კულტურისა და ისტორიული წარსულის, სხვადასხვა ფსიქოლოგიისა მოთხოვნების მქონე ქვეყანა იყო გაერთიანებული, ჩრდილოვანი ეკონომიკის ფორმები და მიმდინარეობის ხანგრძლივობა თითქმის ერთნაირი სცენარით მიმდინარეობდა.

ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ის საერთო პოლიტიკა, იდეოლოგია და სამართლებრივი სივრცეა, რომელიც აერთიანებდა ამ ქვეყნებს, ანუ ეს იყო მათთვის საერთო სოციალისტური კულტურა, რომელიც ადამიანთა აზროვნებაში, ფსიქოლოგიასა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში იყო მყარად ფესვგადგმული.

ამგვარად, საერთო სოციალისტური კულტურის ნაკლოვანებები იყო საფუძველი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებული ჩრდილოვანი

ეკონომიკის, პოლიტიკისა და იდეოლოგიის იდენტური განვითარებისა.

მაგრამ, სოციალისტური კულტურის არსებობა მხოლოდ 70 წელს ითვლის. საბჭოთა სივრცეში მყოფი ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობა კი სრულიად სავადასხვა ხასიათსა და მასშტაბებს მოიცავს.

ამიტომ, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული ჩრდილოვანი იდეოლოგიის, ჩრდილოვანი სამართლისა და ჩრდილოვანი პოლიტიკის წარმოშობისა და განვითარების თავისებურებანი ამ ქვეყნების კულტურაში — საერთოდ, და, კერძოდ, ეკონომიკური, იდეოლოგიური, სამართლებრივი და პოლოტიკური კულტურის პოზიტიურ და ნეგატიურ თვისებებში უნდა ვეძებოთ.

ამასთან, თვალსაჩინოა დღევანდელი ეკონომიკური და მასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული სფეროების გაუცხოების პროცესი, რომელიც პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარეობს დასავლური ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი სისტემებისა და მეთოდების შემოჭრით.

საზოგადოებრივი ცნობიერება, ისევე როგორც კერძო ინდივიდების ცნობიერება რთულად ეგუება ახალ მიდგომებს ეკონომიკაში და მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდები უკვე თხუთმეტი წელია ქვეყანაში მკვიდრდება, საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ძალიან შორსაა მათი გათავისებისა და პრაქტიკაში თავისუფლად გამოყენებისაგან. ამჟამადაც არნახული ტემპებით მიმდინარეობს ქვეყანაში თითქმის ყველაფრის გაყიდვა, რაც ოდნავ მაინც ღირებულია. ამასთან, მყიდველი, როგორც წესი, უცხოელია, რაც ფაქტიურად ხელიდად გვაცლის არა მხოლოდ შენობა-ნაგებობებს, არამედ იმ მიწის ნაკვეთებსაც, სადაც ეს ნაგებობებია განლაგებული.

ხშირად გაყიდული მიწა განსაკუთრებით ღირებულია, ვინაიდან მასში შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი წიაღისეული ან რომელიმე კულტურული და ეროვნული მემკვიდრეობა.

ყოველივე ეს იწვევს ამ მიწების ყოფილი მეპატრონეების სამართლიან გულისწყრომასა და სურვილს – თვითონ შეისყიდონ თავინთი მამა-პაპისეული ქონება. ეს კი სოციალური უთანასწორობის

და, მაშასადამე, „ნეოფეოდალიზმის" შექმნის საუკეთესო წინაპირობა გახდება.

დარწმუნებული ვართ, რომ ეკონომიკური ცნობიერების დეფიციტი, რომელიც ეკონომიკურ გაუცხოებაში ვლინდება, თავისი თანმდევი შედეგებით, ეკონომიკას ვერ განავითარებს და ვერც სილარიბის პრობლემას ეშველება რამე, ვინაიდან გასაყიდი ქონება მალე ამოიწურება, დღევანდელი მოჩვენებითი ეკონომიკური „კეთილდღეობა" სულ მალე დასრულდება და ქვეყანა მაშინ მართლაც საკალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება.

მიგვაჩნია, რომ ამ სიტუაციიდან გამოსავალი არის არა ყველაფრის ხელაღებული გაყიდვა, არამედ მისი შენარჩუნება საზოგადოების ახალი ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბებით, ეკონომიკური გაუცხოების აღმოფხვრით, რითაც მათ დაარწმუნებ, რომ ეს ქვეყანა და მასში არსებული სიკეთე თვითოეულ მათგანს ისევე ეკუთვნის, როგორც ნებისმიერ თანამდებობის პირებს, და რომ ეროვნული დოვლათი და მათ მიერ შექმნილი ფასეულობები მათ მომავალს უზრუნველყოფს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს სამართლიანი გადანაწილება, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ მართლმსაჯულებითი, პოლიტიკური და საერთოდ, ყველა სოციალური სიკეთეებისა, იქნება ეს შრომის ანაზღაურება, პენსია, მათი კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება თუ სხვა.

ამ თვალსაზრისით გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესი, რომელსაც თან ახლავს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოვლენები, ქვეყნის ეკონომიკური ცნობიერების დეფიციტის აღმოფხვრის, მისი პროგრესისათვის უნდა იქნეს გამოყენებული. გლობალიზაციის დადებით ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ისეთი ღირებულებები, რომლებიც მიმართული იქნება ეროვნული და

ზოგადსაკაცობრიო პროგრესისა და ადამიანის, როგორც სამყაროს გვირგვინის ბედნიერებისა და თავისუფლებისაკენ.

რაც შეეხება ინტეგრაციისა და გლობალიზაციის უარყოფით ფორმებს, ისინი მართალია, ბევრად ჭარბობს დადებითს, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ სამყაროს არსებობის კანონზომიერებას, რომელსაც საფუძველი მის მრავალფეროვნებაში აქვს, უნდა ვივარაუდოთ, რომ გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი მსოფლიოს მაქსიმალური გამაერთიანებელ მიზანი განუხორციელებელია, ვინაიდან, ის განსხვავებები, რაც სამყაროში ბუნებრივი სახით არსებობს და ფუნქციონირებს ვერანაირი გლობალიზაციით ვერ შეიცვლება.

მსოფლიო ბატონობა გლობალიზაციის ერთ-ერთი აქტიური გამოხატულებაა. მისი განხორციელების ყველა მსურველი კი, როგორც ცნობილია, ყოველთვის ხელმოცარული რჩებოდა, ვინაიდან ეს ბუნების კანონებისა და თუნდაც ღვთაებრივი ჰარმონიულობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, რაც მომავალშიც ყოველთვის მარცხით დამთავრდება.

ოპონენტები შეიძლება შემოგვედაონ, რომ სოციალური გარემო თავისი კანონებით მოქმედებს და იგი ყველაფერში არ ემორჩილება ბუნების კანონებს, მაგრამ ადამიანი ხომ სოციალურისა და ბუნებრივ-ღვთაებრივის ერთიანობაა და მისი ამოგდება რომელიმე მათგანიდან შეუძლებელია.

ამასთან, სხვადასხვა ერებს ერთმანეთისაგან განსხვავებული გენეტიკა, ტრადიციები, საარსებო გარემო, სამეტყველო ენა და კულტურა გააჩნიათ, რითაც ისინი ერთმანეთიისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. გლობალიზაცია კი მათ ამ ყველაფრის შეცვლასა და გაერთიანებას აპირებს, რაც ასევე მათი ბუნებრივი განვითარების წინააღმდეგ სვლას ნიშნავს და სრულიად გამორიცხულია. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის პროცესი შეიძლება განხორციელდეს ისეთ სფეროებში, რიგორიცაა ეკონომიკა, სამართალი, ხელოვნება, მეცნიერება, განათლება და ა.შ., ანუ იმ სფეროებში, რომელთა დამკვიდრება ადამიანთა განვითარების პირობებს შექმნის.

ამდენად, გლობალიზაცია გარდაუვალი და ლოგიკური პროცესია. როგორც პროფესორი რ. აბესაძე აღნიშნავს: გლობალიზაცია არის მსოფლიო ბაზრის სუბიექტებს და სახელმწიფოებს შორის დიდი კონკურენციის, მაგრამ, ამავე დროს დიდი ურთიერთდახმარების პროცესი. ამიტომ, საჭიროა არა გლობალიზაციის საერთოდ უარყოფა, არამედ თითოეული სახელმწიფოს მისწრაფება გამარჯვებისაკენ ამ დიდ კონკურენციულ ბრძოლაში, რასკვირველია, არა ძალით, არამედ ცოდნით, მეცნიერების განვითარებით, უმაღლესი ტექნოლოგიების შექმნით, კულტურის სრულყოფით, ინტელექტის ამაღლებით და ა.შ.

მართალია, გლობალიზაციის პირობებში სახალმწიფოს ზოგიერთი ფუნქცია იზრუდება, მაგრამ იგი იძენს უფრო დიდ საერთაშორისო ფუნქციას, რომელიც მიმართული უნდა იყოს გლობალიზაციის ნეგატიური ზემოქმედების განეიტრალებისაკენ, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, საუკეთესო ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და მისი შემდგომი სრულყოფისაკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა შეიძლება აღმოჩნდეს ეკონომიკური კოლაფსის საშიშროების წინაშე, რასაც ასევე მოჰყვება მეცნიერების, კულტურის, ტრადიციების და ა.შ. დეგრადაცია[7].

გლობალზაციის პროცესი ააღვილებს კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლას, სამეცნიერო, პოლიტიკური თუ სახელოვნებო გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, რაც ეკონომიკური თვალსაზრისითაც მომგებიანია და ადამიანთა შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების პერსპექტივებსაც ქმნის. გლობალიზაციის მეშვეობით სამყარო ერთ მუჭად შეკრული ორგანიზმი ხდება, რომლისათვისაც ტერიტორიული სიშორე და საზღვრები არანაირ ხელისშემშლელ ფაქტორს აღარ წარმოადგენს, როგოც ამბობენ, სამყარო დაპატარავდა და მომავალში ეს პროცესი კიდევ უფრო

---

[7] რ. აბესაძე, რ. სარჩიმელია, ნ. არევაძე, მ.მელაშვილი. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბ.:"უნიბერსალი", 2004, გვ. 32-33.

თვალსაჩინო გახდება. აქედან გამომდინარე, გაუცხოების პრობლემა ეკონომიკურ ცნობიერებაში სრულიად რეალურია და მისი აღმოფხვრის გზები საზოგადოების კულტურის — საერთოდ და, კერძოდ, ეკონომიკური კულტურის საფუძვლებში უნდა ვეძებოთ.

სოციალისტური ეკონომიკის ერთ-ერთი უარყოფითი მოვლენა იყო სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ პროცესებში ჩარევა, რაც გადაჭარბებული გეგმურ-გამანაწილებელი პროცესების განსაზღვრას ითვალისწინებდა. და ვინაიდან ყოველ ხუთწლედში დაგეგმილი ახალახალი გეგმიური ვალდებულებები რეალურად შეუსრულებელი იყო, იწყებოდა გაყალბების პროცესი, რაც გეგმის შესრულებას მხოლოდ ქაღალდზე ახერხებდა.

ამ მაქინაციების წყალობით კი ზარალდებოდა როგორც ეკონომიკური სისტემა, ასევე ადამიანთა ფსიქიკა, რომელიც გაყალბებულ ადამიანურ ურთიერთობებსა და ცრუ პატრიოტიზმში გამოიხატებოდა, ხოლო ყოველივე ამით კიდევ უფრო ვკარგავდით ეკონომიკური ცნობიერებისა და კულტურის ელემენტარულ საწყისებს. სოციალისტურ ეკონომიკურ ცნობიერებაში ჩამოყალიბებული დამოკიდებულება სახელმწიფო ქონების დატაცებისადმი და სახელმწიფოს მხრიდან ამ პროცესების უკონტროლობამ სრულიად გაანადგურა სახელმწიფოს ბიუჯეტი და მისი მოჩვენებითი სიძლიერე.

სამწუხაროდ, საზოგადოებამ ყველა ეს ჩრდილოვანი თვისებები უდანაკარგოდ გადმოიყოლა ახალ რეალობაში, რის შედეგადაც ჩვენში საბაზრო ეკონომიკა კვლავ ძველი სიმახინჯეებით განვითარდა. ეს ეხება დამალულ შემოსავლებს, სამეურნეო საქმიანობის დაბალ დონეს, კრიმინალამდე მისულ ეკონომიკურ ურთიერთობებს, დოკუმენტაციების გაყალბებას, კერძო ანგარებითი ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, საწარმოთა ხელოვნურ გაკოტრებას მათი ნომენკლატურული პირებისა და მათთან დაახლოებული ადამიანებისათვის ხელში ჩაგდებას და სხვა. სახელმწიფო ქონების დატაცებამ კი მართლაც არნახული მასშტაბები მიიღო. ჩამოყალიბდა ახალი „ნეოფეოდალური კლანი",

რომლის ხელში აღმოჩნდა ძირითადი სახელმწიფო ქონება და მშპ-ს 60-80 პროცენტი.

საქართველოს ეკონომიკის შორსწასული „ავადმყოფობის" სერიოზული ნიშანი იყო

ღრმა დეფორმაციები ქვეყნის მთელ ფელად-საკრედიტო სისტემაში, რომლის პირდაპირი გამოხატულება იყო ქრონიკული საბიუჯეტო დაფიციტი, რაც კიდევ უფრო ზრდის ქვეყნის შიდა და საგარეო ვალს და სულ უფრო აძნელებდა საგარეო ვალების არა თუ გადახდას, მის მომსახურებასაც კი[8].

საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები სრულიად უცხო იყო პოსტსაბჭოთა სივრცისთვის. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია ის დაბნეულობა, რასაც პირველ ეტაპზე ჰქონდა ადგილი. საზოგადოების დიდი ნაწილი ან საერთოდ ვერ ერკვეოდა მასში, ან მის საკუთრებაში კანონდარღვევით გადასულ საწარმოსა თუ სხვა სახის სავაჭრო ობიექტებში კვლავ ნაჩვევი გაყალბებებით აგრძელებდა მუშაობას, მიუხედევად იმისა, რომ ამჯერად საკუთარ თავს ძარცვავდა და არა სახელმწიფოს. როგორც კი ეს გააცნობიერა, მაშინვე დაიწყო შემოსავლების გადამალვა, ფალსიფიცირებული და აღურიცხავი პროდუქტის შემოტანა, მასავით კორუფციაში ჩაფლული საბაჟო და საგადასახადო სამსახურების ხელშეწყობითა და დახმარებით.

რაც შეეხება შემოსავლების აღრიცხვას, დღესაც არაა ყველა სავაჭრო ობიექტებში აუცილებელი საკასო აღჭურვილობა, რომელიც ზუსტად ასახავს შემოსული და გაცემული ფულადი კუპიურების დროსა და სახეობასაც კი.

საბაზრო ეკონომიკის შემადგენელ ნაწილად იქცა არაჯანსაღი კონკურენცია, რაც თვით საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპებს აყენებდა დარტყმას და საზოგადოებას მის მიმართ უარყოფითად განაწყობდა. ამის გამო პოსტსაბჭოთა სივრცის ადამიანებს დღემდე ნოსტალგია აქვთ საბჭოური ყოფა-

---

[8] რ. აბესაძე, რ. სარჩიმელია, ნ. არევაძე, მ.მელაშვილი. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბ.:"უნიბერსალი", 2004, გვ. 96.

ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მოწესრიგებული და მშვიდი გარემოსადმიეკონომიკურმა ქაოსმა ხელი შეუწყო ქვეყანაში შეკვეთილი მკვლელობების, ადამიანთა გატაცების, ბავშვთა გაყიდვისა და ადამიანთა ტრეფიკინგის პროცესებს, რაც ეკონომიკური დანაშაულის ყველაზე გაუარესებული ფორმაა. იგი ხშირ შემთხვევაში ადამიანთა სამართლებრივი კულტურის დაბალი დონითა და დამნაშავეთა კატეგორიის გაუცნობიერებლობითაა განპირობებული. დამნაშავეთა გააქტიურება, მათი წილობრივი მონაწილეობა და არაკანონიერი მაკონტროლებელი საქმიანობა თითქმის ყველა საწარმოსა თუ სავაჭრო ობიექტში შედეგია ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ანალოგიური საქმიანობისა, რასაც გადამდები ძალა აქვს და სისხლის სამართლებრივ და ეკონომიკურ დანაშაულს წარმოადგენს.

ამდენად, მიმდინარეობდა ეკონომიკური დანაშაულის ტრანსფორმაცია და ყალიბდებოდა ერთგვარი პოლიტიზირებული კრიმინალური ეკონომიკა, რომელიც კვლავარმოების[9] შეუქცევად პროცესს განიცდის. მისი აღმოფხვრისათვის კი უდიდესი ძალისხმევაა საჭირო, როგორც სახელისუფლებო ორგანოების, ასევე მთელი საზოგადოების მხრიდან.

ფლობდნენ რა უზაზრმაზარ ფულად რესურსებს, ორგანიზებული დამნაშავე ელემენტები აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკური პროცესების დაფინანსებაშიც, რაც საარჩევნო კამპანიების მსვლელობაში ვლინდებოდა. ისინი ცდილობდნენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებშიც კი თავისი წარმომადგენლების გაყვანას. ხოლო ეს წარმომადგენლები საჯარო გამოსვლებში არა თუ არ მალავდნენ ამას, არამედ კიდეც ამაყობდნენ, რომ ქურდული სამყაროს წიაღიდან იყვნენ.

ამგვარად, ლეგალურად მიმდინარეობდა სახელისუფლებო რიგების დაკომპლექტება კრიმინალებით, ანუ ხდებოდა

---

[9] С Глазьев. Теневые проблемы реформируемой экономики. Российский экономический журнал, 1996, с.29-30.

ხელისუფლების კრიმინალიზაცია. როგორც სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავდნენ, ყალიბდებოდა სახელმწიფო ორგანიზებული დანაშაული, რომელიც, როგორც ნ. არევაძე აღნიშნავს, მხოლოდ პოსტკომუნისტური პერიოდისათვის შეიძლება იყოს დამახასიათებელი. თავის მხრივ, კრიმინალური ელემენტების სახელმწიფო ბიუროკრატიასთან შერწყმა და ამ კავშირის შემდგომი განმტკიცება, ქმნის ეროვნული უშიშროებისა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების კრიმინალიზაციის საფრთხეს[10].

---

[10] რ.აბესაძე, რ. სარჩიმელია, ნ. არევაძე, მ.მელაშვილი. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბ.:"უნიბერსალი", 2004, გვ. 116.

თავი III
სიღარიბის დაძლევის გზები და სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმები ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში

3.1. ეკონომიკური კულტურა — ეკონომიკური თავისუფლების საფუძველი

კულტურა — ცხოვრების უმაღლეს ღირებულებად, მისი არსებობის გამართლებად შეიძლება მივიჩნიოთ. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური კულტურა წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანური მოღვაწეობის სტატიკურ გამოვლინებას, არამედ მისი შემოქმედებითი არსებობის დინამიკურ პროცესს, რომელიც გამუდმებულ ძიებასა და განვითარებაშია.

საზოგადოება, მთელი მისი არსებობის განმავლობაში ხვეწდა თავის ეკონომიკურ კულტურას. რომ არა ასეთი დინამიკური და გამიზნული სწრაფვა ეკონომიკერი კულტურის ჩამოყალებებისათვის, არ იქნებოდა დღევანდელი ეკონომიკის მიღწევები და საზოგადოება ვერ გაივლიდა იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებს, რომელთა საფუძველიცა და სახელწოდებაც ეკონომიკური კულტურის მონაპოვრების შედეგი იყო: მონათმფლობელური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია დაკავშირებული იყო სწორედ მონათა შრომის გამოყენებასთან, ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია — ფეოდის (მიწის) დამუშავებასა და მისგან მიღებული ეკონომიკური სარგებლის მიღებასთან, კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფოემაცია — ფულის, როგორც აუცილებელი ეკონომიკური ღირებულების მოგებასა და მიმოქცევასთან და, ბოლოს, სოციალიზმი — საერთო-საზოგადოებრივ ეკონომიკურ პროცესებთან.

თითოეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია თავის წინამორბედზე სწორედ ეკონომიკური კულტურისა და, მაშასადამე, ადამიანისათვის მეტი თავისუფლების მინიჭების თვალსაზრისითაა უფრო პროგრესული.

მიგვაჩნია, რომ სოციალური, დემოკრატიული და ეკონომიკური პროცესების წინა პლანზე წამოწევის გამო დღევანდელ ფორმაციას შეიძლება „სიციოეკონომიკური დემოკრატია" ეწოდოს, ვინაიდან კაპიტალიზმმა, რომელიც ორი საუკუნის წინ შიშველი და უკიდურესი ფორმებით გამოირჩეოდა ადამიანის ექსპლოატაციის თვალსაზრისით, თავი გადაირჩინა სწორედ სოციალური პრობლემების წინა პლანზე წამოწევით, რაზედაც ჯერ კიდევ 1990 წელს წერდა პროფესორი ალფრედ კურატაშვილი და რაც მეცნიერულად არის დასაბუთებული მის მიერ შექმნილ სოციოკაპიტალიზმის თეორიაში.[1]

აღნიშნული მიდგომებითა და დემოკრატიული პრინციპების დანერგვით კაპიტალიზმი დღეს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული სახით არსებობს.

ამდენად, განხორციელდა კულტურათა ერგვარი ინტეგრაცია, ერთი მხრივ, სოციალური პრინციპებისა და, მეორე მხრივ, კაპიტალის, როგორც უმნიშვნელოვანესი და მთავარი ეკონომიკური ფაქტორისადმი მიდგომის არა მგლური, არამედ სოციალური, ადამიანური კონცეფციის მეშვეობით.

ყოველივე ამის მეშვეობით კი შეიცვალა დამოკიდებულება ეკონომიკური სექტორის და მასში მომსახურე პირთა მიმართ, რომელთა საქმიანობა სოციალიზმის პერიოდში ერთგვარი ქილიკის საფუძველიც კი იყო, ვინაიდან სახელმწიფო სექტორის ამ მნიშვნელოვან სფეროს ძირითადად ნაკლებად განათლებული, კორუფციასა და მაქინქციებში გაწვრთნილი ადამიანები ავსებდნენ,

---

[1] Кураташвили Альфред А. Новый методологический подход в исследовании проблем и преподавании общественных наук. Материалы научно-методической конференции: "Проблемы совершенствования исследований и преподавания в общественных науках" (15 марта 1990 г.). Тбилиси: "Мецниереба", 1990.

რომლებსაც, განსაკუთრებით, სტალინური სოციალიზმის შემდეგ, სახელმწიფო ქონების თავის ხელში მოქცევა ცხოვრების მიზნად ჰქონდათ ქცეული. ხოლო ისინი კი, ვინც სახელმწიფო ორგანიზაციებში არ იყვნენ დაკავებულნი და დამოუკიდებლად, კანონდარღვევით ვაჭრობდნენ, მათ გადამყიდველები ეწოდებოდათ. იოლი გამდიდრების მოყვარული და სხვა სპეციალობის დაუფლებისაგან იმედგაცრუებული ახალგაზრდებიც სწორედ ამ გზას ირჩევდნენ.

ეკონომიკურ მეცნიერებებმა კი, რომელთა ძირითადი საფუძველი 70 წლის განმავლობაში მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმი იყო, ჩაკეტილ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში სრულყოფილი განვითარება ვერ ჰპოვა. მიტომ იყო, რომ ეკონომიკური კულტურა ჩვენში ყოველთვის დაბალ დონეზე იყო და, სამწუხაროდ, ამ სფეროში დღესაც არაა სანუგეშო მდგომარეობა. მართალია, ქვეყანაში უკვე არსებობს რამდენიმე მსხვილი საწარმო, კარგად განვითარებული საბანკო სექტორი, წარმატებული ბიზნესი და ბიზნესმენი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს შექმნის ქვეყანაში სიღარიბის აღმოფხვრის შესაძლებლობებს და რომ ეკონომიკური კულტურა მოქალაქეთა თუნდაც ნახევარს მოიცავს.

ჩვენში ეკონომიკური კულტურის ასეთი დაბალი დონის ფონზე კი მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში კერძო ინიციატივა, კაპიტალის ბატონობა და ადამიანთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება ამ ქვეყნებში ეკონომიკის განვითარებისა და მაშასადამე, ეკონომიკური კულტურის გზაზე პროგრესის მნიშვნელოვანი წინსვლის საფუძვლად იქცა. ყოველივე ამას დაემატა სოციალური ფაქტორების გათვალისწინებაც და შედეგად, ჩვენს თვალწინ საკმაოდ განვითარებული და მაღალი ეკონომიკური კულტურის სახელმწიფოებია იაპონიის, აშშ-სა და ევროპის მრავალი ცივილიზებული ქვეყნის სახით, მით უმეტეს, რომ ევროპა გასულ საუკუნეში არაერთხელ მოჰყვა მსოფლიო და რეგიონული მასშტაბის ნგრევისა და ომების ქარტეხილში.

ჩრდილოვანი ეკონომიკა საბჭოთა პერიოდშიც არსებობდა განსაკუთრებით სტალინური სოციალიზმის შემდეგ, როდესაც

სახელმწიფოს სათავეში კულტურასთან მწყრალად მყოფი ხელისუფლება მოგვევლინა.

სწორედ ამ პერიოდიდან იწყება არალეგალური, აღურიცხავი, არარეგისტრირებული ეკონომიკური საქმიანობა მთელი თავისი თანმდევი მოვლენებით: სპეკულაციით, ნარკომანიით, პროსტიტუციით, პორნობიზნესით, ყალბი დოკუნენტაციისა და ყალბი ფასიანი ქაღალდების წარმოშობითა და მათი მიმოქცევაში გაშვებით, კრიმინალური სიტუაციის მომძლავრებით და ა. შ., რაც არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტს, არამედ მთელ საზოგადოებას აჩანაგებდა.

ამგვარად, ეკონომიკური კულტურისა და მასთან დაკავშირებული საერთო სოციალური, სამართლებრივი და ა.შ. კულტურათა ერთობლიობა სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურაზე უშუალოდ ზემოქმედებდა. ამიტომ, სოციალისტური სამყაროს ძირითადი ნაკლოვანებების ახსნა მის ფუნქციონირებაში არსებული ეკონომიკური კულტურის დაბალი დონითაა შესაძლებელი, რომლის თვალსაჩინო მაგალითები მრავლად მოიძებნება საბჭოთა სინამდვილეში.

ეკონომიკა — კელტურის ფენომენია. იგი გარდა ნედლეულის მოპოვებისა, გულისხმობს მის გადამუშავებას (წარმოებას), მოთხოვნას, მიწოდებას, გაცვლას, ახალი მოთხოვნების წარმოშობის საფუძვლებს, სამეურნეო საქმიანობასა და მის მართვას, საწარმოო ძალთა და წარმოებითი ურთიერთობების ერთობლიობას, წარმოების საშუალებებს მთელი თავისი განვითარებით, წარმოების დარგებს შორის ურთიერთობას, ამ საწარმოთა განვითარების დონეს, შრომასა და მისადმი შემოქმედებით მიდგომას და აქედან გამომდინარე, შრომის ნაყოფიერებას, შრომისა და წარმოების კულტურას და ა.შ.

პოსტსტალინური პერიოდის ეკონომიკური კულტურა კი, რომლის თვითმიზანი შემოიფარგლებოდა ერთ სულ მოსახლეზე საკვები პროდუქტების რაც შეიძლება მეტი რაოდენობის წარმოებით, რათა დავწეოდით და გაგვესწრო ამერიკისა და იაპონიის მაჩვენებლებისათვის ამავე სფეროში — რეალურად

ივიწყებდა, რომ ეკონომიკა არ არის მხოლოდ ვიწრო მატერიალური ფენომენი და მოიცავს ადამიანურ ურთიერთობებსა და შემოქმედებით პროცესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ეკონომიკაც არ იქნებოდა. ამიტომ, ბუნებრივია, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს პროდუქციის დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებელი მისი დაბალი კუყლტურის დონით აიხსნებოდა.

სოციალისტური სივრცის დანგრევის შემდეგ კი ეს პროცესები კიდევ უფრო დამძიმდა, ვინაიდან ეს ქვეყნები ერთმანეთს მოსწყდა და დამოუკიდებლად დაიწყო სრულიად ახალი, მათთვის თვისობრივად სრულიად უცხო ეკონომიკის მშენებლობა. ამასთან, მათ შეუმცირდათ ის რესურსები (ბუნებრივი, თუ სოციალური), რომლებიც საბჭოთა პერიოდში ერთმანეთს ავსებდა და ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური კულტურის სახით იყო წარმოდგენილი.

ეკონომიკური კულტურის დაბალ დონეს განაპირობებდა აგრეთვე წარმოებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების ერთმანეთთან შეუსაბამობა, მიუხედევად იმისა, რომ ქვეყანაში არსებული ბუნებრივი ნედლეული მართლაც უმაღლესი ხარისხისა იყო დაწყებული ფერადი ლითონებით და დამთავრებული საფეიქრო წარმოებით. ნელი ტემპებით მიმდინარეობდა ახალი მანქანა-დანადგარების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა წარმოებაში, ხოლო გამოშვებული პროდუქცია ვერ სცილდებოდა კონვეიერულ ერთფეროვნებას. აქედან გამომდინარე, ის ფერთა მრავალმხრივობა და სიმკვეთრე, სინატიფე და დახვეწილობა, გამძლეობა და მაღალი ხარისხი, რაც მაღალი ეკონომიკური კულტურის საწარმოთა მიერ წარმოებულ პროდუქტს ახასიათებს, საბჭოთა პროდუქტს არ გააჩნდა. ასევე უხარისხო იყო ტექნიკური, ელექტრო და სხვა საქონელი, რომლებიც ადამიანთა უპირველეს მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებდა.

როგორც იმ პერიოდში მიუთითებდნენ, ეკონომიკური კულტურის ასეთი დაბალი დონე გამოწვეული იყო იმით, რომ ხელისუფლების ნებით და იმ პერიოდში არსებული „ცივი ომის" პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ეკონომიკისა და

სამეცნიერო-ტექნიკური არსენალის მთელი პოტენციალი ქვეყნის სამხედრო ძლიერებაზე იხარჯებოდა.

მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური კულტურისა და მომსახურების სფეროს დაბალი დონე მხოლოდ სამხედრო ძლიერებაზე გადასროლილი თანხების სიდიდისა და ინტენსიური ხარჯვის გამო არ ხდებოდა. მთავარი ფაქტორი მაინც, ისევ და ისევ თვით ეკონომიკისადმი შემოქმედებითი მიდგომის დაბალი ხარისხი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შედეგები შემოქმედებითი ინდივიდების შრომის დაუფასებლობა, და გამთანაბრებლური პოლიტიკა იყო. თუმცა, საზოგადოებაშიც მყარად იყო ფესვგადგმული მოსაზრება, რომ ყველა ადამიანი თანასწორია არა მხოლოდ სოციალური თვალსაზრისით, არამედ ინტელექტუალური შესაძლებლობებითაც, რაც გამორჩეული ნიჭიერების მქონე პიროვნებათა განსაკუთრებული უნარების წარმოჩენას ყველა შესაძლებლობებით ეწინააღმდეგებოდა როგორც არაეთიკურსა და ერთფეროვანი საზოგადოებრივი კონტექსტიდან ამოვარდნილს.

საკუთრების საზოგადოებრივმა ფორმამ ეკონომიკური კულტურაც ერთფეროვან–მასობრივად გარდაქმნა, რამაც კონკრეტული ადამიანიცა და მისი უნიკალური შემოქმედებითი მიდგომებიც ჩრდილში მოაქცია იმდენად, რომ ასეთი ადამიანები თავიანთი გამორჩეული ნიჭიერების შესახებ ვერც ბედავდნენ ხმამაღლა განეცხადებინათ, რამეთუ სხვებზე უკეთესობა უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა მათ.

ასეთი სიტუაცია იყო არა მხოლოდ წარმოებაში, არამედ სამეცნიერო წრეებშიც, სადაც მეცნიერთა შორის განსხვავება არა მათი სამეცნიერო სიახლეებით იზომებოდა, არამედ იმით, თუ ვის მეტი სამეცნიერო ლიტერატურა და მონოგრაფია ჰქონდა წაკითხული, ან გადმოქართულებული. დღესაც ხშირად ვხვდებით ისეთ "მეცნიერებს", რომლებიც თავს იწონებენ იმით, რომ უცხოეთში უკვე ცნობილი მოსაზრება საქართველოში მათ პირველებმა აღნიშნეს, ხოლო თუ ვინმე გაბედავს და თავის

შემოქმედებით ძიებებსა და სიახლეებზე ხმამაღლა განაცხადებს, ისიც და მისი სამეცნიერო იდეებიც და ამ იდეების გამგრძელებლებიც საკმაოდ საეჭვო და უპერსპექტივო მომავლისათვის არიან განწირულნი ერთფეროვანი სამეცნიერო მასის წარმომადგენელთა მიერ.

ყოველივე ამის ფონზე შეიქმნა ე.წ. „კვაზი ინტელიგენცია" მეცნიერებაში, პოლიტიკაში, ხელოვნებაში, ეკონომიკასა და ლიტერატურაში, ტექნიკასა და ტექნოლოგიებში, რამაც განაპირობა დაბალი ხარისხი თითქმის ყველა სფეროში. მაგრამ ყველაზე მწვავედ საზოგადოებამ ეს უხარისხობა იგრძნო ისეთ სასიცოცხლოდ აუცილებელ სფეროებში, როგორიცაა ეკონომიკა, პოლიტიკა, განათლება და ჯანდაცვა.

ჯერ კიდევ საბჭოთა სივრცის დაშლამდე მაშინდელმა ხელისუფლებამ დაიწყო ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლების ღონისძიებების გატარება, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი იყო ხარისხის ნიშანი — ხუთკუთხა გამოსახულებით. ასევე დაიწყო საუბარი იმაზე, რომ საშუალო ნიშნებით კურსდამთავრებული სპეციალისტები არ ჩაეთვალათ სრულყოფილი განათლების მქონედ და გაეთავისუფლებინათ დაკავებული თანამდებობებიდან.

მაგრამ, ეს პროცესები ძალზე დაგვიანებული აღმოჩნდა, ვინაიდან ყველაფერში დაბალმა ხარისხმა გაანადგურა ეკონომიკა და წინა პლანზე წამოსწია ისეთი შეუქცევადი პოლიტიკური პროცესები, რომლებმაც დაშალა კიდეც ერთ დროს შეუვალი და უძლიერესი საბჭოთა კავშირი.

სწორედ ეკონომიკური და პოლიტიკური კულტურის სიმახინჯეებმა დაანგრია ეს უდიდესი და ერთმანეთთან ორგანულად გადაჯაჭვული ქვეყნები და გამოიწვია შოკური პროცესები მთელ საზოგადოებაში, რომლის პარალიზების უკანასკნელი შედეგები დღემდე მოგვყვება და ასულდგმულებს ჩრდილოვანი ეკონომიკის, ჩრდილოვანი სამართლისა და ა.შ. ნეგატიურ მოვლენებს და ახალ, ფართო ჰორიზონტებს უშლის მათ.

სამეცნიერო ლიტერატურაში საუბრობენ ჩრდილოვანი ეკონომიკის სირთულესა და ვირტუოზულობაზე, რომლის განსაზღვრა ადვილია, გაზომვა კი შეუძლებელი, რომელიც არსებობს და ფუნქციონირებს სამართლებრივი ველის მიღმა. მის არსებით მაჩვენებლად კი თვლიან კომერციული გარიგების არაოფიციალურობას, ხოლო რეგისტრაციის შემთხვევაში კი მისი შინაარსის დამახინჯებას. ამასთან, ეკონომიკური კულტურის დონე იმდენად დაბალია, რომ მათი სუბიექტზე ზემოქმედების გავრცელებულ მეთოდს ძალადობა ან მისი გამოყენების მუქარა წარმოადგენს[2].

ეკონომიკური კულტურის დეფიციტი კარგად ჩანს არა მხოლოდ ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობაში, არამედ ჩრდილოვანი სოცია-ლური სფეროს – ზოგადად, და კერძოდ, ეკონომიკურ სივრცეში ეკონომიკური დანაშაულის სახით. ეკონომიკური დანაშაული – დანაშაულის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც დამნაშავეთა მიერ განსაზღვრულ ადგილსა და დროში უშუალოდ ხელყოფს საზოგადოებრივ დამოკიდებულებას საქონლისა და მომსახურების სფეროებში წარმოებას, განაწილებასა და მოხმარებას, რომლის საშუალებით ღებულობენ ფულს, ფასიან ქაღალდებსა და სხვა მატერიალურ ან ინტელექტუალურ ფასეულობებს, ან მათზე საკუთრების უფლებას და სხვა არამატერიალურ სიკეთეებს[3].

სამწუხაროდ, ეკონომიკური დანაშაული გავრცელებულია მოსახლეობის ყველა ფენებში და ვისაც ხელი მიუწვდება მასზე უარს თითქმის არავინ ამბობს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პატიოსანი ბიზნესი ან ცალკეული კეთილსინდისიერი პირები არ არსებობენ, მაგრამ ეს იმდანად იშვიათია, რომ ისინი ქვეყანაში ამინდს ვერ ქმნიან.

---

[2] Теневые параметры реформируемой экономики. Российский экономоческий журнал. №8,1996, с.8.

[3] Большой юридический словарь.М., 2002, с.479.

დღევანდელი ხელისუფლება უამრავ ღონისძიებას ატარებს ამ მიმართულებით, მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ჯერ კიდევ ვერ მივაგენით ისეთ ხერხს, რომელიც ქვეყნისათვის ამ ძირგამომთხრელ სენს მოგვაშორებდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მეცნიერი აყალიბებს ეკონომიკური დანაშაულის კლასიფიკაციას, რომლებიც თითქმის ერთმანეთის იდენტურები არიან და მოიცავენ ყველა ფენას ოლიგარქიული ხელისუფლებიდან დაწყებული ბოლო მოქალაქით დამთავრებული.

მაგრამ ეს კვლევები ნაკლებად ეხება ისეთ საკითხს, როგორიცაა რეალური გამოსავლის პოვნა ასეთი სიტუაციიდან, ან მიმართავენ ისევ და ისევ უკვე კარგად ნაცნობი სამართლებრივი განხილვისა და დასჯის მეთოდებს, რაც, დარწმუნებით შემიძლია ვამტკიცო, რომ არანაირ დადებით შედეგებს არ იძლევა. პირიქით, რაც უფრო მკაცრდება დასჯის ღონისძიებები, მით უფრო იმატებს დანაშაულის რაოდენობა და ფორმები.

მიმაჩნია, რომ ეკონომიკური დანაშაულის მთავარი მიზეზი მდგომარეობს ეკონომიკური კულტურის დეფიციტში და იგი თავისთავად მოგვცილდება, თუ საზოგადოებას ხელისუფლება პრაქტიკულად დაარწმუნებს, რომ ყველაფერი, რასაც ისინი ქმნიან — ისევე ერგება მათ, როგორც ნებისმიერი თანამდებობის პირს. აქ იგულისხმება ეკონომიკურიც, სამართლებრივიც, სამეცნიეროც, პოლიტიკურიცა და ნებისმიერი სოციალური სიკეთეები.

ეკონომიკური კულტურის დეფიციტი აისახება პროდუქციის ფალსიფიკაციის გავრცელებულ ფორმებში, რასაც ხელს უწყობს ბაზრობები ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი და ეკონომიკურ კულტურასთან შორს მყოფი სექტორი აღურიცხავი და შეუმოწმებელი პროდუქციით.

სამართლებრივი თვალსაზრისით, ეკონომიკური დანაშაული დასჯადია და სისხლის სამართლის კოდექსში მთელი კარი აქვს მიძღვნილი. იგი ფართო ცნებაა და მოიცავს: ქურდობას, ძარცვას, ყაჩაღობას, თაღლითობას, გამოძალვას, მითვისებას,

გაფლანგვას, უკანონო სამეწარმეო საქმიანობას, უკანონო შემოსავლებს, მონოპოლიურ საქმიანობას, ფალსიფიკაციას, საბუთების გაყალბებას, დანაშაულს ფულად-საკრედიტო სისტემაში (კრედიტების უკანონო მიღებას, ძვირფასი ლითონების სინჯის გაყალბებას, ყალბი ფულის, საკრედიტო ბარათის, ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების დამზადებასა და გასაღებას), საფინანსო სფეროში არსებულ დანაშაულს(საბაჟო წესების დარღვევას, ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევას, გადასახადებისათვის თავის არიდებას, კომერციული მოსყიდვას) და სხვა.

როგორც ცნობილია, პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის საქართველო ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ ქვეყნადაა ცნობილი და მიუხედავად მის წინააღმდეგ მიმართული არაერთი ქმედითი ღონისძიებისა ხელისუფლების მხრიდან, კორუფცია არათუ არ მცირდება, არამედ კიდევ უფრო იზრდება. ეკონომიკური კულტურის შედარებით უკეთესი ხარისხიჲ განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ამ პრობლემას სამართლებრივი მეთოდებით აწესრიგებენ, რაც მოქალაქეთა ცნობიერებაში კარგადაა გათავისებული, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი და კარგად გადადგმული ნაბიჯია, თუმცა არასაკმარისი. მას უნდა მოჰყვეს უფრო ქმედითი იდეური ხასიათის მუშაობა მოქალაქეებთან პრესით, ტელევიზიით, აღმზრდელობით დაწესებულებებში, ხელისუფალთა გამოსვლებში და ა.შ.

ადამიანი თავისი ბუნებით მესაკუთრეა. ამიტომ, თუ მას ცნობიერში, ქვეცნობიერსა და შეგნებაში ღრმად არ ჩაებეჭდება ეკონომიკური კულტურის საფუძვლები და ძირითადი დებულებები, ყოველი შეჩერება ამ პროცესებში გამოაცოცხლებს მასში მიძინებული უკიდურესი მესაკუთრის სურვილებსა და მისწრაფებებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გაჟღერებულა მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს პოლიტიკური წყობა განსაზღვრავს ჩამორჩენას ეკონომიკაში და მაგალითად მოჰქონდათ სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა. რა თქმა, უნდა ეს ასე არ

არის. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთი, რომელიც სოციალიზმის პირობებშიც ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის.

ამასთან, უამრავი კაპიტალისტური ქვეყანა არსებობს, სადაც ეკონომიკური კულტურის არარსებობის გამო ჩრდილოვანი ეკონომიკა და სხვა მასთან დაკავშირებული დანაშაულთა მთელი კასკადი მოქმედებს.

ეკონომიკური კულტურის დაბალი დონის ხელშემწყობ გარემოებათა შორის მოიაზრება ხელისუფლების მხრიდან გადაჭარბებული სიმკაცრეც მხოლოდ რიგითი მოქალაქეების მიმართ და ზედმეტი, ქაოსამდე მისული თავისუფლებაც. ამის საუკეთესო მაგალითია ყოფილი საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ არსებული ვითარება, როდესაც ფაქტიურად პროფესიული კადრების გარეშე დარჩა სამართალდამცავი ორგანოები, საჯარისო შენაერთები და რაც მთავარია, მთელი სახელისუფლებო სისტემა. ხოლო, საბჭოთა სისტემიდან გადმოყოლილი მომხვეჭელობის მავნე გამოცდილების შედეგად დატაცებულ იქნა საზოგადოების მიერ შექმნილი უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის მოქალაქეთა საბანკო ანაბრები, რომელთა დაბრუნების იმედიც კი აღარ არსებობს.

ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოშობის მიზეზები მბრძანებლურ-ადმინისტრაციული და საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებითად განსხვავებულია თავისი ფორმებით, მასშტაბებითა და შედეგებით.

თუ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის პირობებში ყოველივე ამის მიზეზად ასახელებენ: სამეურნეო მექანიზმის არასრულყოფილებას, კერძო საქმიანობის აკრძალვას, მკაცრ სახელმწიფო კონტროლსა და მიწერების დამლუპველ პრაქტიკას, რაც ხელფასზე ბუნებრივ დანამატად ითვლებოდა, საშსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და სხვ., საბაზრო ურთიერთობის პირობებში ძირითად მიზეზად მიიჩნევენ: ორიენტაციას უპირატესად კერძო საკუთრების განვითარებაზე, ბიუროკრატიის ბატონობას ეკონომიკისა და საკუთრების მართვაში, ბაზრებისა და საქმიანობის სფეროების კერძო მონოპოლიზმს,

ორიენტაციას სანედლეულო დარგების განვითარებაზე — სხვა დარგების სტრუქტურული კრიზისის პირობებში, არალეგალურ საქმიანობას მაღალი გადასახადების გამო, შემოსავლების მკვეთრ დიფერენციაციას, შრომის ანაზღაურების სახელშეკრულებო და სოციალური გარანტიების საკონტრაქტო სისტემებს, საბიუჯეტო შეღავათებისა და მშთ-ის ბიუროკრატიულ-კლანურ გამოყენებას, კერძოსაკუთრებითი საქმიანობის გაუკონტროლებლობას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სუსტ როლს ან მის არარსებობას გეოპოლიტიკური ურთიერთობების რეგულირებაში, სამართალდამცავი ორგანოებისა და საზოგადოებრიობის მოუმზადებლობას, მათი მუშაობის არაეფექტიანობას და სხვა[4].

ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოშობის მიზეზთა აღნიშნული ჩამონათვალი აშკარად მიუთითებს იმ პერიოდის დაბალ ეკონომიკურ კულტურაზე, ქვეყანაში გამეფებულ ქაოსზე ადამიანური მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში და ეკონომიკური დანაშაულის წარმოშობის საუკეთესო ხელშემწყობ გარემოზე.

ასეთი მდგომარეობა ლოგიკური შედეგი იყო მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის დაშლის შემდეგ არსებული მდგომარეობისა, რაც „აშვებული ძაღლის" სიმპტომში გამომჟღავნდა და რასაც კულტურასთან და მით უმეტეს ეკონომიკურ კულტურასთან საერთო არაფერი აქვს.

ეკონომიკური კულტურის აუცილებელ ელემენტად მიგვაჩნია ეკონომიკური პროგნოზირების უნარი, რომელიც თავისი ბუნებით საკმაოდ რთულია და მოიცავს არა მხოლოდ ეკონომიკური პროცესების (საწარმოო მექანიზმების, ფულად-საკრედიტო და საბანკო-საფინანსო მიმოქცევის, საგადასახადო და საბიუჯეტო სტრუქტურებს, სამეურნეო შესაძლებლობებს), არამედ საზოგადოებრივი მოთხოვნების პროგრესირების თავისებურებებს,

---

[4] რ. აბესაძე, რ. სარჩიმელია, ნ. არევაძე, მ.მელაშვილი. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბ.:"უნიბერსალი", 2004, გვ. 90.

როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო თვალსაზრისით, მისი განხორციელების საშუალებათა განსაზღვრას, როგორც მატერიალური, ისე სამეცნიერო და პოლიტიკური მასშტაბებით, პროდუქციის შექმნის, განაწილების, გავრცელებისა და გასაღების პრობლემებს.

ყოველივე ეს ეხება მთელ რიგ სახელმწიფოებრივ და კერძო ინსტიტუტებს, რომელთა მომზადების ხარისხზეა დამოკიდებული რეალური პროგნოზირება საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პროცესებისა, რაც სიღარიბის დაძლევის მექანიზმების შემუშავებისა და პრაქტიკულად განხორციელების ეფექტურ საშუალებად იქცევა.

ეკონომიკური პროგნოზირების აუცილებლობა ეხება აგრეთვე ეკონომიკური კულტურის დეფიციტის, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის შედეგებს, რაც ანგრევს სახელმწიფო ბიუჯეტს, ხელს უწყობს სიღარიბეს, როგორც მატერიალური, ისე სულიერი თვალსაზრისით, ასუსტებს ქვეყანას და საფრთხეს უქმნის მის არსებობას.

ეკონომიკური კულტურის შემადგენელი ნაწილია საკუთრების ფორმების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა, მისი კონტროლის მექანიზმების სრულყოფა და გამოყენება.

სოციალისტურ სივრცეში საზოგადოებრივი საკუთრების არსებობამ და კერძო საკუთრების ფორმის უგულებელყოფამ დაარღვია ადამიანთა ბუნებრივი სწრაფვის უნარი — თავისუფლად და შემოქმედებითად ეწარმოებინათ, შეექმნათ, გადაეცვალათ და შეეფასებინათ თავიანთი მოღვაწეობის შედეგები, მიეღოთ მონაწილეობა ჯანსაღ კონკურენციაში და განეცადათ გამარჯვებითა და შემდგომი სრულყოფით მიღებული პიროვნული ღირსების ამაღლების შეგრძნება.

ყოველივე ამის გამო დაიკარგა ადამიანებში ელემენტარული პასუხისმგებლობის შეგრძნება შექმნილი პროდუქციის ხარისხსა და კონკურენტუნარინობაზე, საერთო სახელმწიფოებრივი და კვაზი საზოგადოებრივი საკუთრების მოვლა-პატრონობაზე,

რომელიც, ფაქტობრივად, პარტოკრატების, ოლიგარქებისა და საქმოსნების ხელში აღმოჩნდა სტალინური პერიოდის შემდეგ.

ადამიანის არსებითი თვისებები საზოგადოებრივ ურთიერთობებში გამოიხატება და სწორედ ამ ურთიერთობებში ჩანს მისი თავისუფლებაცა და პასუხისმგებლობაც, რომლის დაკარგვის შემდეგ იგი საზოგადოებასთან ურთიერთობის კულტურასაც კარგავს, რომლის მნიშვნელოვანი შენადგენელი ნაწილი ეკონომიკური ურთიერთობებიცაა.

ამგვარად, პასუხისმგებლობის უნარი ეკონომიკური კულტურის აუცილებელი გამოხატულებაა.

მაგრამ, პასუხისმგებლობა დაფუძნებული უნდა იყოს, გარდა ადამიანური თვითშეგნებისა, ეკონომიკურ პროცესებზე და იმ გარანტიებზე, რომელიც სახელმწიფოსაგან უნდა იყოს განმტკიცებული პოლიტიკური კურსითა და სამართლებრივი ნორმებით იმის შესახებ, რომ ადამიანთა მოღვაწეობის შედეგები მათ დამსახურების მიხედვით მიეცემათ და არ მოხვდება მხოლოდ ხელისუფალთა საბანკო ანგარიშებზე.

ამიტომ, პასუხისმგებლობას არ ექნება ბუნებრივი ხასიათი, თუ მის დანერგვას მხოლოდ დაშინებით, ან მაღალმორალური იდეებით შევეცდებით, მის გათავისებას აუცილებლად ესაჭიროება ეკონომიკური ბერკეტები, რაც ეკონომიკური კულტურის დამკვიდრების გარანტიაა.

აქედან გამომდინარე, სტალინური სოციალიზმის შემდეგ სწორედ ზემოაღნიშნული ეკონომიკური ბერკეტები, რომელიც სწორედ სტალინური სოციალიზმიდან იღებს სათავეს, შემდგომი პერიოდის კორუფციული აზროვნებით არ უნდა დაჩრდილულიყო და ეს მართლაც პოზიტიური თვისება სტალინური სოციალიზმისა ახალი დემოკრატიული და კაცთმოყვარე იდეებით უნდა შევსებულიყო.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინდელი პოლიტიკური ნება ამის საშუალებას აღარ იძლეოდა, რითაც ქვეყნის ეკონომიკური კულტურაც თანდათანობით დაეცა და ჩვენს თაობას ასეთი დამახინჯებული, ლამის გენეტიკური კოდის სახით გადმოგვეცა.

ეკონომიკური კულტურის დაცემა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ როდესაც საბჭოთა ადამიანებს შესაძლებლობა მიეცათ უცხოეთის სოციალისტური ბანაკის (და არა კაპიტალისტური) სამყარო მოენახულებინათ, ეს ქვეყნები მათ სტუმრობას დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ, რათა სტუმართა ეკონომიკური უკულტურობა და კორუფცია, როგორც საზოგადოებრივი დაავადება, მათთანაც არ გავრცელებულიყო.

დღევანდელი სიტუაცია ამ თვალსაზრისით შეიძლება შეფასდეს, როგორც მცდელობა — გამოსწორდეს საზოგადოებაში არსებული დაუსჯელობის სინდრომი, მოწესრიგდეს სამართლებრივი ბაზა, საგადასახადო სისტემა, გამოსწორდეს კორუფციული გარემო და ა. შ., მაგრამ ჯერჯერობით არაფერი კეთდება ეკონომიკური ბერკეტების ასამუშავებლად, მოქალაქეთა ნდობის განსამტკიცებლად, მათი სამუშაო ადგილების უზრუნველსაყოფად, რაც მათ ეკონომიკურ სტაბილიზაციას განსაზღვრავდა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ საზოგადოებრივ სტიმულს მიანიჭებდა ადამიანებს.

ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ეკონომიკური კულტურის, ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესები ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

ამგვარად ეკონომიკური სტიმულების სისტემის განსაზღვრა და ჩამოყალიბება ეკონომიკური კულტურის ამაღლების კიდევ ერთი აუცილებელი ელემენტია, რაც მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტების პრეროგატივაა და ბაზარი, თუნდაც სოციალურად ორიენტირებული ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს.

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ნაღდი ფულით ვაჭრობა, რაც ეკონომიკური კულტურის კიდევ ერთი მიღწევაა. ჩვენში ეს პრაქტიკა ჯერაც არაა საყოველთაოდ მიღებული. მხოლოდ საბანკო სექტორში და ზოგიერთ დაწესებულებაში გაიცემა ხელფასები საბანკო პლასტიკური ბარათებით, რაც კორუფციას საკმაოდ ამცირებს.

ეკონომიკური კულტურის ნაკლია აღურიცხავი ფულის ბრუნვა, რაც საშუალებას აძლევს საწარმოებს თავი აარიდონ მოგებისა

და დამატებულ ღირებულებაზე გადასახადს და გადარიცხვებს სოციალურ დაზღვევაზე, რაც ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ფორმად მიიჩნევა. ამასთან, აღურიცხავი ნაღდი ფულის ბრუნვა შესაძლებლობას იძლევა შეამცირონ მიმდინარე ხარჯები გადასახადებისაგან თავის არიდებით, რაც საწარმოთათვის საკმაოდ მიმზიდველია.[5]

მეცნიერთა დიდი ნაწილი ამ პრობლემებიდან გამოსავალს კანონიერების მკაცრ დაცვაში ხედავს, როგორც სახელმწიფო, ასევე ცალკეული მოხელეების მხრიდან, რათა ბაზარმა და ხელისუფლებამ ერთმანეთი შეავსონ, ხოლო სახელმწიფომ სრულყოფილად განახორციელოს საბაზრო ურთიერთობების სტაბილურობა, მოქალაქეთა სტაბილურობისა და კანონიერების დაცვა, რათა მოიპოვონ ინვესტორთა ნდობა.[6]

მიმაჩნია, რომ მხოლოდ გამკაცრებული კანონებითა და სახელმწიფოსა და ცალკეულ მოხელეთა მიერ კანონირების დაცვა ვერ მოაგვარებს ქვეყანაში ეკონომიკურ პრობლემებს და ვერ აამაღლებს მისი მოქალაქეების ეკონომიკურ კულტურას. ამისათვის აუცილებელია ადამიანებმა რეალურად იგრძნონ, რომ სახელმწიფოში არსებული შემოსავლები მათზეც ისევე ნაწილდება, როგორც ნებისმიერ თანამდებობის პირზე, რომ სახელმწიფო ზრუნავს მათი ინტერესების, ცხოვრების, განათლების, ჯანმრთელობის, დასაქმებისა და ღირსების დასაცავად, რომ ეს ყველაფერი არაა მხოლოდ კონსტიტუციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის წარსადგენი ანგარიშების შესავსებად.

ვერანაირი სიმკაცრითა და ეკონომიკური მოქნილობით ვერ აღმოიფხვრება არსებული დარღვევები, ვერ ამაღლდება მათი ეკონომიკური კულტურა, გარდა მოქალაქეთა დარწმუნებისა, რომ ეს ქვეყანა მათიცაა და რომ ისინი, მიუხედავად მათი სოციალური,

---

[5] რ. აბესაძე, რ. სარჩიმელია, ნ. არევაძე, მ. მელაშვილი. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბ.:"უნიბერსალი", 2004, გვ.100.

[6] Журнал "Вопросы экономики". М., 1997.

ეროვნული, რელიგიური და სხვა განსხვავებებისა უნდა სარგებლობდნენ ყველა იმ სიკეთით, რაც ქვეყანას გააჩნია.

ეკონომიკური კულტურის დეფიციტზე მიგვანიშნებს ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარისა და მისი დოლართან მიმართების ლავირება უახლოეს წარსულში ბანკების მიერ, რაც კვლავ სახელმწიფოში არსებულ განუკითხაობაზე მიუთითებდა და რის მეშვეობითაც ირღვეოდა ფასწარმოქმნის წესები და ხდებოდა ფასების ხელოვნურად მომატება, რაც აღურიცხავი შემოსავლებისა და საფასო დისპროპორციის წყარო ხდებოდა.

საზოგადოებრივი და მათ შორის, კულტურის დეფიციტია უპატრონო, ქუჩის ბავშვების არსებობა, დაუსაქმებელი ახალგაზრდობის პრობლემა, რომლებიც, ავსებენ რა კრიმინალთა რიგებს, სულ უფრო აღრმავებენ უფსკრულს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის.

ქვეყნის ეკონომიკური კულტურის ხარისხზე მიუთითებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარმართვის სხვადასხვა მეთოდების არსებობა. როგორც ცნობილია, სხვადასხვა ქვეყნებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში განსხვავებული მეთოდები გააჩნიათ.

აღნიშნული განსხვავებები გამოწვეულია მათი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარემოცვით და იმ გამოცდილებით, რომელიც ამ ქვეყნებს გააჩნიათ მოცემულ სფეროში.

ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური კულტურის დეფიციტზე მეტყველებს ასევე ეროვნული ტრადიციის არაერთი დამახინჯებული ფორმა, რომელიც გადაჭარბებულ ეკონომიკურ დანახარჯებსა და მაქსიმალიზმს უკავშირდება, როგორც ადამიანთა პროფესიულ საქმიანობაში, ასევე მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ყოველივე ეს გამოწვეულია, ერთი მხრივ, ჩვენი ევრო-აზიური ტემპერამენტით, ხოლო, მეორე მხრივ, იმ კულტურის მონაპოვართა დაკარგვით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე და რომლებმაც თავიანთი

კვალი დატოვეს მასზე. ეს იყო უამრავი დამპყრობელი, სხვადასხვა პოლიტიკური ზეწოლა, ჩაკეტილი სივრცე ცივი ომის პერიოდში და მრავალი სხვა, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ასევე საერთო ეროვნული კულტურა.

3.2. კორუფციასთან ბრძოლის მექანიზმები და მათი მნიშვნელობა სიღარიბის დაძლევაში

კორუფცია, როგორც ეკონომიკური კულტურის დეფიციტის გამოვლინება ნებისმიერ ქვეყანასა და ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს გარკვეული დოზით. იგი განსაკუთრებით ვლინდება საზოგადოების სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში, როგორც აღებ-მიცემობის, ასევე პოლიტიკური გარიგებებისა და სხვა უამრავი დარღვევების სახით, რაც თავისთავად დამღუპველია საზოგადოების განვითარებისათვის, თუმცა რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს გადაულახავ პრობლემას.

კორუფცია განსაკუთრებით საშიში ხდება პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პირობებში, როდესაც გარდაქმნას განიცდის, როგორც ეკონომიკური, ასევე მთელი სოციალური სფერო.

კორუფცია ყოველთვის ვითარდება ტოტალიტარიზმის, ავტორიტარიზმისა და დიქტატურული რეჟიმების პირობებში, როდესაც ირღვევა ადამიანთა უფლებები. როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი, პროფესორი ოსკარ არიას სანჩესი აღნიშნავს, ლათინურ ამერიკაში მრავალი დიქტატორი წლობით ამართლებდა თავის ქმედებებს უახლოესი წარსულის კორუმპირებულ რეჟიმზე მითითებით. აღნიშნული რეჟიმები ხშირად ხდება ქურდებისა და დამნაშავეების საუკეთესო საფარად. მოქალაქეებიც და ჟურნალისტებიც მოკლებულნი იყვნენ საკუთარი მთავრობების კორუმპირებულობის საწინააღმდეგო კანონიერ საშუალებებს[7].

---

[7] Санчес О. А.Системы общегосударственной этики поведения. Берлин,1996, с.8.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა დემოკრატიის პირობებში გაცილებით უფრო ეფექტურია დემოკრატიის, პლურალიზმის, სიტყვის თავისუფლებისა და ადამიანის უსაფრთხოების პირობებში.

ცხადია, არც დემოკრატიაა დაცული კორუფციისაგან, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კორუფცია აღწევს სწორედ იმ საწარმოებში, რომლებიც ფუნქციონირებენ კანონის დარღვევით, ჩვენს ქვეყანაში განვითარებული კორუფციის ხარისხი და მასშტაბების არსებობა სრულიად გასაგები გახდება.

კორუფცია განსაკუთრებით ვითარდება ღარიბ ქვეყნებში, სადაც სიღარიბესთან და სოციალურ-ეკონომიკურ უთანაბრობასთან ერთად სახელმწიფოებრივ სექტორში აღწევს და ხელს უწყობს არა მხოლოდ ადამიანთა გაღარიბებას, არამედ დემოკრატიული ფასეულობებისადმი უნდობლობასა და ეჭვს. იგი ძირს უთხრის დემოკრატიულ ინსტიტუტებს და ასუსტებს მათ.

კორუფცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც ხელისუფლების სტრუქტურებში ავიწყდებათ, რომ მათგან განსაკუთრებულ პოლიტიკურ სიმტკიცეს, მომზადებას, საზოგადოებისადმი სამსახურსა და თავდადებას მოელიან, რომ მათი სიტყვა, დაპირებები და საქმე ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს. კორუფციის დონის ზრდა იწვევს აჯანყებებს, საზოგადოების უნდობლობას ხელისუფლებისადმი და მის ხშირ ცვლას. პოლიტიკური პარტიები, რომლებიც თავისი მუდმივი კრიტიკით ხელისუფლების მიმართ დაუსრულებელ დაძაბულობას ქმნიან საზოგადოებაში, ამით ერთგვარად აფხიზლებენ თავის ქმედების სისწორეში დარწმუნებულ ხელისუფლებას, რომელიც თანდათანობით კარგავს რეალობასთან უშუალო კავშირს და მის პრობლემებს სათანადოდ ველარ აღიქვამს.

ხელისუფლებასთან დაახლოებული და მის სტრუქტურებში მოკალათებული ჩინოვნიკები თავიანთი პრივილეგირებული მდგომარეობის გამო ივიწყებენ პასუხისმგებლობას საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და დარწმუნებულები საკუთარ ხელშეუხებლობაში იმ დარღვევებზე მიდიან, რის გამოც ძველ ხელისუფლებას თვითონვე ებრძოდნენ. ყოველივე

ზემოაღნიშნულის გამო დამოკრატიული ფასეულობები რისკის ქვეშ დგება და შეიძლება უსუსურ ფორმალობად გადაიქცეს. საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ კი აქცენტი მატერიალურ ფასეულობებზე გადაიტანა, რის შედეგადაც დაიკარგა ადამიანისადმი და მის მიერ საზოგადოების განვითარებაში ჩადებული წვლილის ფასი.

საზოგადოება აშკარად განიცდის ეთიკის, კულტურის ნაკლებობას. ამიტომ, ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა სწორედ მოქალაქეობრივი მოვალეობისა და საზოგადოებრივად სარგებლიანობის თვითშეგნების ამაღლებაა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. მატერიალური კეთილდღეობა, როგორც სოციალური კაპიტალი, როგორც საზოგადოების კეთილდღეობიდან წარმოებული ღირებულება უნდა აღემატებოდეს ფინანსურს, ვინაიდან კულტურა, რომელიც მიმართულია მხოლოდ მატერიალურ სიმდიდრეზე წარმოადგენს კორუფციის ზრდის საუკეთესო საფუძველს[8]. კორუფციის მასშტაბები იმდენად გაფართოვდა, რომ სამართლიანი იქნება ვიმსჯელოთ მის საერთაშორისო დონეზე. როგორც ექსპერტები მიუთითებენ, გამოსავალი ამ სიტუაციიდან ისევ მსოფლიო დემოკრატიული პროცესებისა და პრესის თავისუფლებაშია[9].

დემოკრატიული ღირებულებები მართლაც მნიშვნელოვანია კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ეს არაა საკმარისი, თუნდაც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების ყოფიდან გამომდინარე, რომლებშიც მიუხედავად თავისუფლების შედარებით მაღალი ხარისხისა, კორუფცია არანაკლები დოზითაა წარმოდგენილი.

მიგვაჩნია, რომ კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად უფრო ეფექტური იქნებოდა ხელისუფლების წარმომადგენლები უშუალოდ, უფრო ახლოს მისულიყვნენ ცხოვრებისეულ

---

[8] Санчес О. А.Системы общегосударственной этики поведения. Берлин,1996, с.9.

[9] Санчес О. А.Системы общегосударственной этики поведения. Берлин,1996, с.9.

პრობლემებთან. ამით ისინი რეალურად გაითავისებდნენ საზოგადოების გასაჭირს და არ იმოქმედებდნენ ყურმოკვრით მიღებული ინფორმაციით.

საქართველოს ისტორიამ შემოინახა არაერთი მეფის ქმედება – შეცვლილი სახით, გადაცმული შესულიყო ადამიანებთან კონტაქტში და გაეგო მათი ცხოვრებისეული პრობლემები, შეფასებები და მხოლოდ ამის შედეგად გამოტანილი დასკვნებით ემოქმედა, თორემ, როგორც ცნობილია, ყოველი ადამიანი მხოლოდ საკუთარი საზომით აფასებს მოვლენებს, რაც ძალიან შორდება რეალობას და მოჩვენებით კეთილდღეობას ქმნის. მოჩვენებითი დემოკრატია კი უდიდეს სიცრუეს წარმოშობს, რომელშიც თანდათანობით იძირება ხელისუფლებაც და მთელი მისი ინსტიტუციონალური მექანიზმიც. რა თქმა უნდა, თავისუფალი პრესა ამ პროცესებს მეტ-ნაკლებად ამუხრუჭებს და მუდმივად აფხიზლებს ხელისუფლებას, მაგრამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა მის პრიორიტეტულ მიზნად უნდა იქცეს. თუმცა, კორუფცია გაცილებით მეტია, ვიდრე, ხელისუფლებისა და ბიზნესის უკანონო გარიგებები და მოიცავს მრავალ, იურიდიულად დაუსჯელ ქმედებას, რაც არანაკლებ ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოების ჯანსაღ განვითარებას, იწვევს უნდობლობას, როგორც ხელისუფლებისადმი, ასევე რიგით ადამიანებს შორის.

ასეთ ქმედებად უნდა მივიჩნიოთ ხელისუფლების მხრიდან მოვლენების ისეთი სახით წარმოჩინება, როგორც ეს გამოადგება, მაგალითად, მათ საარჩევნო კამპანიას, ან თუნდაც, მათ მიერ მხოლოდ ისეთ ფაქტებზე მსჯელობა, რაც ადამიანებს მოსწონთ. ასეთივე ფარისევლობას აქვს ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც კორუფციის გაცილებით ფართო მასშტაბებს მოიცავს.

კორუფცია იწყება მაშინ, როდესაც ავიწყდებათ, რომ პოლიტიკასა თუ ხელისუფლებაში მოღვაწეობა მოითხოვს ქვეყნისა და ხალხის სამსახურისათვის მზაობას, თავდადებასა და მისწრაფებას, როდესაც დაპირებები და მათი განხორციელება ერთმანეთს არ ემთხვევა.

კორუფციის ხელშემწყობ ფაქტორთა შორის უნდა დასახელდეს ნდობის ფაქტორის ნაკლებობა ადამიანებს შორის, ეჭვი ყველასა და ყველაფრისადმი, ჭეშმარიტი პატრიოტებისა და თავდადებული ადამიანების სათანადოდ შეუფასებლობა, მათი ხალასი ნიჭიერებისა და განსაკუთრებული უნარებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება.

იყო დრო, როდესაც ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები ერთმანეთს სიტყვაზე ენდობოდნენ, მათი პატიოსანი სიტყვა ყველა სანოტარო დამოწმებაზე ძლიერი იყო. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ჯანსაღი თანაცხოვრების საფუძველი იყო. მართალია სიცრუე მაინც არსებობდა, მაგრამ იგი არ წარმოადგენდა საყოველთაო მოვლენას და ამიტომ გავლენას ვერ ახდენდა საერთო საზოგადოებრივ პროცესებზე. ურთიერთნდობის აღდგენა სერიოზულ ზეგავლენას მოახდენდა კორუფციაზე ჩვენს სინამდვილეშიც, მაგრამ ამისათვის დაულალავი აღმზრდელობითი მუშაობის გაწევა გვმართებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში კორუფციის სხვადასხვა მიზეზებს ასახელებენ, მათ შორისაა: კონკურენციის სისუსტე, არაჯანსაღი ეკონომიკური აქტივობა, სუსტი სამოქალაქო საზოგადოება, მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, რაც ინფლაციის მაღალ ტემპებში, გადასახადების დამახინჯებაში და მრავალი მეწარმის, ბიზნესმენისა თუ სახელმწიფო მოხელის საქმიანობაში ვლინდება.

კორუფციის მიზეზები სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. საქართველოში კორუფცია ჯერ კიდევ დამახინჯებული სოციალისტური სისტემიდან მემკვიდრეობით გადმოგვეცა და იმის მაგივრად, რომ საზოგადოებას მის აღმოფხვრაზე ეზრუნა, მოხდა პირიქით, ყველაფერი ანტისაზოგადოებრივი შესანიშნავად შემოვინახეთ, განვავითარეთ და დღეს ამის სავალალო შედეგებს ვიმკით.

დაუჯერებლად მოჩანს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ვერ უვლის ამ, ქვეყნისათვის მართლაც ყველაზე მეტად დამანგრეველ სიმახინჯეს — პროდუქციის ფალსიფიკაციის, მომსყიდველობის,

სიყალბისა და უკონტროლობის აღზევებას. გარდა სახელმწიფოსი არავის შესწევს უნარი ორმაგი კონტროლი და ზედამხედველობა დააწესოს მანამ, სანამ მოქალაქეობრიობის მაღალი ხარისხი დამკვიდრება. ზედმეტმა თავისუფლებამ და ნდობამ, მით უმეტეს პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო 70 წლის განმავლობაში ფლობდა ინიციატივას ყველაფერზე, ადამიანებს თვითკონტროლის უნარი დაუკარგა და თავისუფლება ანარქიად და ყველაფრის უფლებად წარმოიდგინეს. არადა, თავისუფლება — ინტეგრირებულ უნართა პროგრესირების შესაძლებლობაა და სერიოზულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

კორუფციას, როგორც ადამიანური განვითარებისა და მისი ეკონომიკური თავისუფლების ხელისშემშლელ ფაქტორს მთელი ძალისხმევით უნდა ვებრძოლოთ და არა მხოლოდ ერთი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამასთან, ბრძოლა კორუფციასთან, როგორც პროფესორი პ. აიგენი მიუთითებს, არის არა საბოლოო მიზანი ან ბრმა ჯვაროსნული ლაშქრობა სამართლიანობის აღსადგენად მსოფლიოში, არამედ ბრძოლა თანამდებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ უფრო ქმედითი, ეფექტიანი და სამართლიანი მთავრობის შესაქმნელად[10].

კორუფციის მთლიანად აღმოფხვრა შეუძლებელია და უდიდეს თანხებსა და ძალისხმევას საჭიროებს. მასთან ბრძოლის ყველაზე უფრო ეფექტიანი მეთოდია არა ადმინისტრირების ან ძალდატანების, არამედ სამართლიანობის, მოქალაქეობრივი კულტურის, თვითშეგნებისა და წესრიგიანობის მიღწევა, რომელიც ერთნაირად მოეთხოვება როგორც თანამდებობის პირს, ასევე ნებისმიერ მოქალაქეს.

კორუფცია არ წარმოადგენს კულტურათა განსხვავებულობის შედეგს, ვინაიდან არსებობს როგორც წვრილმასშტაბიანი, ასევე მსხვილი სახის კორუფცია და ორივე მათგანი დამღუპველია საზოგადოებისათვის. კორუფცია კარგად ვითარდება იქ, სადაც არსებობს ეკონომიკის ნაკლებეფექტური ან გაურკვეველი

---

[10] Питер Айген. Вступление в коррупции. Берлин , 1996 , с. 12.

სამართლებრივი რეგულირება, ანუ სადაც საქმისადმი არასერიოზული და ზერელე დამოკიდებულებაა.

სოციოლოგიურ ლექსიკონში კორუფცია არაკანონიერი პირადი გამორჩენის მიღების მიზნით ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ქცევის მოსალოდნელი სტანდარტების უარყოფაა. უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონშიც კორუფცია მოსყიდვას ნიშნავს, რაც ისევ ხელისუფლების წარმომადგენლების არაკომპეტენტურობაზე მიგვითითებს.

ბუნებრივია, უნდა გაირკვეს, თუ რა აიძულებთ მათ კორუმპირებულად ჩამოყალიბებას. პასუხი ალბათ მაინც სახელმწიფოებრივი ნებისა და ინსტიტუციონალური მიდგომების ნაკლებობაში უნდა ვეძებოთ, რაც სახელმწიფო მოხელეების პირადული უფლებრივი და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების სურვილში აისახება. ამასთან, მიუხედავად მათი უფლებებისა, ისინი მაინც შეზღუდულები არიან, ერთი მხრივ, უფრო მაღალი თანამდებობის პირების მიერ, ხოლო, მეორე მხრივ, პრესისა და მთელი საზოგადოების მიერ. ყოველივე ეს აიძულებს მათ დადონ ფარული გარიგებები, იქონიონ ფარული კონტაქტები სხვადასხვა ადამიანებთან. ერთი სიყალბე კი მეორეს წარმოშობს და ადამიანი კორუფციის ჭაობში იძირება, საიდანაც გამოსვლა ველარ ხერხდება.

კორუფციის ხელშემწყობი ფაქტორია აგრეთვე მრავალპარტიული სისტემა, სადაც ყოველი პარტია ცდილობს რაც შეიძლება ლამაზად წრმოადგინოს თავისი სამოქმედო გეგმა მოიპოვოს საზოგადოების მხარდაჭერა. ამასთან,ხშირად პარტიათა უმრავლესობა, როგორც პროფესორი თ. ბერიძე მიუთითებს, არ წარმოადგენს მასობრივ გაერთიანებას, არ გააჩნია მყარი სოციალური ბაზა, არ სარგებლობენ ხალხში ნდობითა და ავტორიტეტით, ვერ ფლობენ ძალებს გახდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ღირსეული ოპონენტები. ამას გარდა, ნათელია მათი პარტიის მიზნების აბსტრაგირებული ხასიათი სახელმწიფოს ინტერესებისაგან, მათი უუნარობა — გამოიყვანონ ქვეყანა კრიზისიდან ან წარმოადგინონ ქვეყნის განვითარების

სტრატეგიული გეგმა[11]. ასეთ სიტუაციაში მყოფი პარტიები მიმართავენ ყალბი დაპირებების გაცემას საზოგადოებისათვის, რაც ისევ კორუფციის წინაპირობაა, ხოლო თუ ისინი ხელისუფლებაში მოვლენ, დიდი იქნება ალბათობა იმისა, რომ კორუფცია კიდევ უფრო გავრცელდება ეკონომიკასა და მთელ სოციალურ სპექტრზე.

განსხვავებით დასავლური სახელმწიფოებისაგან, სადაც კორუფციის მიზეზებად სახელმწიფო ან პოლიტიკურ სექტორში არსებული პრობლემები სახელდება და ძირითადი აქცენტიც სწორედ მათზე კეთდება, ჩვენში ამ სფეროს ნაკლებად ეხებიან და ყურადღება გადააქვთ იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც სახელისუფლებო სტრუქტურები ატარებენ ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად. ამდენად, მსხვილმასშტაბიანი კორუფციის მიზეზები კვლავ უყურადღებოდ რჩება და ბრძოლის მთავარ ობიექტად ყოველდღიური ცხოვრების წვრილი კორუფციული გამოვლინებები ფიქსირდება.

მიგვაჩნია, რომ კორუფციის აღმოსაფხვრელად ბრძოლა სწორედ სახელისუფლებო სტრუქტურებში უნდა ვაწარმოოთ და მხოლოდ ამ ფრონტზე მიღწეული წარმატებების შემდეგ იქნება ეფექტური პროფესიონალური, პატიოსანი და გამჭვირვალე საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებაც, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი საპატრულო პოლიციის ჩანაცვლებაც საგზაო პოლიციის პოსტების მაგივრად, ფინანსური პოლიციის საქმიანობაც და მრავალი სხვა ღონისძიება, რასაც დღევანდელი ხელისუფლება ანხორციელებს. მხოლოდ საკუთარი რიგების ასეთი ძირეული წმენდის შემდეგ შესძლებს იგი მოიპოვოს მთელი საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა.

კულტურის დეფიციტი იგრძნობა ქვეყნის საპარლამენტო ცხოვრებაში, მისი წევრების დამოკიდებულებაში კანონების მიღებისა თუ განხილვის პროცესში, პარტიული ნიშნით პიროვნებების შეფასებასა თუ სესიებზე დასწრებაში, ხმის

---

[11] Папава В., Беридзе Т. Очерки политической экономии посткоммунистического капитализма. М.«Дело и сервис», 2005, с. 29.

მიცემისას კი მათი იძულებით, კარჩაკეტილ დარბაზში გაჩერებაში, იმ ჯგუფურ გაერთიანებებში, რაც მხოლოდ მათ ინტერესებს ემსახურება და არა ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებას. რაც შეეხება სამთავრობო სტრუქტურებს, აქ მოხვედრილი ზოგიერთი ადამიანები იმის შიშით, რომ მაინც მალე გაანთავისუფლებენ, ცდილობენ რაც შეიძლება მეტი თანხები მიითვისონ, რათა შემდეგ საკუთარი ცხოვრება უზრუნველყონ.

დაბალ სტრუქტურებშიც რომ ისეთივე მაღალი ანაზღაურება იყოს, როგორც ხელისუფლებაშია, ხოლო ადამიანთა უფლებები არ იზომებოდეს მათი პარტიული თუ თანამდებობრივი რანგის მიხედვით, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანები იმ საქმეს მოემსახურებოდნენ, რისი ჭეშმარიტი უნარიცა და სურვილიც აქვთ. ამით კი მრავალი პრობლემა მოგვარდებოდა ქვეყანაში — ამაღლდებოდა მათი საქმიანობის ხარისხი, გაიზრდებოდა ადამიანების, როგორც პიროვნებების თვითშეგნება, კულტურა და ამით მათი სიცოცხლისა და ნებისმიერი მოღვაწეობის ფასი. ადამიანები აღარ მოიპარავდნენ ბიუჯეტიდან, აღარ გასწირავდნენ ერთმანეთს რიგითი საყოფაცხოვრებო თუ პარტიული წვრილმანებისათვის, ისწავლიდნენ თანაცხოვრებასა და ერთმანეთის დახმარებას, რაც ყოველთვის გვაკლდა ქართველებს და რაც ჩვენი რაოდენობრივი სიმცირის მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ყოველთვის.

სახელისუფლებო კულტურის ამაღლების გზაზე დადებით ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ პარლამენტის წევრის იმუნიტეტის შემცირება, მაგრამ ეს არასაკმარისია. სახელისუფლებო სტრუქტურებში მოსახვედრად ადამიანები თავდაუზოგავად იბრძვიან ნებისმიერი საშუალებებით და ამას ცნობილი იეზუიტური პრინციპით —"მიზანი ამართლებს საშუალებას" — ამართლებენ.

ბუნებრივად ისმის კითხვა: რატომ არ ხდება იგივე მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ან სხვა სტრუქტურებში? პასუხი ერთია: სახელისუფლებო სფეროებს მეტი განათლება სჭირდება, პარტიულ სტრუქტურებში მოხვედრისათვის კი საკმარისია ლიდერის ერთგული თანაპარტიულობა, განათლება კი, სამწუხაროდ,

მეორეხარისხოვანია. აქედან გამომდინარეობს ამ სფეროში არსებული კულტურის დეფიციტიც და კორუფციული პრობლემებიც.

ანტიკორუფციული პროგრამამ, რომელიც საქართველოში სწრაფად მზარდი კორუფციის გამო იქნა მიღებული, და რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტების რეალურ ფუნქციონირებას ეჭვის ქვეშ აყენებდა, მნიშვნელოვნად დააქვეითა იმ ინსტიტუტებისადმი ნდობა, რომლებიც საფუძვლიანად აფერხებდნენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და არსებითად ლახავდნენ ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟს[12]. გარდა პოლიტიკური და სახელისუფლებო მსხვილმასშტაბიანი და ელიტარული კორუფციისა, ქვეყნის ეკონომიკას არანაკლებ ზიანს აყენებს კორუფციის მასობრივი ფორმაც, რომელიც ჩვენს ყოველდღიურობაშია და რომელმაც ადამიანებს ერთმანეთისადმი ნდობისა და მომავალში მისი აღდგენის იმედი დაუკარგა.

კორუფციის მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოების დიდი ნაწილის განათლების დაბალი დონე ეკონომიკის, სამართლისა და უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში. მათთვის უცნობია, თუ რისი მოთხოვნისა და რისი თხოვნის უფლება აქვს, სად და როდის ირღვევა მისი უფლებები, სად მთავრდება ამ უფლებების არეალი და სად იწყება — სხვისი. კორუფცია, რომელიც გამეფებულია ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში და საზოგადოების არსებობის წესად იქცა, ძირს უთხრის არა მხოლოდ ეკონომიკას, არამედ ერისა და სახელმწიფოს თვითმყოფადობას. ამიტომ ცალკეული დემოკრატიული პრინციპები საზოგადოებისათვის სრულიად არასაკმარისია და ფერმკლთალდება ისეთი მოვლენების წინაშე, როგორიცაა: მექრთამეობა, ეროვნული ეკონომიკისა და საკუთრების კერძო მიზნებისათვის გამოყენება, კანონმდებლობის პირადი ინტერესებისათვის შესაბამისობა და არა მისი საყოველთაობა და ობიექტურობა.

---

[12] საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულებები. თბ., 2000, გვ. 6.

კორუფცია ყოველგვარი პროგრესული მოვლენის მტერია. იგი ანგრევს ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ გარემოს, ნორმალურ ადამიანურ ურთიერთობებს. ამის საუკეთესო მაგალითია არაერთი დემოკრატიული ქვეყანა, რომელშიც საბაზრო ეკონომიკა ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს უნდა უწყობდეს ხელს, მაგრამ, კორუფციის გამო, ეს ქვეყნები (ძირითადად აფრიკის სახელმწიფოები) სავალალო მდგომარეობაში არიან. ყოველივე ამის გათვალისწინებით, უახლოეს წარსულში საქართველოში საჭირო გახდა ისეთი სერიოზული ჯგუფის შემნა, როგორიც იყო ე.წ. "ანტიკორუფციული შვიდკაცა", რომელმაც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მომცველი ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამა შეიმუშავა, თუმცა, იმის გამო, რომ არ არსებობდა ასეთივე სერიოზული სახელმწიფოებრივი ნება, ამ ჯგუფის მოღვაწეობაც და მისი პროგრამაც სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა ქვეყნისათვის.

მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოდგენა არა აქვს მეწარმეობის, საგადასახადო და საფინანსო სექტორში არსებული სიახლეებისა და უფლებების შესახებ, რის გამოც ისინიც კი, ვინც მცირე საწარმოებისა და სხვა ნებისმიერი კერძო ბიზნესის მფლობელები არიან, საკუთარი უფლებების დაცვას საშუალო და დაბალი რანგის ჩინოვნიკებს ანდობენ, ხოლო ეს უკანასკნელნი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე წარმართავენ მათ და არა არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, რაზეც, ხშირად, თვითონაც არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა და გამოცდილება.

დაუსჯელობის სინდრომი კი, რომელიც წლების განმავლობაში არსებობდა და რომლის მეშვეობით ერთი თანამდებობიდან განთავისუფლებული ჩინოვნიკი სხვა, არანაკლებ პრესტიჟულ თანამდებობაზე გადადიოდა და მშვიდად აგრძელებდა თავის კორუფციულ მოღვაწეობას, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კორუფციისათვის. ქვეყნის სამართლებრივ თეორიასა და პრაქტიკაში არ არსებობდა თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მათი მოღვაწეობის შედეგების გამო, რომელიც დაბალანსებული

იქნებოდა მათივე უფლებებთან[13]. სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა ქონების კონფისკაციის შესახებ 377-ე მუხლი, რამაც კიდევ უფრო მეტი თავისუფლება მიანიჭა კორუფციაში ჩაძირულ ჩინოვნიკებს.

კორუფციასთან ბრძოლის საუკეთესო შედეგია 2003 წლის 6 ივნისის კანონი "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ", რომელიც ფულის გათეთრების, სხვა ქონების ან ქონებრივ უფლებებს არეგულირებს. ასევე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში შეტანილი ცვლილებები, რომელებიც სასამართლოს განსჯადს ხდის თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონების კანონიერებას.

კორუფციას აძლიერებს ყველაფრისადმი მაქსიმალისტური მიდგომა — ჩვენი ქვეყნისა და ეროვნული ფსიქიკისათვის დამახასიათებელო ნეგატიური თვისება, რომელსაც, ხშირად, ლიდერობისათვის დაუმსახურებელი ამოუწურავი სწრაფვა აძლიერებს.

ხშირად საუბრობენ ეროვნული ერთობის არარსებობაზე. ეროვნული ერთობა 1990-იან წლებში მართლაც არსებობდა, მაგრამ მან ეკონომიკური ერთობა ვერ მოიტანა, ვინაიდან სახელმწიფოებრივი მიდგომები დაიკარგა, ხოლო სახელმწიფოებრივი კონტროლის გარეშე დარჩენილი საწარმოები და მეურნეობები მათი მაშინდელი ხელმძღვანელების ხელში აღმოჩნდა. ეკონომიკური ერთობის გარეშე კი ეროვნული ერთობის ხიბლიც მთლიანად ნადგურდება.

ეროვნული ერთობა დღესაც სჭირდება საქართველოს პარტიებად და საკუთარ მიკროსივრცეში ჩაკეტილ, სხვადასხვა რანგის მეწარმეებად დაყოფილ საზოგადოებას, რომელიც მხოლოდ საკუთარი "მე"-ს პრობლემებით არსებობს, არად აგდებს

---

[13] ა. კურატაშვილი. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის დაბალანსება — ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების და სახელმწიფოს სოციალურ-სამართლებრივი თეორია. სტუ შრომები, №1(425), 1999, გვ. 133.

ეკონომიკური ერთობის აუცილებლობას და ამით ისევ კორუფციას უწყობს ხელს.

ამგვარად, ეკონომიკური ერთობა, ანუ ხალხის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კორუფციის აღმოფხვრის მრავალ საშუალებებს შორის ასხელებენ: სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობის გამჭვირვალეობას, უსაფუძვლო შეღავათების გაუქმებას და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ კორუფციის აღმოსაფხვრელად, მის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია:

1. საზოგადოებრივი ინსტიტუციონალური პროგრამების შექმნა, მათი ეფექტური მუშაობისათვის ხელშეწყობა და მათ მიერ საზოგადოებრივი ანტიკორუფციული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა.

2. სამართლებრივი ზეწოლა კორუფციის ნებისმიერი გამოვლინების მიმართ; ყოვლისმომცველი ანტიკორუფციული კანონმდებლობის შემუშავება და მათი განხორციელება ყველაზე სანდო და მოუსყიდველი სამართალდამცავი ორგანოების, პროკურორებისა და მოსამართლეების მიერ;

3. პოლიტიკური ლიდერების ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, მათ მიერ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების სიღრმისეული ანალიზი და მათი გამოყენება საზოგადოებრივი პრობლემების გადასაჭრელად.

4. სამთავრობო სტრუქტურებში არსებული ადმინისტრაციული პროცედურებისადმი კონტროლი, როგორც თანამდებობის პირთა, ასევე ამ სფეროში დასაქმებული რიგითი ჩინოვნიკის საქმიანობის მიმართ, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ბიუროკრატიული თვითნებობა.

5. განსაკუთრებული კონტროლი კერძო სექტორისადმი, რათა არ დაუშვათ ჩვენში ამ ახლადაღორძინებულ სფეროში დასაქმებული და ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებელი ქონებით წარმოდგენილ კვაზიმეწარმეთა არაკანონიერი და თავნება

მოღვაწეობა, როგორც სახელმწიფოსა და ეკონომიკურ სფეროში, ასევე მასთან მომუშავე ადამიანთა მიმართ.

6. მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ჭეშმარიტად ადამიანური თანამშრომლობის ჩამოყალიბება, მათ შორის კერძო სექტორის, პროფესიონალური და რელიგიური ორგანიზაციების ჩათვლით.

7. კორუფციის წარმოდგენა საშიშ, რისკიან და არამომგებიან საქმიანობად.

8. სახელისუფლებო, სამთავრობო, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის, არასამთავრობო, საწარმოთა და სხვა ინსტიტუტების რეორგანიზაციით, თანამდებობის პირთა დეპერსონალიზაციითა და კადრების ხშირი როტაციით, რათა არ და ვერ მოხერხდეს მათი მოსყიდვა;

9. შინაგანი საფინანსო მართვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც რესურსების მიზნობრივად გამოყენების ეფექტურ კონტროლსა და სადაო გადაწყვეტილებების სწრაფ შესრულებას უზრუნველყოფს.

10. ნებისმიერი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა მისი ხელქვეითების მოქმედებაზე. მოულოდნელი შემოწმებების, ატესტაციების ჩატარება, ე.წ. "მკვდარი სულების" ჩამოცილება თანამშრომელთა რიგებიდან და მათთვის შანსის შემცირება – კვლავ დაიკავონ თანამდებობა;

11. იმ თანამდებობის პირთა ქონების, შემოსავლებისა და უფლებებისადმი ეფექტური კონტროლის განხორციელება, რომლებიც ფლობენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების სახელისუფლებო ბერკეტებს.

12. დაბალი რანგის მომსახურე პერსონალისათვის უფლებების გაფართოება, რათა მათ შესძლონ გაასაჩივრონ თავისი ხელმძღვანელობის კორუფციული საქმიანობა შემდგომი გართულებების გარეშე;

13. პრესის წარმომადგენელთათვის მეტი თავისუფლების მინიჭება, რათა მათ უფრო სიღრმისეულად შეისწავლონ და

გამოამჟღავნონ კორუფციული ფაქტები; ამისათვის კი უნდა მოხდეს მათი წახალისება დაჯილდოების სხვადასხვა მეთოდებით;

14. შეიქმნას სპეციალური მექანიზმები მთავრობის მუდმივი კონტროლისათვის საზოგადოების მხრიდან; პერიოდულად საზოგადოებრივი გამოკითხვების ჩატარება მთავრობის მუშაობის შეფასების თვალსაზრისით;

15. სახელმწიფო შესყიდვების ღია, ჭეშმარიტად კონკურენტული და გამჭვირვალე სისტემის ორგანიზაცია;

16. თანამდებობრივი ინტერესებისაგან თავისუფალი არჩევანის უზრუნველყოფა; გადაწყვეტილებების სწრაფი მიღება, რათა თავიდან ავიცილოთ კორუფციული ჩარევები; გარედან მოწვეული სპეციალისტების ჩართვა პრობლემების განსახილველად და სხვა.

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს აქვს სერიოზული ვალდებულებები საერთაშორისო ურთიერთობებში. ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა კორუფციასთან ბრძოლა და თუ იგი ვერ შესძლებს ამ ამოცანის შესრულებას, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს — მომავალი არა აქვს[14], რადგან ეს ნიშნავს უამრავ დავალიანებას საერთაშორისო მასშტაბით, შეუსრულებელ ბიუჯეტს, ქვეყნის შიდა ფინანსებისა და გრანტების არამიზნობრივ ხარჯვას, ჩამოწერილ და გაპარტახებულ საწარმოებსა და მეურნეობებს, უმუშევარ და ღარიბ მოსახლეობას, რაც კიდევ უფრო შელახავს ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტს საერთაშორისო ურთიერთობებში და გამოიწვევს მისადმი უნდობლობასა და იზოლაციას ცივილიზებული მსოფლიოსაგან.

კორუფცია — სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია და მის წინააღმდეგ უნდა იქნას მიმართული ბრძოლის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმები. იქნებ ასეთმა ერთობლივმა შეტევამ მიანც გამოიღოს რეალური შედეგი.

---

[14] საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულებები. თბ., 2000, გვ. 1.

3.3. ეკონომიკური კულტურა და ეკონომიკური თავისუფლება სიღარიბის დაძლევის გზაზე

საქართველოში ბოლო პერიოდში საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის გააქტიურებულმა პროცესებმა, მრავალ დადებით ფაქტორთან ერთად, მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენაც იქონია საზოგადოების განვითარებაზე, მის ეკონომიკურ კულტურასა და ეკონომიკურ თავისუფლებაზე. დადებით ფაქტორად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივიჩნიოთ აქტიური პიროვნების ჩამოყალიბება, რომელიც განსხვავებით საბჭოთა მენტალიტეტის მქონე პიროვნებისაგან, საკუთარ თავზე იღებს ეკონომიკის განვითარების უდიდეს პასუხისმგებლობას, ვინაიდან თვითონ უზრუნველყოფს ნედლეულის მოპოვებას, წარმოებას და გასაღების ბაზარსაც, თვითონ ეძებს შესაფერის პერტნიორებს და თუ მის მოღვაწეობას უფრო მასშტაბურად განვიხილავთ, გარკვეულწილად განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკასაც.

საბაზრო ეკონომიკის დადებით ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მეწარმე ცდილობს შემოიტანოს კარგი ნედლეული და აწარმოოს ხარისხიანი პროდუქცია. იგი არ არის დაინტერესებული შეუსაბამოდ მაღალი ფასები დააწესოს თავის პროდუქციაზე, მოისყიდოს მმართველობითი სტრუქტურები და ამით განიმტკიცოს საკუთარი ადგილი ბაზარზე. ყოველივე ზემოაღნიშნულით დაინტერესებულია არა მხოლოდ მეწარმე, არამედ მთელი საზოგადოებაც, ვინაიდან ეს ხელს შეუწყობს როგორც მეწარმეობის განვითარებას, ასევე ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას, რაც დადებითად იმოქმედებს ბაზრის მოთხოვნა–მიწოდების დაბალანსებაზე, სწორი საფინანსო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და, ზოგადად, საზოგადოებრივ პროგრესზე.

რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესის უარყოფით მხარეებს, აქ უნდა აღინიშნოს მისი პირველყოფილი

ფორმების დამკვიდრება, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს რეალობაში. პოსტსაბჭოთა ეკონომიკის ქვეყნებში და, მათ შორის, ჩვენთანაც, აქტიურად ფუნქციონირებს შიშველი საბაზრო ეკონომიკის ფორმა, რომელიც მეწარმეს მომხვეჭელს, კორუმპირებულსა და არაპროდუქციულს ხდის, ვინაიდან მისი საქმიანობა სრულიად დაცლილია სოციალურობის პრინციპებისაგან, ეკონომიკური კულტურისაგან და, მაშასადამე, ეკონომიკური თავისუფლებისაგან. აქედან გამომდინარე, მეწარმე რასაც ქმნის — მხოლოდ საკუთარი შემოსავლებისათვისაა განსაზღვრული. მას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ სცალია ქველმოქმედებისათვის, სოციალური დახმარებებისა და საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებით საზოგადოებისათვის ეკონომიკური თავისუფლების მინიჭებისათვის. სახელმწიფო კი უნდა ასრულებდეს მხოლოდ სტრატეგიული განმავითარებლის როლს, რათა არ მოხდეს კოორდინაციის მოშლა მეწარმეთა შორის, რაც ჭარბი და აუთვისებელი პროდუქციის დაგროვების წინაპირობაა, ეს კი, თავის მხრივ, ან ინფლაციის საფუძველი გახდება, ან საერთოდ შეწყვეტს წარმოებას, რაც არანაკლებ დააზიანებს საზოგადოებას. ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების აუცილებლობა, რასაც ხელს უშლის ჩვენში დამკვიდრებული დემოკრატიის დამახინჯებული გაგება და, რომელიც, თავის მხრივ, ინფლაციისა და კორუფციის კლანჭებში აქცევს როგორც კონკრეტულ მეწარმეს, ასევე მთელ საზოგადოებას.

თავისთავად მეწარმე არ შეიძლება დაინტერესებული იყოს კორუფციით, საგადასახადო მაკონტროლებლისა და სახელმწიფო ლობისტის მოსყიდვითა და უკანონო ქმედებით, ვინაიდან არაკანონიერი ქმედება, საბოლოო ანგარიშით, მის ბიზნესს დააზარალებს. თუმცა მეწარმის ხელისშემშლელ ფაქტორად, ხშირად, საზოგადოების მიზნების, მისი ინტერესების გაუთვალისწინებლად შექმნილი კანონმდებლობა ხდება, რაც

აბრკოლებს ეკონომიკური კულტურისა და მისი ეკონომიკური თავისუფლების შემდგომ წინსვლას.

სიღარიბე, რომელიც, სამწუხაროდ, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და, განსაკუთრებით, რეგიონებშია თვალშისაცემი, მოსახლეობისაგან დაცარიელებული, მიტოვებული კარ-მიდანოებით, დანგრევის პირას მისული სახლებითა და გზებით იმ კულტურასაც კლავს, რაც დღემდე მოჰყოლია საზოგადოებას. ამიტომ, გარდა კორუფციასთან ბრძოლისა, მაქსიმალური ძალისხმევაა აუცილებელი როგორც სახელისუფლებო და არასამთავრობო სექტორების, ასევე ყოველი მოქალაქის მხრიდან, რათა განხორციელდეს სოციალურად ორიენტირებული პროგრამების, დახმარებებისა და დაზღვევებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისწინებული სახსრების თანასწორი გადანაწილების კონტროლი, გამჭვირვალეობისა და საზოგადოებრივი მონიტორინგის გაძლიერება, ბიუროკრატიის რიცხოვნობისა და ზეგავლენის შემცირება, პროფესიონალიზმის ზრდა, კანონისადამი პატივისცემა, მის წინაშე თანაბრობა, წარმოებისა და მეურნეობის განვითარება მათი ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლების თვალსაზრისით, ადამიანთა უფლებების დაცვა და ყოველი სამუშაოსადმი პატივისცემა.

ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის 2005 წლის საპროგრამო ანგარიშით, ბოლო ათწლეულში არსებითად შეიცვალა დემო-სოციალური ვითარება. შედარებით მცირდება მოსახლეობის მიგრაციის პროცესი და აქედან გამომდინარე – მოსახლეობის რიცხოვნების შემცირების ტენდენციები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ არ გამოსწორდება ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, თუ არ შეიქმნება ხელსაყრელი სამეწარმეო გარემო და არ დასაქმდება მოსახლეობა, ის ტენდენციები შეუქცევად ხასიათს მიიღებს, ვინაიდან ერთეულების და ისიც მხოლოდ 30 წლამდე ასაკის მოქალაქეებისათვის არსებული მაღალშემოსავლიანი სამუშაო ადგილები ნამდვილად ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის დანარჩენი – საკმაოდ დიდი ფენების ნორმალურ არსებობას.

აქედან გამომდინარე, უნდა განხორციელდეს ან სახელმწიფო შემოსავლების თანასწორი გადანაწილება, ან მთლიანად შეიცვალოს ეკონომიკური განვითარების სოციალური მიდგომები, რაც, ერთი მხრივ, სოციალური პოლიტიკის, როგორც სახელმწიფო მდგრადობის პრიორიტეტული სფეროს შემუშავებასა და ჩამოყალიბებას, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებისათვის ეროვნული შემოსავლების განკარგვის უფლებების რეალურ მინიჭებას გულისხმობს.

როგორც აღნიშნული პროგრამა მიუთითებს, სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობისათვის აუცილებელია: პირველი – ღარიბი მოსახლეობის აქტივების გაზრდა, მეორე – ღარიბი მოსახლეობის აქტივები და ის სექტორები, რომლებშიც ძირითადად წარმოდგენილია მოსახლეობის ეს კატეგორია, უნდა იზრდებოდეს უფრო მაღალი ტემპით, და მესამე – იმის გამო, რომ საჭიროა დრო, რათა ამგვარმა სტრატეგიამ მოგვცეს პირველი შედეგები, ღარიბი შინამეურნეობის მოხმარების დონის დაცვა და მათი მოცულობის ზრდა მოკლევადიან პერსპექტივაში საჭიროებს სახელმწიფო ტრანსფერებს[15].

პროგრამის ფარგლებშია აგრეთვე საჯარო სამსახურის შემდგომი სრულყოფა, რაც საჯარო სამსახურის საბჭოსა და მისი ბიუროს შექმნასა და ფუნქციონირებას, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის მიღებას მოიცავს ძველი კანონის ნაცვლად; პროგრამა გულისხმობს რამოდენიმე სასწავლო დაწესებულების მოქმედებას საჯარო მოხელეთა მოსამზადებლად, მაგრამ, სრულიად ნათელია, რომ არ არსებობს ერთიანი სისტემა, პროგრამა, პრინციპები და სტანდარტები, რაც ხელს უშლის ყოველივე ამისათვის საყოველთაო ხასიათის მინიჭებას, ცხოვრებაში გატარებასა და საორგანიზაციო კულტურის ჩამოყალიბებას.

---

[15] ეკონომიკური განმვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხორციელების ამსახველი ანგარიში. თბ.: 2005, გვ.8.

აღნიშნული პრობლემის რეალიზაციის მცდელობას, გარკვეულწილად, წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2006 წლის 10 მარტის დადგენილება "სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარების შესახებ", რომელიც დახმარების გაწევას პირდება მხოლოდ უკიდურეს სიღატაკეში მყოფ ოჯახებს, რომელთა რიგებს შემდგომში შეემატებიან ხელმოკლე და გაჭირვებული ოჯახებიც. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის დონე და უმუშევართა რაოდენობა იმდენად სწრაფად იზრდება, რომ ნაკლებად სავარაუდოა, აღნიშნულმა პროგრამამ ოდესმე მოიცვას ხელმოკლე და სოციალურად დაუცველი გაჭირვებული ოჯახებიც. აქედან გამომდინარე, სრულიად გასაგებია ის კრიტიკული დამოკიდებულება ამ პროგრამის მიმართ, რაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს აქვს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად, ამ პროგრამას უნდა შეემუშავებინა მონეტარიზაციის რეფორმა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა არა მხოლოდ უღარიბეს ფენებზე, არამედ ერთ სულ მოსახლეზე 60 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონეებზეც. ასევე, პროგრამას უნდა გაეთვალისწინებინა სოციალური შეღავათები – სამედიცინო დახმარების, ტრანსპორტის, მეტროსა და სხვა სახით, ხოლო ვისაც ტრანსპორტი არ სჭირდება – ფულადი დახმარებების ფორმით. ამისათვის სტატისტიკის დეპარტამენტმა შეიმუშავა კითხვარი, რომლის მეშვეობით განხორციელდებოდა საზოგადოების ღარიბი ფენების თვითინდენტიფიკაცია და გაადვილდებოდა მათთვის დახმარებების სამართლიანი გადანაწილება, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამ პროგრამამ მხოლოდ უღარიბესი ფენები მოიცვა. ამასთან, მიგვაჩნია, რომ გაცილებით უკეთეს შედეგს მივიღებთ, საზოგადოების დასაქმებით და არა თანხების გამოყოფით, როგორც იაპონელები ამბობენ: სჯობს მეთევზეს ანკესი მისცე და არა თევზი.

ეკონომიკური თავისუფლებისათვის, ეკონომიკური კულტურის ამაღლებისათვის აუცილებელია საზოგადოების საქმიანი თვისებებისათვის შემოქმედებითი ხასიათის მინიჭება და ისეთი

გზით წარმართვა, რომელიც პრაქტიკულ შედეგებზე იქნება გათვლილი.

ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და ამ მოთხოვნების შესაძლო განვითარების პროგნოზირებით. მაგრამ, ვინაიდან ამის სამეცნიერო და პრაქტიკული განხორციელების ხელმისაწვდომობა ჯერ-ჯერობოთ კვლავ შეზღუდულია რიგითი მოქალაქეებისათვის, უნდა შეიქმნას ეკონომისტ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ჯგუფი, რომელიც ამ პრობლემებს უცხოეთი გამოცდილებების გათვალისწინებით გადაწყვეტს და მიაწვდის მოსახლეობის ფართო ფენებს, განსაკუთრებით რეგიონებში, რათა აღორძინდეს სოფლის მეურნეობა და მისი პროდუქციის გადამამუშავებელი წარმოებები.

ასევე უმნიშვნელოვანესი სფეროა ქვეყნის სამეცნიერო და შემოქმედებითი მართლაც ამოუწურავი პოტენციალი, რომლისადმი მოთხოვნილებების გაზრდა, და ხელშეწყობა განავითარებს არა მხოლოდ ამ სფეროებს, არამედ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტიანობას და, მაშასადამე, მეტ თავისუფლებას მიანიჭებს საზოგადოებას.

მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური კულტურისა და ეკონომიკური თავისუფლების გზაზე აუცილებელია:

1. ყურადღება გამახვილდეს მშპ-ს ზრდის ფაქტორებზე. კერძოდ, მეწარმეს არ უნდა დაუწესდეს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი გადასახადი, რომ მან ვერ შეძლოს ნორმალური მუშაობა, რაც მას აიძულებს თავი აარიდოს გადასახადის გადახდას ან შეწყვიტოს წარმოება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი საქმიანობა მისთვისვე იქნება უსარგებლო. ამიტომ, უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც გარკვეულ შეღავათებს დაუწესებს მეწარმეს და არ დააზარალებს არც მას და არც სახელმწიფოს.

2. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ისეთი სისტემის შექმნაზე, სადაც ჩინოვნიკს არ ექნება საშუალება მიითვისოს ეროვნული ქონება, ანუ უნდა შექმნას გარკვეული ბარიერი ჩინოვნიკსა და სახელმწიფო ქონებას შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში კორუფციის

მთავარი წყარო კვლავ იბატონებს და ქვეყანას გაკოტრებამდე მიიყვანს.

3. თანამდებობებზე ადამიანების შერჩევა უნდა ხდებოდეს მათი პროფესიული და პიროვნულ-ადამიანური თვისებებით და არა ნათესაურ-მეგობრული პრინციპებით.

4. ყველა პოლიტიკურმა ძალამ მთელი თავისი შესაძლებლობები უნდა მიმართოს ქვეყნის აღმშენებლობისაკენ და არა პირადი ინტერესების გატარებისა და სხვათა ინტერესების ჩაკვლისაკენ.

5. ყველა წარმატებული მეწარმე უნდა ეცადოს შექმნას ეროვნული ეკონომიკური ერთობა, რომლის უახლოესი მიზანი იქნება:"საქართველო მათხოვრების გარეშე", რაც ააღორძინებს ამჟამად დაკნინებულ ეროვნულ სულს, აამაღლებს ეროვნულ თვითშეგნებას და შექმნის ჭეშმარიტ ეკონომიკურ კულტურასა და ზოგადსაკაცობრიო პრინციპებამდე ამაღლებულ ეროვნულ ერთობას.

6. ეკონომიკური კულტურისა და პოლიტიკის გატარებამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს საგადასახადო სისტემა, ხელფასების, პენსიებისა და სამომხმარებლო ფასების სფეროები, რაც სახელმწიფოს მხრიდან მთელი ეროვნული შემოსავლისა და ქვეყნის ბიუჯეტის სოციალურად ორიენტირებულ გადანაწილებას უზრუნველყოფს, რომელიც მოიცავს სოციალურ პროგრამებს, სოციალურ დაზღვევებს და რომელიც მომავალ თაობას მაინც დაუმკვიდრებს სამოქალაქო საზოგადოების პრინციპებს.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. აბრალავა ა. სამსონია ნ. ტულუში მ. საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები. თბილისი, ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი, „გაენათი“, 1995.

2. აბესაძე რ., სარჩიმელია რ., არეევაძე ნ., მელაშვილი მ. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბ.: "უნივერსალი", 2004.

3. ასათიანი ი. ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი. მონოგრაფია, თბილისი, 1994.

4. ასათიანი რ. მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993.

5. არაბიძე ჯ. მაკროეკონომიკის თეორიის საკითხები. თბ., 1994.

6. ანანიაშვილი ი. საშუალო წლიური ზრდის ტემპებისა და დარგთაშორისო პროპორციების პროგნოზირების უკურეკურსიანი მოდელის ორი ვარიანტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ეკონომიკის სერია, 1999, № 1-2, ტ. 7.

7. ანანიაშვილი ი. მაკროეკონომიკა. ნაწ. I, თბ.: „უნივერსალი“, 2002.

8. აჩელაშვილი კ. რეგიონალური და რეგიონთაშორისი დარგთაშორისო მოდელების თავისებურებები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ეკონომიკის სერია, 1997 წ. № 3-4, ტ. 5.

9. ბასილია თ. სილაგაძე ა. ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001.

10. გოგოხია რ. განსახელმწიფოების და პრივატიზების არსის გაგებისათვის. ჟურნალი „ეკონომიკა“, 1992. № 5-6.

11. ბედიანაშვილი გ. რეგიონის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება: მიზნობრივი და რესურსული ასპექტები. თბ.: მეცნიერება, 1990.

12. ბურდული ვ. მეურნეობის ბიუროკრატიული და საბაზრო კოორდინაციის შეხამების საკითხები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „მაცნე", ეკონომიკის და სამართალის სერია, 1992.

13. ბურდული ვ., წერეთელი გ. ფულად-საკრედიტო რეგულირების გზები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. საქ. მეცნ. აკადემიის მაცნე (ეკონომიკის სერია). თბ., 1998, ტ. 6, № 3.

14. ბურდული ვ. საქართველოს ქმედუნარიო საფინანსო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბების გზები. შრომების კრებული, ტ. 1, 2000, თბ., „მეცნიერება", 2000.

15. გაზეთი „დროება", 1881, № 88, 231.

16. გაზეთი „დროება", 1875, № 1, 16.

17. გუნია ა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემეგაზეთი „დროება", 1875, № 16.ბი საქართველოში. თბ., „მეცნიერება", 1983.

18. გუნია ა. ბაზარი (საბაზრო ურთიერთობები) როგორც კატეგორია. მაცნე ეკონომიკის სერია. 1995, ტ. 3, № 1-2.

19. დავითაშვილი გ. საბაზრო ეკონომიკის ლექსიკონი. თბ., „მეცნიერება", 1991.

20. დათუკიშვილი ვ. საბაზრო ეკონომიკის არსისა და მისი ჩამოყალიბების კანონზომიერებების გახსნისათვის. საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. 1., თბ., „მეცნიერება", 2000.

21. დიხამინჯია ი. სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის როლი ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გადიდებაში. ჟურნალი „ეკონომიკა", თბ. 2002, № 102.

22. დემეტრაშვილი თ. ეკონომიკურ ურთიერთობებისა და მეურნეობის ტიპები. თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992.

23. ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხილვის ამსახველი ანგარიში. თბ., 2005.

24. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. ნაწილი I, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992.

25. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. ნაწილი II, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992.

26. თეთრაული ა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში. თბ., „მაცნე", 1993.

27. თეთრაული ა., სამხარაძე ლ.. ეროვნული ვალუტა და სავალუტო რეგულირების პოლიტიკა საქართველოში. სამეცნ. შრომების კრებული. ტ. 1., თბ., მეცნიერება, 2001.

28. თოთლაძე ლ. ინფლაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტ. I, თბ.: მეცნიერება, 2000.

29. აზიშვილი მ. რეფორმები საქართველოში: მოკლე მაკროეკონომიკური და ინსტიტუციონალური ანალიზი. თბ.: კეპკა, 1997.

30. კანკაძე ჯ., მეტრეველი ა. უმუშევრობის პრობლემა. შრომების კრებული. თბ.,2001.

31. კაკულია მ. გაცვლითი კურსის რეჟიმის ცნებისა და კლასიფიკაციის საკითხისათვის. თბ., „მაცნე", ეკონომიკის სერია, ტ. 9, 2001, № 3.

32. კაკულია რ. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური ტრანსფორმაციის აქტუალური საკითხები. კრებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტ. I, თბ., 1996.

33. კაკულია რ. დამოუკიდებელი საქართველოს სავალუტო და საკრედიტო პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. 1.

34. კაკულია რ. საქართველოს რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის ფინანსურ უზრუნველყოფაში. თბ., სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. 1, 1996.

35. კაკულია რ.საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები. თბ., 2003.

36. კვაბზირიძე გ. ადამიანის უფლებეთა დაცვის პრობლემები დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ჟურნალი "პროგრესი" თბ., 2000, №1-2, გვ. 63-64. 0,16. თ.

37. კვაბზირიძე გ. საბაზრო ეკონომიკა გარდამავალ პერიოდში. საქართველოს სააეტომობილო ინსტიტუტის შრომები №1 საიუბილეო გამოცემა თბ., 2001. გვ. 94–98. 0,3 ნ. თ.

38. კვაბზირიძე გ. კორუიფციის მიზეზები და მისი დაზლევის გზები საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პერიოდში. ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა". თბ., 2001, №3, გვ. 32– 37. 0,3 ნ. თ.

39. კვაბზირიძე გ. ადამიანური კაპიტალი – სიღარიბის აღმოფხვრის უმნიშვნელივანესი ფაქტორი. ჟურნალი "ეკონომიკა", თბ., 2006, № 3, გვ.30–34,. 0,3 ნ. თ.

40. კვაბზირიძე გ. ეკონომიკის ტრანსფორმაცია საბაზრო ურთიერთბების ჩამოყალიბების პირობებში ჟურნალი " ეკონომიკა",თბ., 2006, №4, 11–16. 0,3 ნ. თ.

41. კვაბზირიძე გ. კვაბზირიძე გ. პოლიტიკური ნება – ეკონომიკური თავისუფლების მნიშვნელოვანი საფუძველი. ჟურნალი "ეკონომიკა" , 2000, № 5, გვ.31-35, 0,3 ნ. თ.

42. კვარაცხელია მ. ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ეკონომიკა. თბ., 2001.

43. კემპბელი რ., მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიკსი. ნაწილი I, 2, თბ., „საქპროფგამი", 1993.

44. კოღუაშვილი პ., ბენია შ. სპეციალური აგრარული საკრედიტო სისტემის შექმნისა და მისი სახელმწიფო რეგულირების საკითხისათვის. ჟურნალი „ეკონომიკა“, თბ. 2002, № 102.

45. კურატაშვილი ა. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასყხისმგებლობის დაბალანსება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სოციალურ-სამართლებრივი თეორია. სტუ შრომები №1(425), 1999.

46. კურატაშვილი ა. ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და სამეცნიერო კადრების გარდაქმნის აუცილებლობა. ჟურნალი "ინტელექტი", №1 [7], 1999.

47. კურატაშვილი ა. საზოგადოებისა და სახელმწიფოს ორიენტაციაში რადიკალური ცვლილებების აუცილებლობის ზღვარზე. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „პროგრესი“, 2001 წ., № 1-2, თბ., 2001.

48. კურატაშვილი ა. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

49. ლემონჯავა პ. ბუნების გამოყენების ეკონომიკა. თბ., თსუ გამომცემლობა, 1993.

50. ლორთქიფანიძე რ. – სახელმწიფოს სტრუქტურული პოლიტიკის შესახებ ეკონომიკაში. თბ., „საქართველო“, 1997.

51. მითაიშვილი რ. რკინიგზაზე ტარიფების შემდგომი ლიბერალიზაციის აუცილებლობის შესახებ. მაკრო მიკრო ეკონომიკა, 2002, № 10.

52. მალაშხია გ. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1974.

53. მესხია ი. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სამეურნეო რეფორმების სრულყოფის საკითხები საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „მაცნე“, ეკონომიკის სერია, 1996, ტ. 4, № 3-6.

54. მესხია ი. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში: რეტროსპექტივა და პროგნოზი გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. თბ., 1996.

55. მესხია ი. ფულადი პოლიტიკისა და საბანკო სისტემის ტრანსფორმაციის პრობლემები საქართველოში. ჟურნალი „მაცნე“, ეკონომიკის სერია, თბ., 1998, ტ. 6.

56. მექვაბიშვილი ე. სახელმწიფო და ეკონომიკა. თბ., სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995.

57. მშველიძე ნ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითა-რების ისტორიიდან. თბ., 1967.

58. ნათელაური ი. ეკონომიკური სისტემის ბუნებრივი განვითარების გზა. ჟურნალი „პროგრესი“, 2001, № 1-2.

59. ნათელაური ი. საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება. თბ.: “მეცნიერება” 2004.

60. პაპავა გ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა.თბ., 2005.

61. პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკის გამოჯანსაღების და ნორმალიზაციისათვის საქართველოში. გამომცემლობა შპს „ფინანსები“, თბ., 2000.

62. პაპავა ვ. ახმეტელი რ. ლეიაშვილი პ. ულუმბერაშვილი ნ. საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები. თბ., „მაცნე“, 1993.

63. პაპავა ვ. სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში. ჟურნალი „ეკონომიკა“, 1995, № 7-9.

64. პაპავა ვ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. გამომცემლობა შპს „კომპანია იმპერიალი“, თბ., 2000.

65. პაპავა ვ. ეკონომიკური რეფორმების ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან“ – სოციალურ სტიმულირებამდე. თბ., 1995.

66. პავლიაშვილი ს. სახელმწიფო ქონების მართვის გაუმჯობესე-ბისათვის. ჟურნალი „ეკონომიკა“, თბ., 2002, № 1-2.

67. ჟოჟუაშვილი ნ., ქისტაური შ. საფინანსო-საბიუჯეტო ფედერა-ლი-ზმის არსი და აუცილებლობა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. ჟურნალი „ეკონომიკა“, 2002, № 3-4.

68. სარჩიმელია რ. წარმოების ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანა რესურსთა დეფიციტურობის რეგულირების საქმეში. „მაცნე“, ეკონომიკის სერია. 1995, ტ. 3, № 3-4.

69. საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. I, „მეცნიერება“, თბ., 2000.

70. სამადაშვილი უ. საკუთრების პრივატიზაცია და მეურნეობის ახალი ფორმები. თბ., „მეცნიერება“, 1991.

71. სანთელაძე ნ. ეკონომიკის რეფორმირება და ახალი სოციალურ-ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბება საქართველოში. საქართველოს ეკონ. მეცნ. აკადემიის შრომები. ტ. 2. თბ.: „სიახლე“, 2001.

72. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995.

73. საქართველოს ეროვნული ანტიკონსტიტუციური პროგრამის ძირითადი მიმართულებები. თბ., 2000.

74. საბაზრო ეკონომიკის გამვითარების პრობლემები საქართველოში. საქ. მეცნ. სამეცნ. შრომების კრებული, ტ.4,თბ.2004.

75. ღურცკაია კ. საკუთრებით ურთიერთობათა გარდაქმნის ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები გარდამავალ პერიოდში. სოციალური ეკონომიკა, 2001, № 6.

76. ჩადუნელი ე. ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიიდან. თბ., 1998.

77. ჩიკვაიძე თ. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ეკონომიკური პრობლემები. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1998.

78. ჩიქავა ლ. საქართველოს ეკონომიკა. თბ., „მერიდიანი“, 1995.

79. ჩხეიძე თ. საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „პროგრესი“, 2000, № 1-2, თბ., 2000.

80. შათირიშვილი ჯ. საქართველოს რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კონცეპტუალური საკითხები. სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. 1, თბ., 1996.

81. წერეთელი გ. საქართველო საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობათა ჩამოყალიბების გზაზე. ჟურნალი „ეკონომიკა“, 1992, №8-9.

82. ჭავჭავაძე ი. თხზულებათა კრებული, ტ. 6.

83. ჭითანავა ნ. საქართველოს ეკონომიკა 21-ე საუკუნის კარიბჭესთან. შრ. კრ. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტ. 2, თბ., 1998.

84. ჯიბუტი ა., ხარაიშვილი ე. საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის. ეკონომიკის აქტუალური საკითხები. ტ. XIII. თბ.: თსუ, 2000.

85. Абалкин Л.И. Поиск самоопределения. Отечественная школа экономической мысли на рубеже веков. М.,2000.

86. Айген питер. Вступление в корнпциию Берлинб1996.

87. Акимов Н. И. Политическая экономия совреьенного способа производства . М . , 2000.

88. Афронцев С. Экономическая политика и модели экономического развития. ж-л Мировая экономика и международные отношения, 2002, №4.

89. Белл Д Грядущее постиндустриальное общество Опыт социального прогнозирования. М., 1999.

90. Быков А.Н. Глобализация и либерализация.// Проблемы прогнозирования. 2005,№5.

91. Василишен Э. Центробанк и коммерческие банки в новой кредитовой системе. М., РЭЖ №2б 1993.

92. Гайдар Е. Аномалии экономического роста. М.,1997.

93. Гайгер Л.Т. Макроэкономическая теория и переходная экономика. М., 2002.

94. Данг Тхи Хиеу Ла. Вьетнам:переход к рынку. - М., 1999.

95. ЖириновскийВ., Юровицкий В. Новые деньги для России и мира. М.,1998.

96. Иноземцев В.Л. За пределами экономического общества. Постиндустриальные теории и постэкономические тенденции в современном мире. М., 1999.

97. Коктыш К. Постсоветская трансформация Белоруссии. ж-л Мировая экономика и международные отношения, 2004, №2.

98. Колодко Г. В. От шока к терапии М., 2000.

99. Константинов Ю.А. В книге: Внешная торговля и предпринимательство россии на рубуже XX1 века. М., 2000.

100. Корнаи Я. Дефицит. М., 1990.

101. Кураташвили Альфред А. Новый методологический подход в исследовании проблем и преподавании общественных наук. Материалы научно-методической конференции: "Проблемы совершенствования исследований и преподавания в общественных науках" (15 марта 1990 г.). Тбилиси: "Мецниереба", 1990.

102. Львов Д.С. Экономика развития. М., 2002.

103. Маркарян К. Общая теория постиндустриального государства. М., УРСС. 2002.

104. Мау В.Экономика и революция: уроки истории // Вопросы экономики.2001, №1

105.Мовсесян А.Г. Либерализм и экономика. М., 2003.

106. Молчанов К. В. Феноменология капитализма. М. , 2002.

107. Монтес М.Ф., Попов В.В."Азиатский вирус или голандская болезнь"? Еущрия и история валютных кризисов в России и других странах. М.,1999.

108. Мэнькью Н. Г . Принципы экономикс - СПБ.1999.

109. Некипелов А.Социально-экономические модели в современном мире и путь России. М., 2003.

110. Нельсон РР., Уинтер С.Дж. эволюционная теория экономических изьенений. М., 2000.

111. Новичков А.В. Политическая экономия (наука об измерении) М.,2002.

112. Ноув А. Какой должна быть укономическая теория переходного периода?(Критический обзор) Вопросы экономики. 1993,№11.

113. Оболенский В.П., Поспелов В.А. Глобализация мировой экономики.М.,2001.

114. Папава В. Политическая элономия посткоммунистического капитализма и элономики Грузии. Тб. , 2002.

115. Папава В. Беридзе Т. Очерки политической экономики посткомунистического капитализма. М.:"Дело и сервис",2005.

116.Петраков Н.Я. Русская рулетка: экономический эксперимент ценою 150 миллионов жизней. М.,1998.

117. Попов В. Динамика производства при переходе к рынку. Вопросы экономики. 1998, №7.

118. Самсин А.И. Основы философии экономики. М., 2003.

119. Потель К. Прощай ,"Вашингтонский когсесус". США Канада: экономика, политика, культура. 2001б №2.

120. Санчес О.А. Системы общегосударственной этики поведения. Берлин, 1996.

121. Самсин А.И. Основы философии экономики. М.,2003.

122. Самуельсон П.А., Нордхаус В.Д.Экономика. 1999.

123. Сегвари И. Семь расхожих тезисов о россиинских реформах: вурны ли они? Вопросы экономики. 1999.№9.

124. Сидорович А Формирование национальной модели экономики в переходных обществах М , 200.

125. Симонян Н. .Методологические проблемы анализа моделей социально-экономического развития. //Общество и экономика. 1999, №10-11.

126. Симония Н., Топадзе Г. .Методологические проблемы анализа моделей социально-экономического развития. Тбилиси, 2003.

127. Сорос Дж. Кризис мирового капитализма. Открытое общество в опасности. М.,1999.

128. Суетин А. Отмывание денег: угроза мировому общуству? // Вопросы экономикию 1999, №12.

129. Трансформация постиндустриального общества. Под ред. К.И. Микульскогою М.,2003.

130. Трансформация постсоциалистического общества./ Под редакции К.И. Микульского. М., 2003.

131. Шишков Ю. Мировая финансовая система: необходимость форм. //Мировая экономика и международные отношения,1999, №11.

132. "Экономические чудеса": уроки для России. М .,1994.

133. Хьюитит Д., Михальек Д. Налогогво-бюджетная политика в странах с экономикой переходного периода. Вашингтон, 1993.

134. Aburdene P. Megatrends 2000. The next ten years majior changes in your life and world.- London,1990.

135. Balcerowicz I. Socializm, Capitalizm, Transformation.- Budapest, 1995.

136. Boughton J.M. From Suez to Tequila: The IMF as Crizis Manager // The Economic Journal.2000. Vol. 110. No 461.

137. Brown M.B. Modeis in Politikal Ekonomi. A Guide To the Arguments.- Londin, 1995.

138. Castro F. Capitelizm in Crizis. Globalization and World Politics Today. Melbourne, 2000.

139. Crawford B. Post-communizm political ecjnomi: A Frameworkfor the Analizis of Reform. Boulder., 1995.

140. Erison R.E. The Post-Soviet Russian Econimic syystem: An Industrial Feodalizm? In Russian Crizis and its Effects/ Ed. by T. R Komulainen, L. Korhonen. -Helsinki,2000.

141. Ficher S. Reforming The Iniernational Financial System/ / The Economic Journal. 1999. Vol.109. No. 459.

142. Goldman M. I. The Privatization of Russian Reform Goes Awry. -London, 2003.

143. Heinemann K. Elemente einer Sociolojic des Markets. "Kolner Zeitschrift fur Sociologic and Socialpsichologic", No 28, 1976.

144. Haeinek F.von. Droga do neiwonlnictwa. Wroclaw 1989.

145. HHoffman D.E. Oligarchic Capitalizm in Russia. In: Russian-Eurazian Renaissance? U.S. Trade and Investment in Rossia and Eurasia / Ed. by J.H. Kalicki, E.K. Lauson. - Stanford, 2003.

146. Krugman P. The rform of Depression Ekonomics. -New-York, 1999.

147. Mikasell R.F. Brentton Woods - Original Intensions and Current Problems.// Contemporary Economic polisy. 2000. Vol. 18. No.4.

148. Problems of Ekonomiks reform in the Commonwelth of Independent states. -Berlin, 1999.

149. Stiglitz J.E. The World Bank at the Millenium.// The Economic Journal. 1999. Vol. 109. No 459.

150. Teorising Transition. The Political Economi of post-communizm Transformation / Ed. be J. Pickles, A. Smith. - London, 1998.

151. Vreeland J.R. The IMF and Economic Developmant. Cambridge, 2003.

152. Watchel H.M. World Trade Order and the Beginning of the Decline of the Washington Concensus.// Internationale Politik und Gasellschaft (Internacional Politics and Society). 2000, No 3.

153. Weder B. Model, Mith, or miracle? Reassessing the role of Goverments in the East Asian Experirience. Tokio, 2001.

154. Welfens P.J.J. EU Eastern Enlargement and the Russian Transformation Crizis. - Berlin, 1999.

გიორგი რამაზის ძე კვაბზირიძე

სიღარიბის დაძლევის სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმები ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში

ГИОРГИ РАМАЗОВИЧ КВАБЗИРИДЗЕ

Социально-экономические механизмы преодоления бедности в условиях формирования цивилизованных рыночных отношений

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.07.2008. ფორმატი 60x84 1/16

ნაბეჭდი თაბახი 9,0 ფასი სახელშეკრულებო

ტირაჟი 300 ეკზ.